

# უილიამ შექსპირი

## იულიუს კეისარი ევფე ლინი გაპბეთი

ინგლისურიდან თარგმნა  
მანანა ანთაძემ

### ტრაგედიები I



გამომცემლობა „ქანტავრი“  
თბილისი  
2017

# 0 ულიუს პეისარი

## მოქმედი პირნი

თულიუს კეისარი  
ოქტავიუს კეისარი  
მარკუს ანტონიუსი  
მარკუს ემილიუს ლეპილუსი

ტრიუმვირები  
თულიუს კეისრის  
სიკვდილის შემდგომ

ციცერონი  
პუბლიუსი  
პოპილიუს ლენა  
  
მარკუს ბრუტუსი  
კასიუსი  
კასკა  
ტრებონიუსი  
ლიგარიუსი  
დეკუს ბრუტუსი  
მეტელუს ციმბერი  
ცნა

სენატორები

შეთქმულები  
თულიუს კეისრის  
წინააღმდეგ

ფლავიუსი და მარკულუსი  
არტემილორე  
მისანი  
ცინა პოეტი  
სხვა პოეტი

ტრიბუნები  
კნიდოსელი სოფისტი

ლუცილიუსი  
ტიტინიუსი  
მესალა  
კატონი/უმცროსი/  
ვოლუმნიუსი

ბრუტუსის და კასიუსის  
მეგობრები

ვარონი  
კლიტუსი  
კლავდიუსი  
სტრატონი  
ლუციუსი  
დარდანიუსი  
  
პინდარე  
კალფურნია  
პორცია

ბრუტუსის მსახურები

კასიუსის მსახური  
კეისრის ცოლი  
ბრუტუსის ცოლი

## პირველი მოქმედება

### სურათი |

რომი. ქუჩა.  
ჯლავიუხი, ძარულუხი და მოქალაქეთა ჯვეფი

#### ფლავიუსი

უსაქმერებო, რას დადიხართ, სახლებში წადით!  
დღეს უქმე დღეა? ხელოსნებო, თქვენ რა, არ იცით,  
რა ჩატულობით უნდა იყოთ სამუშაო დღეს?!  
აბა სხვაგვარად, ვინ ვინ არის, როგორ გავიგო?!  
შენ, მაგალითად, მიპასუხე, რა ხელობა გაქვს?

#### | მოქალაქე

მე? მე ბატონო, დურგალი ვარ.

#### მარულუსი

სად არის ტყავის წინსაფარი? ხელსაწყოები?!  
საუკეთესო ტანსაცმელი რატომ ჩაგიცვამს?  
ახლა შენ თქვი, რა ხელობის ზარ?

#### || მოქალაქე

გამოგიტყდებით, დიდ ოსტატებთან შედარებით, როგორც იტყვიან,  
ერთი უბრალო მეჯლანე ვარ.

#### მარულუსი

რა ხელობა გაქვს-მეთქი, გკიოზე. მაგაზე მიპასუხე!

#### || მოქალაქე

ხელობა ისეთი მაქვს, ბატონო, რომელიც, იმედია, სუფთა სინდისით  
შემიძლია გამოვიყენო. გაცვეთილ ძირებს ახალ სულს შთავბერავ  
ხოლმე.

#### ფლავიუსი

ხელობა, შენი ხელობა, ოინბაზო! ხელობა თქვი!

## **II მოქალაქე**

ძალიან გთხოვთ, ნერვები არ დაიგლიჯოთ, ბატონო, თორემ  
მომიწევს თქვენც დაგადოთ საკერებელი.

## **მარულუსი**

რაო? მე რა უნდა დამადო, შე თავხედო?!

## **II მოქალაქე**

რასაც ხარაზი ადებს, ბატონო!

## **ფლავიუსი**

ესე იგი ხარაზი ხარ, ასეა?

## **II მოქალაქე**

ჭეშმარიტად! ჩემი მთავარი იარაღი სადგისია. უმაგისოდ არც  
ხელოსნობის ამბავში ვვარგივარ, არც ქალებთან. ასე და  
ამგვარად, მე გახლავართ მკურნალი. ვარჩენ ძველ ფეხსაცმელებს.  
სასიკვდილოდ რომ გაემზადებიან, სიცოცხლეს ვუბრუნებ! ვისაც  
ხარის ტყავი აქვს ფეხქვეშ გაგებული, ყველა ჩემთან არის უკვე  
ნამყოფი.

## **ფლავიუსი**

ახლა მითხარი, რატომ არ ხარ სახელოსნოში?

რას დაატარებ ამ ხალხის ჯგუფს, შენ, ქუჩა-ქუჩა?

## **II მოქალაქე**

გამოგიტყდებით. ფეხსაცმელს ვაცვეთინებ. სამუშაო ხომ უნდა  
მქონდეს. ისე კი, თუ სიმართლე გინდათ, კეისარს ვხვდებით. მის  
გამარჯვებას ვზეიმობთ.

## **მარულუსი**

მის გამარჯვებას ვზეიმობთო? სადმე იბრძოდა?

და რომში მოჰყავს დაპყრობილი მოხარკეები?

მათი ხუნდებით დაიმშვენა ეტლის ბორბლები?

თქვე გულქვა ხალხო, ცივ ლოდებზე უარესებო!

დაუნდობელო, უსულ-გულო რომაელებო!

რამ დაგავიწყათ, პომპეუსი ვინ იყო თქვენთვის.

რამდენჯერ მსხდარხართ ქონგურებზე, რომის კედელზე,  
სათოფურებზე, კოშკის წვერზე, საკვამურებზეც!  
ბავშვებით ზელში. უსასრულო ღოდინს იტანდით,  
ოღონდაც წამით დაგენახათ, თვალი მოგეკრათ,  
როგორ გაივლის ძლევამოსილი პომპუსი  
რომის ქუჩებში. როცა ეტლი გამოჩნდებოდა,  
ასტეხდით ხოლმე ისეთ ყიუინას, რომ ტიბროსი,  
გამაგრებული ჯებირებით, ორთოლას იწყებდა!  
ახლა მორთულხართ საზეიმოდ და შეკრებილხართ,  
რომ ია-ვარდი დაუფინოთ ამ გამარჯვებულს?!  
ტრიუმფით მოდის, პომპუსის სისხლით მოსვრილი!  
წადით აქედან!

სახლებში წადით! ღმერთს ევედრეთ, მუხლზე დაეცით,  
არ მოგივლინოთ უმაღურებს სასჯელად ჭირი.

### ფლავოუსი

გთხოვთ დაიშალოთ, ჩემო კარგო, კეთილო ხალხო.  
თქვენსავით დარიბს ვისაც ნახავთ, მათაც უთხარით,  
ტიბროსის პირას შეიყარონ. მდინარის ტალღებს  
თქვენი ცრემლებიც შეუერთეთ და გაატანეთ  
ეს მძიმე ცოდვა შორეული ნაპირებისკენ!  
*მოქალაქენი გადიან*

მგონი გაიგეს, უნამუსოდ რომ იქცეოდნენ.  
კრინტი არავის არ დაუძრავს, ისე გაგვშორდნენ.  
მე აქეთ წავალ. შენ კი იქით, სენატისაკენ.  
თუ ნახე სადმე მორთულობა, ყველგან მოხსენი.

### მარულუსი

და შენ გვინდია, შეიძლება, ეს გავაკეთოთ?  
დღეს ლუპერკაუსის დღესასწაულს ზეიმობს ყველა.

### ფლავოუსი

ეგ არაფერი! მთავარია, რომ კეისარი  
არ გრძნობდეს ზეიმს. კარგი. წავალ. ყველგან გავივლი.  
არ გავჩერებ ხალხს ქუჩაში. შენც ასე ქნი,  
თუ სადმე ნახავ, ბრძოს შეკრებილს. უნდა მოვასწროთ,

კეისარს ფრთები დროზე შევჭრათ, თორემ ხომ იცი,  
მაღლა აფრენა თუ მოასწრო, გვიან იქნება.  
ცის კაბადონზე ინავარდებს. იქ კაცის თვალი  
ვეღარ მისწვდება. ძირს კი შიში დაისაღვურებს  
და ვეყოლებით ყველა მონურ მორჩილებაში

გადიან

## სურათი II

რომი. მოუდანი.

საზეიმო სკლიოთ, მუსიკის თანხლუებით შემოდიან: კეისარი და  
ანტონიუსი, რომელიც რბოლისთვის ემზადება  
მათ მოჰყვებან კალფურნია, პორცია, დუკიუსი, ციცერონი,  
ბრუტუსი, კასიუსი და კასკა. უკან მოსდევს ხალხის დიდი  
ჯგუფი. ამ ჯგუფში არის მისანიც

კეისარი  
კალფურნია!

### კასკა

ჩუ! კეისარი რაღაცას ამბობს!  
მუსიკა წერდება

კეისარი  
კალფურნია!

### კალფურნია

აქ გახლავარ, ჩემო ბატონო!

### კეისარი

ანტონიუსი რომ ჩაგირბენს, გზაზე შემოხვდი!  
ანტონიუს!

### ანტონიუსი

კეისარო!

## **კეისარი**

შენ, ანტონიუს,  
არ დაგავიწყდეს, რა გითხარი. რბოლის პროცესში,  
უნდა შეეხო კალფურნიას. ძველად ამბობდნენ,  
ეს საღვთო რბენა, კურთხეული, უშვილობისას  
ხელად ჰქურნავსო.

## **ანტონიუსი**

რა თქმა უნდა! რა დამავიწყებს!  
თუ კეისარს სურს, ასე იყოს, ასე იქნება!

## **კეისარი**

აბა დავიწყოთ. რიტუალი რასაც მოითხოვს,  
უნდა შესრულდეს ყველაფერი!  
ასმის მუსიკა

## **მისანი**

კეისარო!

**კეისარი**  
მგონი ვიღაცამ დამიძახა!

## **კასკა**

გჩუმდით ყველა!  
მუსიკა წყდება

## **კეისარი**

გამყინავი ხმით დაიყვირა ჩემი სახელი.  
ისე ხმამაღლა, გადაფარა მუსიკის ჟღერა.  
კეისარო! ჰოდა გისმენს შენ კეისარი.

## **მისანი**

უნდა უფრთხილდე მარტის იდებს!

## **კეისარი**

ვინ იყო, რა თქვა?

## **ბრუტუსი**

უფრთხილდი მარტის იდებსო, თქვა. მისანი იყო.

## **კეისარი**

აქ მიმიყვანეთ ეგ ყმაწვილი! მინდა შევხედო!

## **კასიუსი**

აბა გამოდი და კეისარს სახე უჩვენე.

## **კეისარი**

ის, რაც წელან თქვი, ახლა ისევ გაიმეორე!

## **მისანი**

უნდა უფრთხილდე მარტის იდებს!

## **კეისარი**

მოვეშვათ ამ კაცს და წავედით. ბოდავს რაღაცას!

საყვირის ხმა ზე ყველანი გადიან, ბრუტუსის და კასიუსის გარდა

## **კასიუსი**

მოდიხარ რბოლის სანახავად?

## **ბრუტუსი**

არა, არ მინდა!

## **კასიუსი**

წამო, წავიდეთ.

## **ბრუტუსი**

თამაშები, რა ვქნა, არ მიყვარს!

ანტონიუსი ხომ არა ვარ, ამით გავერთო.

წადი, კასიუს, შენ თუ გინდა, მე რას მიყურებ.

## **კასიუსი**

ბოლო ხანებში, შევამჩნიე, რომ შეიცვალე

და შენს თვალებში აღარ მოჩანს ის მშვიდი მზერა,

ის სიყვარული, რასაც ასე შეჩვეული ვარ.  
მექცევი ფრიად უცნაურად, მე, შენს მეგობარს,  
ვისაც უყვარხარ.

### **ბრუტუსი**

დამიკერე, ცდები კასიუს.  
ასე არ არის. მოღუშული, ამ კუშტი სახით,  
მხოლოდ საკუთარ თავს შეცცქრი, სევდით მოცული.  
პო, შემომაწვა ათასგვარი ფიქრი და დარღა.  
ეს მე მეზება, სხვას არავის. სჩანს ვერ დავფარე.  
გარშემო ყველა შევაწუხე. ვთხოვ ჩემს მეგობრებს,  
რომელთა შორის, რა თქმა უნდა, უპირველესად  
შენ მეგულები, ნუ მიიღებთ ცუდად ნურაფერს,  
თავის თავს ებრძვის დღეს ბრუტუსი  
ძალა არ შესწევს სიყვარული უჩვენოს ვინმეს.

### **კასიუსი**

მაშ არასწორად გამიგია შენი განცდები.  
და ამის გამო, ძალზე ბევრი, მნიშვნელოვანი,  
ფიქრი, სურვილი, დაგიმალე გულში დაგმარხე.  
ბრუტუს, მითხარი, შეგიძლია რომ დაინახო  
შენ შენი სახე?

### **ბრუტუსი**

თვალს არ ძალუძს სახის დანახვა,  
თუ ასახული არ იქნება გარე საგანზე.  
ვერ დავინახავ.

### **კასიუსი**

მართალს ამბობ. არ შეგიძლია.  
არ გაგაჩნია, სამწუხაროდ, ისეთი სარკე,  
რომელიც შეძლებს აირეკლოს და დაგანახოს,  
რასაც ვერ ხედავ – დაფარული შენი ღირსება.  
როგორც ამბობენ, თუ ვინმეა დიდგვაროვანი,  
გარდა უკვდავი კეისრისა, ბუნებრივია,  
ყველა გიხსენებს ამ ცხოვრების მძიმე უღელქვეშ.  
და თანაც უაგირთ, რატომ ხუჭავს ბრუტუსი თვალსო?

## **ბრუტუსი**

რა შარში გინდა რომ გამხვიო? ითხოვ, კასიუს,  
გამოვძებნო და დავინახო ჩემში ის რაღაც,  
რაც არ არსებობს.

## **კასიუსი**

აი ახლა, კარგად მისმინე!  
ხომ დამეთანხმე, შენი თგალით შენს თავს ვერ ხედავ.  
მე მინდა გავხდე შენი სარკე- მე დაგანახებ,  
რაც ჯერ არ იცი შენს შესახებ, რაკი ვერ ხედავ.  
რომ არ დაეჭვდე, შეგაზსენებ, ყოფილა განა,  
ვინმეს დავცინე, მოგატყუე ან ვუდალატე?  
გაგიგონია, ვილაქუცე მაამებლურად,  
შემდეგ გავწიორე?! გაგაბრიყვე ან გავამასხრე?!  
ასე რომ იყოს, შარში მხვევო, მაშინ მითხარი.

ისმას დაფიქციების ხმა და ყიუინა

## **ბრუტუსი**

რა ყვირილია! მეშინია, რომ მალე ზალხი  
მეფედ დაგვისვამს ჩვენ კეისარს.

## **კასიუსი**

მაშ გეშინია!?

მეფედ არ გინდა, ამას ამბობ?

## **ბრუტუსი**

ჰო, მაგას ვამბობ,  
მაგრამ კასიუს, ეგ არ ნიშნავს, რომ ის არ მიყვარს.  
შენ ის მითხარი, ასე დიდხანს რად შემაყოვნე?  
ფიქრი გაწვალებს, ვატყობ გინდა გამიზიარო.  
თუ საქმე არის სასიკეთო მთელი ქვეყნისთვის  
და შეეხება ჩვენს ღირსებას, მაშინ გარწმუნებ,  
ვერ შემაშინებს თვით სიკვდილი. დაე ღმერთებმა  
სასტიკი რისხვა დამატებონ, თუკი შევბლალე  
პატიოსნება ოდნავ მაინც.

## კასოუსი

მჯერა, ასეა!

მშვენივრად გიცნობ. სათხო არის შენი ბუნება! სწორედ ლირსებას შეეხება ჩემი სათქმელი. მართლა არ ვიცი, ვინ რას ფიქრობოთ ამ ცხოვრებაზე. მე რა აზრის ვარ, იმას გეტყვი. ჩემივე მსგავსმა მუდმივად შიშმი მიყოლიოს, სულაც არ მინდა. არყოფნა მიჯობს. დავიბადე თავისუფალი, კინისარივით. ზუსტად ისე, როგორც შენ, ბრუტუს. ვიკეპებოდით ერთნაირად. ზამთრის სიცივეს განა მე და შენ, ისე არ ვერძნობოთ, ვით კეისარი? ერთხელ, სუსხიან, ქარიან დღეს, როცა ტიბროსი ნაპირს ახლიდა მაღალ ტალღებს, ამ კეისარმა შემომწედა და, ასე მკითხა მოულოდნელად: შენ თუ გაბედავ, ჩემთან ერთად გადმოხტე წყალში? გაღმა ნაპირზე გავიღეთო! და მეც მაშინვე, დაუფიქრებლად, გადავეშვი ტანსაცმლიანად. თანაც ვყვიროდი, მომყევი-თქო. ისიც გადმომყვა. აქაფებული ღრიალებდა მასხსოვს ტიბროსი. და ჩვენ ორივე, გამეტებით ვუსვამდით მკლავებს. ის იყო, ნაპირს მივადექი, რომ გავიგონე, როგორ ყვიროდა კეისარი, მომეშველეო! ვით ენეასმა, წინაპარმა სახელგანთქმულმა ტრიას ხანძარის რომ გამოგლივა მოზუცი მამა, ისე მივეცი ჩემი მხრები დალლილ კეისარს. მან გამოსტაცა ანქიზე ცეცხლს, მე — კეისარი ტიბროსის ტალღას. ღმერთად იქცა დღეს კეისარი, ხოლო კასოუს კი არარად. ქედმოდრეკილმა კეისარს უნდა თაყვანი ვცე, თუ მან ინება და მე მომაპყრო მისი მზერა. რა დამავიწყებს, ციება ჰქონდა, ესპანეთში როცა ვიყავით. ერთი განახა, როგორ თრთოდა და ცახცახებდა. დიახ. ეს ღმერთი კანკალებდა! ვინ დაიჯერებს! ბაგეზე ფერი აღარ ედო, საწყალს, შშიშარას! სად იყო მაშინ მის თვალებში ის გამოხედვა, შიშის ურუანტელს რომ უგზავნის ქვეყნიერებას?!

და რას კვნესოდა, რომ იცოდე. ხოლო იმ ენით,  
რომლის ნათქვამს რომაელნი წიგნებში წერენ,  
სულ კრუსუნებდა, ვით სნეული, პატარა გოგო.  
ვაი, ვაიო! ტიტინიუს, ჩქარა წყალიო.  
გამაგებინეთ, ო, ღმერთებო! ვიღაც ბეჩავმა,  
როგორ ჩაიგდო ქვეყნის მართვა დღეს თავის ხელში!  
რამ მოუტანა გამარჯვება?

ასევ ხალხის შეძახილებიდა სუვირუბა

### ბრუტუსი

შეძახილები!

ტაში კი ნიშნავს, მიანიჭა ხალხმა კეისარს  
რაღაც პატივი და ღირსება.

### კასიუსი

მშვენიერია.

ახლა გიგანტურ კოლოსივით აღიმართება  
და მის ლავებქვეშ, ამ ისედაც ვიწრო მიწაზე,  
რა დაგვრჩნია, ჩვენ საბრალო, უღირს კაცუნებს,  
გარდა იმისა, რომ ადგილი საფლავისათვის  
საღმე ვიპოვოთ. ბედისწერას თვითონ წარვმართავთ.  
თუ ვერ შევძლით, ამას ზეცას ნუ დავაბრალებთ.  
მიზეზი ჩვენ- ჩვენს სისუსტეში უნდა ვეძებოთ.  
აბა რას ნიშნავს კეისარი, ანდა ბრუტუსი.  
თქვი — კეისარი. მის სახელში მეტი ძალაა?  
მიდი, დაწერე. იწერება შენიც მშვენივრად,  
როგორც იმისი. იქნებ მითხრა, როცა წარმოთქვამ,  
სხევაგვარად შვენის რომელიმეს ბგერები ბაგეს?  
თუკი აწონი, ერთნაირად აიწონება.  
თუ გსურს სულები გამოიხმო, კეისარზეც ხომ  
ისევე მოვლენ, ვით ბრუტუსზე. მაშ ამიხსენი,  
ღმერთებს გაფიცებ, ყველას ერთად, რამე მიირთვა  
განსხვავებული კეისარმა? რითი შეიქნა  
ასეთი დიდი? სამარცხინო უამი მოსულა!  
რომო, აღარ სჩექვს შენში სისხლი, კეთილშობილი.  
ვის გაუგია, აქ ისმოდეს ერთი სახელი.

რომს თუ ახსენებს ვინმე სადმე, უკვე იტყვიან,  
მისი კედლები, ასე ვრცელი, ერთ კაცს იცავსო.  
ჰო, ეს რომია, მაგრამ არა ის ძველი რომი!  
რადგან გამხდარა ერთადერთი კაცის სადგომი!  
მე და შენ გვაჩსოვს, გვიამბობდნენ ჩვენი მამები,  
ადრე, ოდესძაც, ყოფილაო ერთი ბრუტუსი,  
ვინც თავის რომსო, ვით სატანას ჯოვონეთიდან,  
ისევე მონარქს, არასოდეს დაუთმობდაო.

### **ბრუტუსი**

ვიცი გიყვარვარ, ეჭვი სულაც არ მეპარება.  
რა გზაზე გინდა დამაყნო, უკვე მიგიხვდი.  
ცოტაც მაცალე და რას ვიფიქრობ, არ დაგიმალავ.  
გეტუდარები, მეტს ნუ მომთხოვ, ვერაფერს გეტყვი.  
რაც შენ მითხარი, უსათუოდ ვიფიქრებ მასზე.  
თუ გსურს კიდევ თქვა, ყურადღებით მოგისმენ კვლავაც.  
როული საქმეა. ამისათვის ცალკე შევხვდებით  
და ყველაფერზე დაწვრილებით ვილაპარაკებთ.  
ხოლო მანამდე, მეგობარო, კეთილშობილო,  
ერთი რამ უნდა დაიჯერო, რომ ბრუტუსს უჯობს,  
ბოგანო იყოს, უსახლკაროდ მოხეტიალე  
ვიდრე იმ რომის მოქალაქე, რომელსაც უამბა  
თავს დაატეხა განსაცდელი.

### **კასიუსი**

აი ეს მესმის!  
უკვე დავრწმუნდი, მოკრძალებით ნათქვამ სიტყვებზე  
ბრუტუსში ცეცხლი აგიზგიზდა როგორც ხანძარი.  
შეძლის კუისარი ამაღით

### **ბრუტუსი**

დასრულებულა თამაშები და კეისარიც  
უკან ბრუნდება.

### **კასიუსი**

როცა აქეთ გამოივლიან,  
კასკას მოქაჩე სახელოზე. დიდი ხალისით

არაფერს ჰყვება, მაგრამ იტყვის, თუ იყო რამე  
საინტერესო.

### ბრუტუსი

კარგი, ვკითხავ. ერთი შეხედე,  
კეისარს შუბლი მრისხანებით შეუჭმუხნია!  
დატუქსულივით მოსდევს უკან მთელი ამაღა!  
ფერი არ ადევს კალფურნიას. ნეტავ რა მოხდა?  
გაავებულა ციცერონიც. მრისხანე მზერა  
მაშინ სჩვევია, როცა ვინმე, სენატორთაგან,  
მის დიდებულ აზრს, არაფერში არ ეთანხმება.

### კასიუსი

კასკა გვიამბობს.

### კეისარი

ანტონიუს!

### ანტონიუსი

გისმენთ, ბატონო!

### კეისარი

მე მინდა მყავდეს გვერდით ხალხი, ჯან-ლონით სავსე,  
კარგად ნაკვები, წენარი, მშვიდი, ძილის მოყვარე.  
ეს გაკნაჭული კასიუსი სულ მშიერსა ჰგავს.  
თანაც ბევრს ფიქრობს. საშიშია ასეთი ხალხი.

### ანტონიუსი

ტყუილად შიშობთ, კეისარო, ასე არ არის.  
ის ღირსეული, გონიერი რომაელია.

### კეისარი

ცოტა მსუქანი მაინც იყოს! არა, მე მისი  
არ მეშინია. თუმც ოდესმე, თუ ისე მოხდა,  
რომ შიშის გრძნობა მომებალა, უპირველესად  
მოვერიდები სწორედ მაგას – კნაჭა კასიუსს.

კითხვა ხომ უყვარს, ყურადღებით სწავლობს ყველაფერს.  
კაცთა საქციელს აკვირდება. როგორც ამბობენ,  
თეატრს ვერ იტანს. სძულს მუსიკა და იღიმება,  
თან იშვიათად, თანაც ისე, რომ გეგონება,  
თავის თავს კიცხავს, ეს რა ვქნი, რა ვიყადრეო.  
ასეთი ხალხი არასოდეს შეეგუება,  
თუ ნახავს ვანმეს, თავისზე დიდს. ამიტომ ვამბობ,  
საშიში არის. მე ვგულისხმობ, რომ საზოგადოდ,  
და არა ჩემთვის. რას დამაკლებს. კეისარი ვარ!  
მარჯვნიდან მოდი. დაგავიწყდა, ამ ყურს არ ესმის.  
ახლა მითხარი შენ გულწრფელად, რას ფიქრობ მასზე.  
დაჯდაფები. კეისარი და მისი ამაღლა გადის.  
აასკა შეყოვნდება

**კასკა**  
რატომ მომქაჩე სახელოზე? რამის თქმა გინდა?

**ბრუტუსი**  
კასკა, რა მოხდა დღეს ისეთი, რამაც კეისარს  
გუნება ასე გაუფუჭა?

**კასკა**  
იქ არ იყავი?

**ბრუტუსი**  
აბა შენ რატომ გეკითხები, რა მოხდა-მეთქი?

**კასკა**  
კეისარს გვირგვინი შესთავაზეს. მან კი აი ასე, ზელით გასწია. ამაზე  
ხალხმა ყიუინა დასცხო.

**ბრუტუსი**  
მეორედ რა მოხდა, რაღაც ხმაური კიდევ იყო.

**კასკა**  
ისევ იგივე.

## **კასიუსი**

ყვირილი სამჯერ გავიგონეთ, ბოლოს რა მოხდა?

## **კასკა**

მესამედაც იგივე მოხდა.

## **ბრუტუსი**

გვირგვინი სამჯერ შესთავაზეს?

## **კასკა**

ჰო, ასე იყო. და სამივეჯერ უარი თქვა, თუმცა უფრო და უფრო უხალისოდ. ყოველ ჯერზე იმ პატიოსან ხალხს, ვინც გვერდით მედგა, ეს ამბავი ძალზე მოსწონდა.

## **კასიუსი**

გვირგვინი ვინ შესთავაზა?

## **კასკა**

ანტონიუსმა!

## **ბრუტუსი**

აბა, ჩემო კასკა, კარგად გვიამბე, ეგ როგორ მოხდა.

## **კასკა**

მომქალით, თუ გინდათ, მაგრამ კარგად ვერაფერს გიამბობთ. მასხარაობას ჰგავდა, რაც იქ ხდებოდა. წესიერად ვერც გავიგე. მარკუს ანტონიუსმა გვირგვინი გაუწოდა. გვირგვინიც არ იყო, მგონი. ძალიან პატარა იყო, დიადემასავით. როგორც ვთქვი, ხელით აირიდა, არაო. მომეჩვენა, რომ უხალისოდ ამბობდა უარს. მერე მეორედ მიართვა. ისევ უარი. ვატყობდი, უკვე სიამოგზებით სტაცებდა წელს. მესამედაც გაუწოდა და მესამედაც არაო. ყოველ უარს ხალხი ხმამაღალი შეძახილებით ხედებოდა. ერთი გენახა, იმ დაკოურილი წელებით როგორ უკრავდნენ ტაშს, ჭუჭყიან, ოფლიან ჩაჩებს იხდიდნენ და ჰაერში ისროდნენ. პირიდან ისეთი სიმყრალე ამოსდიოდათ, ამ უარით გახარებულებს, რომ კეისარი კინაღამ დაიხრჩო. გონება დაკარგა და დაუცა. გაცინებასაც ვერ ვბედავდი. პირი რომ დამეღო, მთელი სიბინძურე პირში შემივიდოდა.

## **კასიუსი**

დაიცა, კეისარს გული წაუვიდა? მართლა?

## **კასტა**

ზედ მოედანზე დაეცა. პირზე დუჟი მოადგა და ხმას ვერ იღებდა.

## **ბრუტუსი**

ასე იქნებოდა. მაგას ბნელა სჭირს.

## **კასიუსი**

კეისარს არა. მაგრამ შენ, მე და ამ პატიოსან კაცს, კასკას, ბნელა ნამდვილად გვჭირს.

## **კასტა**

არ ვიცი, მაგით რისი თქმა გინდა, მაგრამ კეისარი ძირს დაეცა, ეს ასე იყო. ხალხის ბრბო რომ ისე უკრავდა ტაშს, როგორც თეატრში იციან, თუ რამე მოსწონთ, ან არ მოსწონთ, ესეც ასე იყო, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

## **ბრუტუსი**

გონს რომ მოვიდა, რაო, რა თქვა?

## **კასტა**

დაიცა, ჯერ სანამ დავარდებოდა, რა მოხდა! როცა დაინახა, ხალხი მისი უარით ასეა აღტაცებული, მანიშნა, ეს შემიხსენიო და დაიძახა, აპა, ჩემი კისერი, მოდით, გამომჭერითო. მე რომ ხელოსანი ვყოფილიყავი და გამებედა არ ამესრულებინა, რაც ბრძანა, ახლა ყველანი, მეც, ის ბრბოც, ჯოვოხეთში ვიქნებოდით, მაგრამ ეს თქვა და დაეცა. გონზე რომ მოვიდა, მოიბოდიშა, თუ რამე არასწორად ვთქვი ან მოვიქეცი, არა ვარ კარგად და ამას დააბრალეთო. სამი თუ რთხი გათახსირებული დედაკაცი ედგა გვერდით. უცებ შეიცოდეს, საწყალიო, თქვეს. ამ ხალხისგან რა უნდა გაგიკვირდეს, კეისარმა დედები რომ აუკუწოს ხანკლით, იმასაც აპატიებენ.

## **ბრუტუსი**

ამიტომ იყო ასე შეწუხებული?!

**კასტკა**  
ჰო.

**კასიუსი**  
ციცერონმა ოქვა რამე?

**კასტკა**  
ბერძნულად ლაპარაკობდა.

**კასიუსი**  
და რაო?

**კასტკა**  
რა ვიცი. გეფიცებით, გერაფერი ვერ გავიგე. ვინც გაიგო, ერთმანეთს ულიმოდნენ და თავს უქნევდნენ. ჩემთვის მხოლოდ ბერძნული იყო. ხო, ერთი ახალი ამბავი, მარტულუსი და ფლავიუსი, კეისრის საპატივცემულო მორთულობების ჩამოგლეჯისთვის, სიკვდილით დასაჯეს. კარგად ბრძანდებოდეთ! რაღაც უმნიშვნელო ამბებიც მოხდა კიდევ და ვერ ვიხსენებ!

**კასიუსი**  
ამაღამ ჩემთან ხომ არ ვიგახშმოთ?

**კასტკა**  
ვერა, სხვას შევპირდი.

**კასიუსი**  
მაშინ ხვალ ვისადილოთ.

**კასტკა**  
ასე იყოს, თუ ცოცხალი ვიქენი, შენ არ გადაიფიქრებ და შენი სადილიც ღირს ამად.

**კასიუსი**  
კარგი. ხვალ გელოდები.

**კასტკა**  
შევთანხმდით. ახლა გემშვიდობებით.

## **ბრუტუსი**

სულ გამოლენჩდა ეს რატომლაც, რაც გაიზარდა.  
სკოლაში, მახსოვს, ცოცხალი და, ყოჩალი იყო.

## **კასიუსი**

მაშინ რაც იყო, ისეთია. ვერც სიმამაცით  
და ვერც ღირსებით მას საქმეში ვერ დაიწუნებ.  
თავს სულ გაჩვენებს ცოტა ბრიუვად. ეს არის მისი  
სუნელ-საკაზმი და ამგვარად, ასე შეფარვით,  
მოგვარომევს ხოლმე თავის მახვილ გონიერებას.

## **ბრუტუსი**

ჰო, შეიძლება. ახლა უკვე უნდა დაგტოვო.  
ზგალ მოვალ შენთან, თუკი გსურს, რომ ვილაპარაკოთ.  
ანდა შენ მოდი. როგორც იტყვი. დაგელოდები.

## **კასიუსი**

მე თვითონ მოვალ. ხვალამდე კი კარგად იფიქრე.  
*ბრუტუსი გადის*

ღირსეული ხარ, ჩემო ბრუტუს, მაგრამ ხომ ვიცით,  
ყალბ ბრწყინვალებას ბუნებრივის დაჩრდილვა ძალუს.  
კეთილშობილებს მათი მსგავსი სჭირდებათ გვერდით,  
რათა დაიცვან. იოლია კაცის ცდუნება.

განა ვინ არის ისე მტკაცე, რამეს გაუძლოს!  
კეისარს ვძულვარ, ყველამ იცის. ბრუტუსი უყვარს.

მე რომ ბრუტუსი ვყოფილიყვა, ის კასიუსი,  
არ ვენდობოდი მას სიტყვაზე. ამიტომ დამით,  
უნდა შევუგდო ფანჯარაში ბევრი წერილი,  
სხვადასხვა ხელით დაწერილი, რომ რომაელნი  
მხოლოდ ბრუტუსზე ამყარებენ მომავლის იმედს.

გაკვრით კეისარის ამბიციაც უნდა ვახსენო.  
მერე გამაგრდი, კეისარო, მალე შეგარჩევთ.  
თუ ვერ შევძელით ჩამოგდება, ცუდი დღე გველის.

*გადის*

### სურათი III

ჭექა-ჭეხილია, კლავს.  
შემოდის ხმალამოღებული კასკა და მეორე მხრიდან  
შემოსულ ციცერონს ხვდება

#### ციცერონი

მწერი მშვიდობის. კიისარი შინ მიაცილე?  
აღელვებული მეჩვენები. ეს რა სახე გაქვს?

#### კასკა

შენ არ გაწუხებს, დედამიწას რაც ემართება?  
როგორ კანკალებს! უძრეოა! იცი, ციცერონ,  
რამდენჯერ ვნახე ქარიშხალი დაუნდობელი.  
ვნახე, გააპო, ზედ შუაზე, მაგარი მუხა.  
გაცოფებული ოკეანეც, ყალყზე შემდგარი,  
ცაში ღრუბლებსაც რომ სწვდებოდა თეორი ტალღებით.  
მაგრამ არასდროს არ მინახავს, რაც ახლა ხდება.  
ჭექა-ჭეხილი ცეცხლად მოდის დედამიწაზე!  
ან ერთმანეთი არ დაინდეს ცაში ღმერთებმა,  
ანდა განრისხდნენ მეტისმეტად. ეს მოგვივლინეს,  
რათა ამოწყდეს კაცთა მოდგმა სულ ერთიანად.

#### ციცერონი

კიდევ რა ნახე უცნაური და საკვირველი?

#### კასკა

ჰო, კიდევ ვნახე, ერთი მონა. შენ იცნობ იმას.  
მარცხენა ხელი აღმართული ჰქონდა ზეცისკენ  
და ზედ ეკიდა ცეცხლი ისე, გეგონებოდა,  
მოუკიდესო ოც ჩირაღდანს. მაგრამ მას ხელი  
არც კი ეწვოდა. შიშით ხმალი ვერ ჩამიგია,  
რადგან ახლახანს ჩავუარე კაპიტოლიუმს.  
იქ ლომი იდგა. შემომხედა უკმაყოფილოდ.  
მერე გამშორდა, არაფერი არ დამიშავა.  
შემხვდნენ ქალები, ფერწასულნი, ერთი ასამდე,

ამბობდნენ, ვნახეთ კაცებიო, რომის ქუჩებში,  
ალმოდებულნი, აქეთ - იქთ დადიოდნენო.  
გუშინ რა მოხდა, შუადღისას! ზედ მოედნზე,  
ჭოტი ჩამოვდა. გაჰკიოდა. არავინ მითხრას,  
ეს ყველაფერი ბუნებრივი მოვლენებია,  
არაფერს ნიშნავს, დამთხვევაა, სულ ეს არისო.  
ზეცა გვაფრთხილებს, მიგვანიშნებს, რაღაც გელითო.

### ციცერონი

შენ მართალს ამბობ, უცნაური ამბები ხდება.  
თუმცა სჩვევია ადამიანს, რომ მოვლენები  
აჩსნას იმგვარად, როგორც მას სურს, რომ დაინახოს.  
ზვალ კეისარი თუ იქნება ნეტავ სენატში?!

### კასკა

დიახ. იქნება. გააფრთხილა ანტონიუსი,  
რომ შენთვის ეთქვა, კეისარი იქ იქნებაო.

### ციცერონი

მშვიდობით. ფრთხილად. სეირნობა ასეთ ამინდში  
სახიფათოა.

### კასკა

მშვიდობით, ციცერონ.

ციცერონი გადის  
შემოდის კასიუსი

### კასიუსი

მანდ რომელი ზარ?

### კასკა

რომაელი.

### კასიუსი

კასკა, ხმაზე გცნობ!

**კასკა**  
სმენა კარგი გაქვს. რა ღამეა, ერთი შეხედე!

**კასოუსი**  
პატიოსანი კაცისათვის მშენიერია.

**კასკა**  
მაშვისთვის არის, ეს ცა ასე, ძლიერ მრისხანე?

**კასოუსი**  
მხოლოდ იმისთვის, ვინც ქვეყანა ცოდვით აავსო.  
მე თავისუფლად ვსეირნობდი წელან ქუჩებში,  
ამ საშიშ ღამეს მინდობილი, გულგაღელილი.  
ასეთი მშვიდი, ჩემო კასკა, როგორსაც მხედავ.  
როცა ზეცის მკერდს ცეცხლოვანი კვეთდა ისარი,  
არ მეშინოდა, არ მაკრთობდა ავი კვესება!  
ჩემს მკერდს ვუშვერდი – არ ვიყავი მისი მიზანი.

**კასკა**  
მაინც არ გინდა, ნუ მოუწყობ ზეცას გამოცდას.  
ადამიანებს გვმართებს მხოლოდ შიში და ძრწოლა,  
როცა ღმერთები გვიგზავნიან ზარდამცემ ნიშნებს  
და გვაუწყებენ მოსალოდნელ უბედურებას.

**კასოუსი**  
სად არის, კასკა, შენი ცეცხლი, რაც უნდა ჰქონდეს  
ყველა რომაელს? სულ გაგიქრა, თუ მიიძინა?!  
ფერი არ გადევს, რასა ჰგავხარ, შიშით კანკალებ!  
რატომ ჰქუხს ზეცა? ხედავ, მაგრამ ვერ გაგიგია?!  
იქნებ დაფიქრდე, გამოიცნო, რაშია საქმე,  
რა ქარ-ცეცხლია, რად დაძრწიან სულები ასე?  
რა დაემართათ ფრინველთ, ცხოველთ, ყველა სულიერს.  
მოსუცებს სიბრძნე დაუკარგავთ, ბავშვები ბჭობენ.  
რას გვეუბნება ეს საშიში ფერისცვალება!  
ღმერთები რატომ გვიგზავნიან საოცარ ნიშნებს.  
მიზეზს დაეძებ? ჩვენ მოგველის უბედურება!

თუ გინდა კასკა, გეტყვი სახელს იმ ერთი კაცის,  
რომ ქუჩს და ელავს, ვით ეს ღამე! გვითხრის საფლავებს.  
მისი ღრიალი აზანზარებს კაპიტოლიუმს,  
ვით ლომის ბრდლვინვა. ის არ არის სინამდვილეში  
უფრო მამაცი, ვიდრე მე ვარ, ანდა შენა ხარ.  
საოცარია, მაგრამ გახდა მეტად საშიში,  
როგორც ამ ღამის უცნაური სახეცვლილება.

### კასკა

შენ კეისარზე ამბობ მაგას, არა, კასიუს?

### კასიუსი

თუნდაც ეგ იყოს. შევიცვალეთ რომაელები.  
წინაპრებისგან დაგვრჩა მხოლოდ ჩვენი სხეული.  
გმირული სული გამქრალია, აღარ არსებობს.  
დედაკაცივით უსუსურნი გავხდით ყველანი  
და დავემონეთ ტირანიას ქალაჩუნურად.

### კასკა

მართლაც ასეა. ზვალ სენატში იკრიბებიან.  
რომ მეფედ დასვან კეისარი, როგორც ამბობენ.  
მეფე ერქმევა ყველგან, გარდა იტალიისა,  
ზღვაზე, ხმელეთზე, მთელს ჩვენს რომის იმპერიაში.

### კასიუსი

რას დავავალებ მე ჩემს მახვილს, უკვე გადაწყდა.  
კასიუსს იხსნის მონობისგან ზვალ კასიუსი.  
ღმერთებო, სუსტნი ამ საქმისთვის გააძლიერეთ!  
ღმერთებო, ტირანს დამარცხება უნდა აგემოთ!  
არც საპყრობილე, შეუვალი რკინის კედლებით,  
არც ბორკილები და არც ციხე არსად არსებობს,  
რომელსაც ძალუმს შეაკავოს სულის ამბოხი!  
რაც გადავწყვიტე, მთელ ქვეყნას უნდა ვაუწყო!  
აღარ ავიტან ტირანიას, შევეჭიდები.  
მე შემიძლია დავამარცხო!

ძუძა-ძუხილი

## კასკა

მეც შემიძლია.

ყველა მონას აქვს თავის ხელში ის იარაღი,  
რომელიც შეძლებს, მოუტანოს თავისუფლება.

## კასოუსი

ეს როგორ მოხდა, კეისარი გახდა ტირანი.  
საბრალო კაცი! იგი მგლობას ვერ გაბედავდა,  
რომ არ ხედავდეს, რომაელნი ცხვრებად ქცეულონ.  
ის ლომად მოჩანს, იმიტომ რომ ჩვენ ვართ ჯაბანნი.  
დიდი კოცონი ასე უცებ არ გიზგიზდება.  
ვერ დაიწყება ნაპერწკლიდან. ჩალა სჭირდება.  
რომი ჩალაა! ზარახურა! ზის ნაფოტია!  
ულირს კეისარს ასხივოსნებს თავისი ალით!  
ო, გაჭირვებავ, რას მიშვები! მეც რას ვაკეთებ!  
ვის ვეუბნები. ჩემს წინაშე იქნებ მონა დგას  
და მომიწევს, ამ სიტყვებზე პასუხი ვავო.  
ამ იარაღის იმედად ვარ. არ მეშინია.

## კასკა

ესაუბრები შენ აქ კასკას. ეს ის კაცია,  
ვინც არასოდეს არ გაგყიდის, არ დაგაბეზღებს.  
მომცი ხელი. ბოროტებას უნდა შეება  
და მეც შენს გვერდით მიგულებდე.

## კასოუსი

აბა, შევთანხმდით!

გამოგიტყდები, ჩემო კასკა, ავიყოლიე  
წარჩინებული რომაელი რამოდენიმე.  
ერთად ვაპირებთ შევასრულოთ ეს საპატიო  
და მძიმე საქმე. შეიკრიბნენ ისინი უპვე.  
მელოდებიან პომეუსის კოლონადასთან.  
არავინ დადის ახლა გარეთ. ეს ბნელი ღამეც  
ისე შავია, შემზარავი, ისე მგზნებარე  
და სისხლიანი, ვით ამბავი, რაც განვიზრახეთ.

**კასკა**

ჩუ, ვიღაც მოდის!

*შეძლის ცინა*

**კასიუსი**

ეს ცინაა, ნაბიჯებზე ვცნობ.  
ჩვენიანია. ცინა ასე სად მიიჩქარი?

**ცინა**

შენ დაგემებდი. ის ვინ არის, მეტელუს ციმბელ?

**კასიუსი**

არა, კასკაა. უერთდება ისიც ჩვენს საქმეს.  
ჩვენიანია. შენ მითხარი, მელოდებიან?

**ცინა**

ძალიან კარგი. საშინელი ლამე კი დადგა.  
რამოდენიმემ უცნაური ამბავი მითხრა,  
თვითონ ვნახეო.

**კასიუსი**

მე რა გკითხე!

**ცინა**

გელოდებიან.  
იქნება შეძლო, შენ კასიუს, ბრუტუსიც იყოს.

**კასიუსი**

შენ არ იღელვო, ჩემო ცინა, სჯობს ეს ფურცელი  
პრეტორის სკამზე ისე დადო, ბრუტუსმა ნახოს.  
ესეც მეორე, ფანჯარაში უნდა შეუგდო.  
ამას მიაკრავ დღესვე, სანთლით, ძველი ბრუტუსის  
ქანდაკებაზე. რომ მორჩები, ჩვენთან წამოდი,  
შენც გელოდებით პომპეუსის კოლონადასთან.  
დეციუს ბრუტუს, ტრებონიუს ხომ იქ არიან?

## **ცინა**

ყველა იქ არის, გარდა ერთის. მეტელუს ციმბელ  
შენს საძებნელად წამოვიდა. ახლა წავედი.  
ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მითხარი.

## **კაზუსი**

კარგი. და დროზე, პომპეუსის თეატრთან მოდი.

### *ცინა გადას*

გათენებამდე ბრუტუსს სახლში უნდა მივადგეთ.  
მე და შენ, კასკა. უნდა გახდეს ბოლომდე ჩვენი.  
ასე იქნება.

## **კასკა**

ბრუტუსს ყველა დიდ პატივსა სცემს.  
თუკი რაიმე შეგვეშალა, ჩვენ გაგვიცხავენ.  
მასთან ერთად კი არასოდეს. თან ეს ერთობა  
მეტ სიდიადეს, მეტ ღირსებას მისცემს ჩვენს საქმეს.

## **კასიუსი**

ჰო, სწორად მსჯელობ ღირსებაზე. მშვენივრად მიწვდი,  
როგორ გვჭირდება. ნუ ვაყოვნებთ. გვაგვიანდება.  
გადასულია შუალამე. დრო აღარ იცდის.  
უნდა მოვასწროთ, გავაღვიძოთ გათენებამდე,  
რათა დავრწმუნდეთ, რომ ბრუტუსი ჩვენს გვერდით არის.

## მეორე მოქმედება

### სურათი I

ბრუტუსის ძალი. შემოდის ბრუტუსი

#### ბრუტუსი

ლუციუს, სად ხარ?

ცაზე მნათობთა განლაგებით ვერ გამოვთვალე,  
გათენებამდე რა დრო დარჩა. ლუციუს! გესმის?!  
ნეტავ შენსავით მეც შემეძლოს ტკბილად ვიძინო.  
ლუციუს, რა გჭირს, გაიღვიძე!

შემოდის ლუციუსი

#### ლუციუსი

გისმენთ, ბატონო!

#### ბრუტუსი

ჩქმს სამუშაო მაგიდაზე სანთელი დადგი.  
ჯერ მოუკიდე, და მითხარი, მზად რომ იქნება.

#### ლუციუსი

ახლავე, ჩქმო ბატონო!

გადის

#### ბრუტუსი

სხვა გზა არ არის. უნდა მოკვდეს! მე მას პირადად  
სულაც არ ვერჩი. არათერი არ დამიშავა.  
მაგრამ მოითხოვს საზოგადო კეთილდღეობა.  
რაკი ინება, რომ დაიდგას თავზე გვირგვინი,  
ახლა ისა ვთქვათ, როგორ შეცვლის ეს მის ბუნებას!  
სწორედ მზიან დღეს ამოძვრება გველი სოროდან.  
სიფრთხილე გვმართებს. რა მოხდება, თუ გამეფლება?  
ასე მგონია, თვითონ მივცემთ გესლიან ნესტარს.  
როცა სურვილი გაუჩნდება, გამოიყენებს.  
ზიბლით დატკბება განდიდების. ვერ მოახერხებს

ძალაუფლებას შეუთანხმოს მისი სინდისი.  
მითუმეტეს რომ, ლაპარაკი კეისარზეა!  
არაფერია დასამალი. ჯერ არ მინახავს,  
გრძნობას არ აჰყვეს და გონებას დაქმორჩილოს.  
ამბიციური პიროვნება, ეს ცნობილია,  
თავიდან იწყებს თავმდაბლობით. რაც უფრო მაღლა  
ადის კიბეზე, თავის სახეს თანდათან ჰკარგავს.  
როცა ღრუბლებში აფრინდება, კიბეს ივიწყებს.  
ხომ შეიძლება კეისარსაც ეს დაემართოს?!  
და თუ არ გვინდა ასე მოხდეს, უნდა შეჩერდეს!  
ახლავე. დღოზე. ხომ გვგონია, რომ ზის ნაჭუჭუში  
გველის წიწილი. თავის მოდგმას რაკი არასდროს  
არ უდალატებს, უნდა ჩავკლათ! რაღას ველოდოთ!  
ვიდრე გველი გამოიჩეკა.

### შემოღის ლუციუსი

**ლუციუსი**  
თქვენს მაგიდაზე დგას კანდელი. ანთებულია.  
კაუს რომ ვეძებდი, ფანჯარაზე ვნახე წერილი.  
დალუქელია. ნახეთ როგორ! რომ ვიძინებდი,  
ნამდვილად ვიცი, ეს წერილი იქ ჯერ არ იდო.

**ბრუტუსი**  
წადი, დაწექი. განთიადი კიდევ შორსაა.  
შენ ის მითხარი, ხვალ თენდება მარტის იდები?

**ლუციუსი**  
რა მოგახსენოთ.

**ბრუტუსი**  
მაშ ჩაიხედე კალენდარში. გამაგებინე.

**ლუციუსი**  
ახლავე, ჩემო ბატონო.  
**გაღის**  
**ბრუტუსი**  
ცა ისე ელავს და ისეთი ცეცხლი ბრიალებს,

რომ შუქი კმარა, წავიკითხო წერილი აქვე.

წერილს გახსნის და კითხულობს:

„ბრუტუს, შენ გძინავს, გამოიღვიძე. გახსოვდეს ვინ ხარ.

თქვი, რომს შეჰვერის . . და ასე შეძლევ

ხმა ამოიღე იმოქმედე, აღადვინე ჩეხი ღირსება.“

გაიღვიძეო, ნუ გძინავსო, ამ სიტყვებს უკვე

მერამდენეჯერ შევეჯახე. „თქვი, რომს შეჰვერის . . ?“

დაახ, რომს მართლაც არ შეჰვერის ერთი მმართველის

უღელქვეშ ყოფნა! ეს რომია? რომი ის იყო,

როდესაც ჩემმა წინაპარმა ტარკვინიუსი

მხოლოდ იმისთვის გააძევა, რომ მან ინდომა

რომში მეფობა. „იმოქმედე, ხმა ამოიღე

შენ აღადვინე.“ ელიან ჩემს სიტყვას და საქმეს!

რომო, იცოდე, ოღონდაც კი ძველი დიდება

კვლავ დაიბრუნო, თავს არ ზოგავს შენთვის ბრუტუსი,

ყველა მოთხოვნას, უცილობლად, ის შეგისრულებს!

შემოდის ლუციუსი

### ლუციუსი

ბატონო ჩემო თხუთმეტი დღე გასულა მარტის!

ისმის კაკუნი

### ბრუტუსი

ძალან კარგი. აბრახუნებს ვიღაცა კარზე!

ლუციუსი გადის

რაც კასიუსმა გამიღვივა კეისრის მტრობა,

ძილი დავკარგე.

ჩაფიქრებიდან ავი საქმის აღსრულებამდე,

დრო ისე გადის, ვით მტანჯველი დამის კოშმარი.

გონება ცალკე იხლიჩება, სხეული ცალკე

და ნაწილები ერთმანეთთან ვერ რიგდებიან.

ო, როგორ ჰერაკლი კაცი ამ დროს ციცქა სამეფოს,

რომლის საყრდენი ამბოხებას შეურყევია.

შემოდის ლუციუსი

### ლუციუსი

სტუმარი თქვენი მეგობარი კასიუსია.

ნახვა მინდაო, ასე ამბობს.

## ბრუტუსი

მარტო მოვიდა?

## ლუციუსი

სხვებიც არიან მასთან ერთად.

## ბრუტუსი

იცანი ვინმე?

## ლუციუსი

ვერა ბატონო, თავზე ქუდი ჩამოუფხატავთ,

სახე ნახევრად მოსასხამით აქვთ დაფარული.

ვერ გავარკვიე ვინ არიან.

## ბრუტუსი

კარგი, მოვიდნენ.

## ლუციუსი გადის

ალბათ შეთქმული! იმათ გარდა ვინ შეიძლება

ამ შავბრძლელ ღამეს დაუმალოს თავისი სახე,

როცა ეშმაკიც კი ნავარდობს ლაღად წებაზე.

რომ გათენდება, რაღას იზამთ, ან რას იპოვით

წყვდიადით მოცულს, თქვენს ავ ზრახვებს ნიღბად მოარგოთ?

ვერაფერის ნახავთ. არც ეძებით! არ გირჩენიათ,

სიკეთით სავსე, სათნო ლიმილს ამოეფაროთ?

პირისახეზე თუ დაგაჩნდათ, რა ჩაიფიქრეთ,

თვით კუნაპეტი ერებოსიც ვეღარ შეგნიღბავთ.

შემოღიან კასიუსი, კასკა, დუციუსი, ცინა,

შეტელუს ციმბერი და ტრებონიუსი

## კასიუსი

გავკადნიერდით და მყუდროება დაგირღვიეთ.

მშვიდობის დილა, ჩემო ბრუტუს. ძილი დაგიფრთხეთ?

## ბრუტუსი

წუხელ საერთოდ არ მეძინა, არც დავწოლილვარ.

ვიცნობ მე ვინმეს, შენთან ერთად ვინც აქ მოვიდა?

### **კასიუსი**

უკლებლივ ყველას. აქ არიან, ვინც პატივსა გცემს,  
ვით დანარჩენი რომაელნი, ღირსებით სავსე.  
მათ იმედი აქვთ, შენ ვინა ხარ, აცნობიერებ.  
ტრებონიუსი გახლავთ იყო.

### **ბრუტუსი**

მოგესალმებით!

### **კასიუსი**

ეს დეციუს ბრუტუსია.

### **ბრუტუსი**

ჩემი სალამი!

### **კასიუსი**

ეს კასკა არის. ცინა. მეტელუს ციმბერ.

### **ბრუტუსი**

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. რამ შეგაწუხათ?  
სუყველას ერთად რამ დაგიფრთხოთ ამ ღამით ძილი?

### **კასიუსი**

თუ ნებას მომცემთ, ცალკე გეტყვით ორიოდ სიტყვას.  
ისინი ჩემხდ საუბრობენ

### **დეციუსი**

აღმოსავლეთი აქეთაა. მგონი თენდება.

### **კასკა**

არა.

### **ცინა**

ჯერ არა. რიურაჟია. ამის მაცნეა  
ის მტრედისფერი ორნამენტი ღრუბლის კიდეზე.

## კასკა

ახლა მოგიწევთ აღიაროთ, ორივე შეცდით.  
მზე იქ ამოვა, ხმალს რომ ვიშვერ. მოკლე გზას გადის  
სამხრეთისაკენ, რადგან წელი ახლა დაიწყო.  
ზენიტში ავა მზე ორ თვეში. მერე ჩრდილოეთს  
გადასწვდება მისი სხივები. აღმოსავლეთი,  
კაპიტოლიუმს რომ უყურებთ, აი იქ არის.

## ბრუტუსი

მომეცით ხელი ყველამ ერთად!

## კასიუსი

და დავიფიცოთ!

## ბრუტუსი

ფიცი არ გვინდა. თუ ამდენი თავგასულობა,  
ტანჯვა-წამება სულიერი, ანდა ეს ყოფა,  
გაუსაძლისი, აუტანდად არ მიგვაჩნია,  
მაშ წამოვგორდეთ ჩვენს ლოგინში და მივცეთ ნება  
ულმობელ ტირანს, იბატონოს, როგორც ინებებს ,  
ვიდრე ყველანი სათითაოდ გავიწირებთ.  
თუმცა რაც მე ვთქვი, ალბათ კმარა, მჰერა ასეა,  
აანთოს ცეცხლი მხდალ გულებშიც, გასამსნევებლად  
და დედაკაცურ უძლურების გასამკლავებლად.  
მოქალაქენო, უფრო ძლიერ რა გვაიძულებს,  
ვიდრე სურვილი, ვიმოქმედოთ! ფიცი რად გვინდა!  
რამ უნდა შეგვკრას რომაელის სიტყვაზე მტკიცედ?!  
ფიცი არ გვინდა, გადავწყვიტეთ რაკი გულწრფელად,  
თუ ვერ შევძელით, მაშინ მზად ვართ, რომ დავიხოცოთ!  
უნახავს ვინმეს რომაელი, სიტყვის გამტეხი?!  
მოდალატებს უყვართ ფიცი, როცა ტყუინ.  
ლაჩართ, არაკაცთ და მისთანებს, ანდა დავრდომილთ,  
ვისაც არ ძალუმს გაუმკლავდეს მოძალადებს.  
ჩვენს წმინდა საქმეს არ სჭირდება ფიცის დადება.  
სულის სიმსნევეს და ბრძოლის ჟინს ეგ არას მატებს.  
ფიცი რა არის, როცა სისხლის ყოველი წვეთი

არის პასუხი რომაელის უღირს ქცევაზე,  
თუ მას ჩაიდენს, მიცემული სიტყვის გატეხით .

### კასოუსი

რა აზრისა სართ ციცერონზე? შევატყობინოთ?  
ეჭვი არა მაქვს, დაგვიდგება გვერდით ნამდვილად.

### კასკა

მას უნდა ვუთხრათ, ასე ვფიქრობ.

### ცინა

ჰო, რა თქმა უნდა!

### მეტელუსი

აუცილებლად დაგვჭირდება. მაგის ჭალარა  
დაგვეხმარება უკეთესი თვალით შეგვხდონ.  
სმებსაც მოგვიტანს, იფიქრებენ, მოქმედებენ  
მოხუცის რჩევით. ახალგაზრდულ ჩვენს აღტკინებას  
სიდარბაისლით და სიდინჯით მეტ წონას მისცემს.

### ბრუტუსი

არა, არ ვეტყვით მას არაფერს, რადგან ვიცი რომ  
სხვის წამოწყებულ საქმეს იგი არ წამოყვება.

### კასოუსი

მაშინ არ გვინდა!

### კასკა

ნურც ნურაფერს გავაგებინებთ

### დეციუსი

სხვას ჩვენ არვის შევეხებით, კეისრის გარდა?

### კასოუსი

კარგი კითხვაა, ეგ დეციუს. იცი, რას ვფიქრობ,  
იმასთან ერთად ალბათ მარჯუს ანტონიუსიც.

ძალიან უყვარს ის კეისარს. თუკი დავინდობთ,  
არ მოგვასვენებს, არ დაიშლის მზაკვრულ განზრახვებს.  
აუცილებლად შეეცდება შური იძიოს.  
ანტონიუსიც მივაყოლოთ თავის კეისარს.

### ბრუტუსი

სისხლისმელები ყოფილანო, ასე იტყვიან.  
თავი მოგაჭრათ თუ ხელ-ფეხი, ჯაგრი გვჭირს თითქოს!  
უყვარს კეისარს. ხელ-ფეხია კეისრის ტანზე  
ანტონიუსი, მაგრამ ყასბები ხომ არა ვართ!  
არა, კასიუს, მსხვერპლშეწირვა უნდა მოვაწყოთ!  
განა არ ვებრძგით კეისარში ჩვენ კეისარიზმს?  
სულს, კეისრისას? კაცის სულს კი სისხლი არა აქვს.  
ნეტავ შევვეძლოს მოვამოროთ სული იმგვარად,  
სხეულს საერთოდ არ შევეხოთ. მაგრამ ვერ ვიზამთ,  
რადგან უსისხლოდ კეისარი არ დაგვნებდება.  
აი ამიტომ, მეგობრებო, კეთილშობილნო,  
მოვკლათ თამამად, უსათუოდ რისხვის გარეშე.  
ვით ღვთის ტარიგი, რიტუალზე ლახვარცემული  
და არა ძალლთა დასაძლომად დაჭრილ-აქნილი.  
დაჟ ამ გულმა, გამჭრიანი ბატონის მსგავსად,  
უბრძანოს გრძნობას, შემსრულებელს! მან ჩაიდინოს  
სასტიკი აქტი. შემდეგ განგებ, გავკიცხოთ გრძნობა.  
ეს ნათელს გახდის იმულებას გარემოების.  
ნუთუ რამე სხვა გვამორავებს! ჩვენ ხალხის თვალში  
გამოვჩნდებით როგორც მხსნელი და არა მკვლელი.  
რაც შეეხება ანტონიუსს, ნუ გეფიქრებათ,  
რა შეუძლია კეისრის ხელს, როდესაც თავი  
მოცილდება ტანს კეისრისას.

### კასიუსი

მე მაინც ვშიშობ.  
მას ისე უყვარს კეისარი, იმდენად ძლიერ,

### ბრუტუსი

არაფერია ჩემო კარგო, ეგ დაივიწყე.

და რაკი უყვარს კეისარი, მას შეუძლია  
იდარღოს მასზე, მოკვდეს მისთვის, სხვა არაუერი.  
ესეც ბევრია, რადგან ხიბლავს თამაშობანი,  
ლალად ნავარდი, ხალხთან ყოფნა, მათთან გართობა.

### ტრებონიუსი

არა, საშიში არ იქნება. არ უნდა მოვკლათ.

ვინ იცის, მერე, მან ამაზე იცინოს კიდეც.

საათი ჩამოურავს

### ბრუტუსი

ჩუ, აბა ვნახოთ, რამდენს რეკავს!

### კასიუსი

სამჯერ ჩამოკრა!

### ტრებონიუსი

ახლა კი დროა, დავიშალოთ.

### კასიუსი

ისიც არ ვიცით

მოვა თუ არა, კეისარი. ბოლო ხანებში

რაღაც ცრურწმენებს აჰყოლია. ადრე არ სწამდა

არც შელოცვების, არც საზმრების, არც ჯადოქრობის.

იქნებ ბუნების უჩვეულო საშიშ მოვლენებს,

რაც გაფრთხილებად მოგვეჩვენა ყველას ამ ღამით,

ქურუმთა რჩევაც დაემატოს და არ მოვიდეს.

კაპიტოლიუმს შეიძლება არც გაეკაროს.

### დეციუსი

ნუ გეშინიათ. თუ მოხდა და, ასე ინდომა,

მე მაინც შევძლებ, აზრი უცებ შევაცვლევინო.

სულ იმას ამბობს, რომ მარტორქას ხე აცდუნებსო,

დათვი სარკეში ებმებაო, სპილო ორმოში,

ლომი ხაფანგში, ხოლო კაცი იხლართებაო

ვერაგ ბადეში პირფერობის. რომ ვეტყვი ხოლმე,

მლიქვნელი ხალხი ალბათ გძულს-თქო, ამბობს კი, მძულსოდა ვერც კი ხვდება, პირუერობა სწორედ ეს არის. მე დამავალეთ.

გარწმუნებთ ვიცი, მის ხასიათს როგორ მივუდგე. მე მას მოვიყვან, დამიჯერეთ, დილით სენატში.

### **კასიუსი**

არა, ყველანი ერთად მოგალთ და წამოვიყვანთ.

### **ბრუტუსი**

რვა საათისთვის, ამას აღარ გადავაცილოთ.

### **ცინა**

ასე შევთანხმდეთ და ნურავინ დაიგვიანებს.

### **მეტელუსი**

ლიგარიუსი კეისარზე გულნატკენია, როგორ აქეო, პომპეუსი, უსაყვედურა. არც გაგახსენდათ ოქვენ კაიუს ლიგარიუსი.

### **ბრუტუსი**

ჰო, მართალს ამბობ. წადი მასთან, მეტელუს, სწრაფად. ვიცი ვუყვარვარ. საამისოდ მიზეზიცა აქვს. აქ გამოგზავნე. თვითონ ვეტყვი, რაც სათქმელია.

### **კასიუსი**

კარზე მოგვადგა განთიადი. ბრუტუს, დაგტოვებთ. მაშ დავიშალოთ, მეგობრებო. რაც ვთქვით, გახსოვდეთ, გვიჩვენეთ, ოქვენი ჭეშმარიტი რომაელობა.

### **ბრუტუსი**

აბა, გამხნევდით, ბატონებო, და გაიღიმეთ. არ შეგვამჩნიონ, რა განზრახვა ჩავიდეთ გულში. ჩვენ ვითამაშებთ რომაელი მსახიობივით! მშვიდი ნიღაბი ავაფაროთ ბობოქარ ვნებას. ახლა კი ყველას მსურს გისურვოთ მშვიდობის დილა.

**შეთქმულნი ვადიან. რჩება მხოლოდ ბრუტუსი**  
ბიჭო, ლუციუს, ისევ გძინავს? ჰო, კარგი, კარგი.  
დატები სიმშვიდით, ძილ-ბურანის ტკბილი წექტარით.  
შენ არ გტანჯავენ სიზმრუელი მოლანდებები,  
ფიქრით დაღალულ კაცის ტვინს რომ არ ასვენებენ.  
იმინე შენთვის უდარდელად.

### **პორცია**

ჩემო ბატონო!

### **ბრუტუსი**

რისოვის მოხვედი აქ, პორცია! რატომ ამდგარსარ?  
განა არ იცი, რომ ეს შენთვის არ შეიძლება,  
არ მოუხდება დილის სუსხი შენს ჯანმრთელობას.

### **პორცია**

არც შენთვის ვარგა. სად წახვედი, მარტო დამტოვე,  
სად გამეპარე. ანდა წუხელ, როცა ვვახშმობდით,  
რატომ წამოხტი უცებ ფეხზე! რა დაგემართა!  
თან სულ ოხრავდი, ბოლოთას სცემდი, რაზე ფიქრობდი?  
რომ შეგეკითხე, ასე რად ხარ, რა მოხდა-მეთქი,  
ძალიან ცუდად შემომხედე. მე არ მოგეშვი  
და ისევ გკითხე. შენ რატომდაც თავზე მოისვი  
უცებ ხელი. იატაკზე ფეხიც დაპკარი.  
ჩემსას ჯიუტად ვაგრძელებდი, პასუხს ვითხოვდი,  
შენ მაინც სდუმდი. გამიბრაზდი, ხელით მანიშნე,  
გამეცალეო. მეც დაგტოვე, რადგან ვშიშობდი,  
რომ უფრო მეტად შეიძლება გაღიზიანდე.  
ჩემთვის ვფიქრობდი, ხასიათზე ვერ არის-მეთქი.  
ვის არ მოსვლია, ზოგჯერ ისეთ გუნებაზე ხარ,  
არც ჭამა გინდა, აღარც ძილი, არც საუბარი.  
მაგრამ ძალიან შეიცვალე, სულ ვეღარა გცნობ!  
ჩემო ძვირფასო, ჩემო ბრუტუს, იქნებ გამანდო  
მიზეზი შენი მწუხარების. რატომ ხარ ასე.

## **ბრუტუსი**

არა ვარ კარგად. სულ ეს არის. სხვა არაფერი.

## **პორცია**

ჩემს ბრუტუსს სიბრძნე არ აკლია. თუ ცუდად არის,  
კარგად ყოფისთვის იზრუნებდა, აუცილებლად!

## **ბრუტუსი**

მაგას ვაკეთებ. შენ დაწექი, წადი, პორცია!

## **პორცია**

ბრუტუსი ამბობს აგად ვარო? თან დადის ასე,  
მკერდგადედილი, მინდობილი დილის სიგრილეს?  
როგორ, ბრუტუსი ავად არის? და მიატოვა  
თბილი ლოგინი? მიაშურა ამ სნების მომტან  
ღამის სიცივეს, რათა უფრო ცუდად შეიქნეს?  
ავად არა ხარ, ჩემო ბრუტუს. სხვა რამ გაწუხებს.  
მე მაქს უფლება, რომ ვიცოდე, რა გტანჯავს ასე.  
გემუდარები, თუ გიყვარვარ, ნუ ღამიმალავ.  
გახსოვს, ოდესლაც რომ ეტროდი ჩემს სილამაზეს,  
გაფიცებ აღთქმას, რაც მომეცი, ქორწინებისას.  
ხომ დაიფიცე, ვიქნებოდით ერთსულ და ერთხორც?!  
ჰოდა, უთხარი შენს ნახევარს, შენს სულის ნაწილს,  
რა დარღი გაწევს, ან ის ექვსი თუ შეიდი კაცი  
რატომ მოვიდა. თავის სახეს ვის უმალავდნენ.  
მუხლმოდრეკილი გევედრები!

## **ბრუტუსი**

არ დაიჩოქო!

## **პორცია**

არ დამჭირდება, გამოიჩენს თუკი სიკეთეს,  
ჩემი ბრუტუსი. ხომ წერია ცოლ-ქმრულ კანონში,  
ის საიდუმლო რაც შენია, მისიც არისო.  
თუ ნაწილი ვარ კონკრეტული უფლების მქონე,  
ლოგინში გყავდე, შენთან ერთად მივირთვა ხოლმე,

როცა ისურვებ, გესაუბრო! რა გამოვდივარ,  
საყვარელი ვარ მხოლოდ შენი და არა ცოლი.

### ბრუტუსი

შენ ხარ მეუღლე ღირსეული, უძვირფასესი,  
ისე საჭირო, როგორც სისხლის ყოველი წვეთი,  
ჩემს სევდიან გულს რომ აცოცხლებს, ასე აძგერებს.

### პორცია

თუ ეს ასეა, საიდუმლოს რატომ არ მიმხელ?  
ჰო, მე ქალი ვარ, მაგრამ ქალი, რომელიც ცოლად  
დიდმა ბრუტუსმა მოიყვანა. ჰო, მე ქალი ვარ,  
მაგრამ აგრეთვე ღირსეული შვილი კატონის.  
ასეთი მამის და ქმრის ხელში, როგორ გგონია,  
არ გავხდებოდი სხვა ქალებზე უფრო ძლიერი?!  
გამიზიარე. ხომ მენდობი, რომ არ გავამხელ.  
გახსოვს, როდესაც ასე იყო ჩვენთვის საჭირო,  
თეძოზე თვითონ მივიყენე დანით ჭრილობა.  
შენ როგორ ფიქრობ, მე ვერ შევძლებ, რომ ქმარს გავუგო?  
მისი დარღი და საიდუმლო გავიზიარო?!

### ბრუტუსი

ღმერთებს მადლობა, რომ მარგუნეს ასეთი ცოლი!

კარზე ამრახუნებენ

ჩუმად, მოვიდა მგონი ვიღაც! პორცია, სახლში  
უნდა შეხვიდე! გეფიცები, ყველაფერს გეტყვი.  
არ დაგიმალავ, რა მაწუხებს და რას ვაპირებ.  
ახლა დამტოვე!

პორცია გადის

შემოდიან ღუციუსი და ღიგვარიუსი  
ვინ მოგვადგა კარზე ლუციუს?

### ლუციუსი

ავადმყოფია, ვიღაც კაცი, თქვენი ხახვა სურს.

## **ბრუტუსი**

ლიგარიუსი! მეტელუსმა გამომიგზავნა!  
წადი, დაგვტოვე! ლიგარიუს, მოგესალმები.

## **ლიგარიუსი**

პატივისცემით მსურს გისურვოთ მშვიდობის დილა.

## **ბრუტუსი**

შეფუთულს ვხედავ სამწუხაროდ მამაც კაიუსი!  
ძალზე ცუდი დრო შეარჩიე ავად სამყოფად!

## **ლიგარიუსი**

ავად არა ვარ, როცა ბრუტუსის სურს დამავალოს  
ისეთი საქმე, რაც ღირსებას ემსახურება.

## **ბრუტუსი**

სწორედ ამგვარი საქმე არის და იმედი მაქვს,  
ყური არ გტკივა, შეგიძლია, რომ მომისმინო.

## **ლიგარიუსი**

ყველა ღმერთს ვფიცავ რომაელთა, ვისაც თაყვანს ვცემთ,  
აქვე განვაგდებ მე სატკივარს!

მოიხსნის, რაშიც იყო განვუდი  
ო, სულო რომის!

შენ, წინაპართა ღირსეულო, მამაცო შვილო!  
რა გრძელებით გამიცოცხლე ჩამკვდარი რწმენა.  
ახლა მზადა ვარ, შევასრულო, რასაც მიბრძანებ.  
შეუძლებელიც რომ აღმოჩნდეს, მე მაინც შევძლებ.  
რა საქმე არის, გთხოვ, მითხარი, რა გავაკეთო!

## **ბრუტუსი**

საქმე ესება ავადმყოფის გაჯანმრთელებას.

## **ლიგარიუსი**

ალბათ ამისთვის ვიდაც უნდა გავხადოთ ავად!

## **ბრუტუსი**

გამოიცანი. ეგ გვჭირდება. ჩემო კათუს,  
ყველაფერს გეტყვი. მაშ წავედით ახლავე მასთან,  
ვისაც ვგულისხმობთ.

## **ლიგარუსი**

გამიძები და უკან მოგდევ  
გულანთებული. მართალია, ჯერ ვერ გავიგე,  
თუ რას ვაკეთებ, მაგრამ ბრუტუსს მივყვები.

## **ბრუტუსი**

წამო!

გადიან

## **სურათი II**

კეისრის სასახლე. ქუხს, ელავს. შემოდის კეისარი დამის პერანგით

### **კეისარი**

რა ღამე დადგა! დედამიწაც, ზეცაც ბობოქრობს!  
სამჯერ იყვირა კალფურნიამ ძილში ხმამალლა,  
კეისარს კლავენ, უშველეთო! მანდ რომელი სარ!  
შემოდის მხახური

### **მსახური**

გისმენთ, ბატონო!

### **კეისარი**

მსურს ქურუმებმა მსხვერპლშეწირვის რიტუალებით  
გამოარკვიონ, რა მელოდება.

### **მსახური**

კარგი, ბატონო!  
გადის. შემოდის კალფურნია

## **კალფურნია**

თქვი, რას აპირებ, კეისარო? გინდა წახვიდე?  
არ შეიძლება შენი გასვლა შინიდან გარეთ!

## **კეისარი**

უნდა წავიდეს კეისარი! საფრთხეს ჰგონია,  
რომ მაშინებს, მე ზურგსუკან ვიღრე მომყვება.  
როცა სახეში შემომზედავს, იქვე გაქრება.

## **კალფურნია**

იცი, ცრურწმენებს არასოდეს არ ავყოლივარ.  
ახლა მაშინებს. რაც ჩვენ ვნახეთ, ისიც კი კმარა.  
მაგრამ სრულიად გასაოცარ ამბავს ჰყვებოდა  
ვიღაც, რომელმაც თვითონ ნახა, მცველების თვალწინ  
იქვე, ქუჩაში, ლომს ლეკვები რომ დაუყრია!  
მერე გახსნილა საფლავები. იქიდან მკვდრები  
ამოდიოდნენ. მაღლა ცაში, ღრუბლების თავზე,  
ერთი ლაშქარი მეომრების, ჩეხდა მეორეს,  
ომის წესებით, თავგანწირვით და დაუნდობლად.  
იმათი სისხლი ეღვრებოდა კაპიტოლიუმს.  
ომის ყიუინა გაისმოდა, ცხენის ჭიწვინი,  
კვნესა-გოდება მომაკვდავთა. მოჩვენებებით,  
შავი ლანდებით ავსებულა ღამით ქუჩები.  
შენ, კეისარო, ასეთი რამ თუ გაგიგია?!  
შიშმა შემიპყრო ამის გამო.

## **კეისარი**

რაც გიწერია,  
ვერსად წაუხვალ. ღმერთის ნება გარდუვალია.  
ნამდვილად წავალ. ეგ ნიშნები საერთო არის.  
ყველას ეხება და იმათ შორის, თვით კეისარსაც!

## **კალფურნია**

გლახაკთა სიკვდილს კომეტებით როდი გვამცნობენ!  
ზეცა გვაუწყებს დიდებულთა გარდაცვალებას!

### **კეისარი**

მხდალი მრავალჯერ კვდება ზოლმე, ვიღრე მოკვდება.  
ერთხელ სიკვდილი – ეს მამაცთა ზვედრია მხოლოდ!  
ყველაზე მეტად რა მაოცებს, გამოგიტყდები.  
რატომ აშინებს კაცს სიკვდილი, როდესაც იცის  
ეს დასასრული არ აცდება.

*შემოდის მსახური  
რა იმკითხავეს?*

### **მსახური**

ნურსად წავაო დღეს შინიდან, ასე გირჩიეს.  
როცა ერთ ცხოველს შიგნეული ამოაცალეს,  
გული ვერ ნახეს. შესაწირავს გული არ ჰქონდა.

### **კეისარი**

ასე დასცინეს შიშის გრძნობას დიდმა ღმერთებმა.  
დაემსგავსება კეისარი მაგ მზეცს, უგულოს,  
თუკი დაფრთხა და, არ გაგიდა შინიდან არსად.  
მაგას არ ვიზამ. განსაცდელმა მშვენივრად იცის,  
რომ კეისარი მასზე უფრო საშიში არის.  
ორი ლომი ვართ, ერთ დღეს გავჩნდით. მე ვარ უფროსი,  
უფრო მმგინვარე. და დღეს წავა იქ კეისარი.

### **კალფურნია**

გულდაჯერებულს გეპარგება გონიერება.  
გთხოვ, არ წახვიდე. ჩემს სიმხდალეს გადააბრალე.  
მე შემეშინდა, მე დავტოვე, შენ არ გინდოდა.  
მოდი, სენატში გავაგზავნოთ ანტონიუსი.  
ავად გახდაო, ასე იტყვის. გემუდარები.

### **კეისარი**

ავად არისო, იტყვის მარტუს ანტონიუსი?!  
კარგი, დავრჩები, რადგანაც შენ ასე ისურვე.  
შემოდის დეციუსი  
დეციუს ბრუტუს! აი ესეც დაუდასტურებს.

## **დეციუსი**

მოგესალმები კეისარო! მშვიდობის დილა  
მსურს რომ გისურვო და სენატში ერთად წავიდეთ.

## **კეისარი**

კარგ დროს მოხვედი. დაგაბარებ სენატორებთან  
ჩემს თბილ მოკითხვას. გადაეცი, დღეს არ ვიქნები.  
ვერ მოვიდა-თქო არ იგარგებს. არც არ მოვიდა!  
დღეს არ ვიქნები. ეს აჯობებს, ასე უთხარი.

## **კალფურნია**

ავად არის-თქო!

## **კეისარი**

კეისარი ტყუილს არ იტყვის!  
ამ მკლავის ძალა იმისათვის გავშალე ქვეყნად,  
რომ ვერ გავგდო სიმართლის თქმა თეორწვეროსნებთან?  
დეციუს, წადი და ასე თქვი, დღეს არ მოვა-თქო.

## **დეცუსი**

ძლევამოსილო კეისარო, უნდა მიზეზიც  
დამისახელო. ასე რომ ვთქვა, გაიცინებენ.

## **კეისარი**

არ მინდა წასვლა. ჩემი ნება არის მიზეზი,  
რაც სენატისთვის საქმარისი იქნება ფრიად.  
შენ კი, პირადად, მიყვარსარ რაკი,  
არ დაგიმალავ, კალფურნიამ სიზმარი ნახა.  
ჩემი მეუღლე დარჩენას მთხოვს შეშინებული.  
ასი ჭრილობა ჰქონდა თურმე ჩემს ქანდაკებას.  
სისხლი მოჩქეფდა ნიაღვარად ნახვრეტებიდან.  
რომაელები სიხარულით, პირზე ღიმილით  
ხელებს იძანდნენ ჩემი სისხლით. ამან ჩათვალა,  
რომ მოასწავებს უბედურებას და მევედრება,  
არ წახვიდეთ, ძალიან გთხოვ, დღეს შინ დარჩიო.

## **დეციუსი**

მაგ სიზმრის ახსნა პირიქთაც შეიძლებოდა.  
 ხილვა გვაუწყებს სასიკეთო ამბებს, მოვლენებს!  
 შენს ქანდაკებას გადმოსჩქეფდა ძლიერად სისხლი,  
 რომაელები ბედნიერნი შიგ ბანაობდნენ.  
 მაცოცხლებელი სისხლი მიეც რომს, კეისარო.  
 ყველას უნდოდა, რომ მიეღო თავისი წილი,  
 დამდა, ნიშანი, ანაბეჭდი, რაღაც თვისება.  
 ალბათ ეს იყო კალფურნიას გამოცხადება.

## **კეისარი**

კარგად ახსენი. მგონი, ასე უნდა გავიგოთ.

## **დეციუსი**

შენც ასე ახსნი, რომ გაიგებ, რა მაქვს სათქმელი.  
 არ დაგიმალავ, გადაწყვიტა სენატმა ერთხმად,  
 დიად კეისარს დღეს დაადგას თავზე გვირგვინი.  
 თუ შეუთვალე, არ მოვალო, ვინ იცის, იქნებ  
 აღარ მოუნდეთ. შეიძლება იხუმრონ კიდეც,  
 სენატიც ხომ არ დაგვეშალა ნეტავ იმ დრომდე,  
 ვიდრე უკეთეს სიზმარს ნახავს კეისრის ცოლი?!  
 რომ დაიმალოს კეისარი, არ დაიწყებენ  
 მაშინვე ჩურჩულს, „კეისარი შიშმა შეიპყრო!“  
 ამას რომ გამბობ, ბოლიშს გიხდი, მაგრამ უფლებას  
 მაძლევს შენდამი სიყვარული და ერთგულება.

## **კეისარი**

სულ ტყუილა, კალფურნია, ეგ შენი შიში.  
 უკვე მრცხვენია, რომ აგყევი. მეც დავიჯერე.  
 ჩემი სამოსი მომიტანეო! უნდა წავიდე!

შემოღიან პუბლიუსი, ბრუტუსი, ლივარიუსი, მეტელუსი,  
 კასკა, ტრებონიუსი და ცინა  
 აი, მოვიდა პუბლიუსიც ჩემს წასაყვანად.

## **პუბლიუსი**

დილა მშვიდობის, კეისარო!

### **კეისარი**

მოდი, პუბლიუს!

ბრუტუს, შენც აქ ხარ? ასე ადრე რამ აგაყენა?!  
მოგესალმები კასკა! კაიუს ლიგარიუს,  
ვზედავ ციებამ კეისარზე ძლიერად გიმტრო,  
სულ ჩამომხმარხარ! რა დრო იქნება?

### **ბრუტუსი**

რვა საათია.

### **კეისარი**

მადლობელი ვარ, რომ შეწუხდით და აქ მობრძანდით.

*შემოდის ანტონიუსი*

ანტონიუსიც კი მოვიდა. გვიან იძინებს,  
ვეღარ ელევა დროსტარებას. დილა მშვიდობის!

### **ანტონიუსი**

მშვიდობის დილა დიდ კეისარს!

### **კეისარი**

*დროზე მოვიდნენ!*

ამდენ ხალხს როგორ ვალოდინებთ! უხერხულია!  
ცინა, აქა ხარ! მეტელუსი! შენც, ტრებონიუს!  
შენთან საქმე მაქვს! კარგად უზდა ვილაპარაკოთ.  
იცოდე, დღესვე მოდი ჩემთან. გვერდით იყავი,  
არ დამავიწყდეს, გამახსენე, რა უნდა გითხრა.

### **ტრებონიუსი**

ახლოს ვიქნები!

*თავისთვის*

ისე ახლოს, მერე იფიქრონ

შენიანებმა, ნეტავი შორს ყოფილიყო.

### **კეისარი**

ღვითო მიირთვით, მეგობრებო, აქეთ მობრძანდით  
და გავეშუროთ მერე ერთად, ვით მეგობრები!

## ბრუტუსი

ბრუტუსის გული იმას გოდებს, ო, კეისარო,  
ეგ შენი „ვით“ მართლა ვით არის, სხვა არაფერი.  
გადიან

## სურათი III

ქუჩა კაპიტოლოუმთან. შემოდის არტემიდორე.  
უკრცელი უკავა და კითხულობს

### არტემიდორე

კეისარო, ერთდე ბრუტუსს, ფრთილად იყავი კასიუსთან, კასკა  
ახლოს არ ვაიკარო, ცინას თვალი არ მოუცილო, არ ენდო  
ტრებონიუსს, ძეტელუს ციმბერს უური უბდე, დუციუს ბრუტუსს  
არ უყვარხარ. კაიუს ლივარიუსი ნაწყენია. ესენი ფელანი ერთ  
აზრზე დგანან და ფიქრები აქვთ შენს წინააღმდეგ. რაკი უკვდავი  
შენ არა ხარ, ფრთხილად იყავი. თუ დაივიწყე საშიშროება,  
შეთქმულებას გზა მიუცემა. ყოვლისშემძლე ღმერთები ვფარავინენ.

შენი ერთგული არტემიდორე  
აქ გავჩერდები. კეისარი რომ გამოივლის,  
თითქოს რამეს ვთხოვ, მივალ მასთან, ამას გადავცემ.  
გული ვერ ითმენს, როცა ვხედავ, რომ სათნოებას  
ბოლმა და შური არ შორდება. თუ მოვახერხე,  
ეს მოგაწოდო, კეისარო, იქნებ გადარჩე.  
და თუკი ვერა, შეთქმულია თვით ბედისწერაც.

გადის

## სურათი IV

იგივე ქუჩა, სხვა ადგილიას. ბრუტუსის სახლთან  
შემოდიან პორცია და ლუციუსი

### პორცია

ახლავე, სწრაფად, გაიქცი, სენატში მიდი.  
ნურაფერს მყითხავ, ნურას იტყვი, უნდა წახვიდე.  
ისევ აქა ხარ?

### ლუციუსი

რისთვის მივდივარ, ხომ უნდა მითხრათ!

### პორცია

უკვე წასვლასაც მოასწრებდი, დაბრუნებასაც,  
ვიდრე მაგ მიზეზს აგიხსნი და გაგაგებინებ!  
ღმერთო, მომეცი გამძლეობა. გული და ენა  
დამიცალებელ. ერთად ყოფნის არ მისცე ნება.  
კაცის გონება ვერ მივეღლის, ძალა ქალის მაქვს.  
ქალებისათვის საიდუმლო მძიმე ტვირთია.  
ისევ აქა ხარ?

### ლუციუსი

ქალბატონო, რა გავაკეთო?  
კაპიტოლიუმს მივაკითხო, სხვა არაფერი?!  
მერე დავბრუნდე. სულ ეს არის, ამას მავალებთ?!

### პორცია

ჰო და მითხარი, როგორ არის შენი ბატონი.  
რომ მიდიოდა, აგად იყო. ისიც გაიგე,  
თუ რას აკეთებს კეისარი. ვინმე უჩივის?  
ეს რა ხმა იყო?

### ლუციუსი

მე არ მესმის.

### **პორცია**

ყური მიუგდე!  
მე გავიგონე. ჩურჩულივით, ჩხუბს მიაგავდა.  
ნიავს მოჰყვება სენატიდან. იქიდან ისმის.

### **ლუციუსი**

მართლა არ მესმის, ქალბატონო, რა გავაკეთო.  
*შემზღის მასანი*

### **პორცია**

მოდი ყმაწვილო. შენ საიდან მოზვედი ახლა?

### **მისანი**

მე, ქალბატონო, სწორედ ახლა, შინიდან მოველ!

### **პორცია**

რა დრო იქნება?

### **მისანი**

ცხრა საათი, დაახლოებით.

### **პორცია**

ნეტავ მივიდა, კეისარი, უკვე სენატში?

### **მისანი**

ჯერ არ მისულა, ქალბატონო. აქ იმიტომ ვარ,  
მინდა კეისარს გზაზე დავხვდე, როცა გაივლის.

### **პორცია**

სათხოვარი გაქვს, თუ უბრალოდ, მისი ნახვა გსურს?

### **მისანი**

მაქვს, ქალბატონო. თუ კეისარს სიკეთე უნდა  
კეისარისთვის, მე მომისმენს აუცილებლად.  
ეს სათხოვარი იმაზეა, რომ თავს არ უმტროს.

## **პორცია**

როგორც ჩანს იცი, აპირებენ კეისარს ავნონ!

### **მისანი**

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვშიშობ, რაღაც მოხდება.  
 გემშვიდობებით. ეს ძალიან ვიწრო ქუჩაა.  
 იმ ამალამ, რაც კეისარს სულ თან დაჰყვება,  
 სენატორები, პრეტორები, უბრალო ხალხი,  
 აქ შეიძლება გადაგთელოს, ფეხქვეშ გაგიგოს.  
 წავალ, მოვძებნი ფართო ადგილს და იქ დავდგები.  
 როცა გაივლის, იქნებ შევძლო ვუთხრა სათქმელი.

## **პორცია**

სხვა გზა არ არის. ისევ სახლში უნდა შევიდე.  
 რა უძლურია ქალის გული! ო, ჩემო ბრუტუს!  
 მაგ შენს საქმეში შემწედ გყავდეს ზეცა მაღალი!

### *თავისთვის*

ხომ არ გაიგო ნეტა ბიჭმა!

### *ლუკრუს*

ბრუტუსს თხოვნა აქვს.

არ დათანხმდება კეისარი.

### *თავისთვის*

ვეღარ გავუძლებ!

ლუციუს, წადი. გადაეცი ჩემგან შენს ბატონს,  
 რომ მე კარგად ვარ. მერე მოდი. მისი ამბავი,  
 რას დაგაბარებს ის პასუხად, გამაგებინე.

გადიან სხვადასხვა მხარეს.

## მესამე მოქმედება

### სურათი I

რომი. კაპიტოლიუმი. სენატი შეკრუბილია.  
კაპიტოლიუმის წინ ქუჩა ხაღლითაა სავსე, რომელთა შორის  
ვხუდავთ არტემოდორეს და ძისანს.

ისმის საყვირის ხმა. შემოდიან კეისარი, ბრუტუსი, კასიუსი, კასკა,  
დეციუსი, მეტელუსი, ტრებონიუსი, ცინა, ანტონიუსი, ლუბადუსი,  
პოპილიუსი, პუბლიუსი და სხვები

#### კეისარი

მარტის იდები ხომ მოვიდა!

#### მისანი

მოვიდა, მაგრამ,  
ჯერ არ გასულა, კეისარო!

მოგესალმები!

რაც აქ წერია, კეისარო, გთხოვ, წაიკითხო!

#### დეციუსი

ტრებონიუსის თხოვნა გახლავთ, მოკრძალებული,  
კარგად გაეცნოთ თქვენ ამ სარჩელს, როცა მოიცლით.

#### არტემიდორე

ო, კეისარო, ჯერ ეს ნახე! ეს ჩემი არზა.  
ეს თქვენ პირადად შეგეხებათ. გთხოვ, წაიკითხო!

#### კეისარი

რაც მე მეხება, ის ნაკლებად მაინტერესებს.

#### არტემიდორე

დროს ნუ დაკარგავ, კეისარო! ახლავე ნახე!

### **კეისარი**

რამ გააგიუა ეს ყმაწვილი?

### **პუბლიუსი**

გზა, გზა მიეცით!

### **კასიუსი**

ეს რა წესია, სარჩელებით ქუჩაში დგომა.

შიგნით შემოღი.

კეისარი შედის კაპიტოლიუმში. ყველა ძას მიყვება.  
სუნატორუბი ფეხზე წამოდვებიან

### **პოპილიუსი**

აბა, გისურვებთ თქვენი საქმე კარგად დასრულდეს!

### **კასიუსი**

რომელი საქმე, პოპილიუს?

### **პოპილიუსი**

გემშვიდობებით.

მადის კეისართან რაღაცის სათქმელად

### **ბრუტუსი**

პოპილიუსი რას ამბობდა?

### **კასიუსი**

კარგად დასრულდეს თქვენი საქმეო, ეს გვისურვა.

მაინტერესებს, რას ვაპირებთ, ხომ არ შეიტყო?

### **ბრუტუსი**

ნახე, მივიდა კეისართან. კარგად უცქირე!

### **კასიუსი**

კასკა, დაიწყე, მიდი დროზე! ზელს შეგვიშლიან!

რა გავაკეთოთ, თუ გაგვიგეს. როგორ მოვიქცეთ?!

ბრუტუს, ხომ იცი, რომ არც მე და, არც კეისარი,

უკან არ ვიხევთ. თავს მოვიკლავ!

## **ბრუტუსი**

კასიუს, მორჩი!

პოპილიუსი სხვა საგანზე ესაუბრება.  
ჟედავ, იცინის. არ შეცვლია კეისარს სახე!

## **კასიუსი**

ტრებონიუსმა კარგად იცის, რაც დაევალა,  
ანტონიუსი უკვე გაჰყავს, ნახე გადაან!

გადიან ანტონიუსი და ტრებონიუსი.  
კეისარი და სენატორები დასხდებიან

## **დეციუსი**

მეტელუს ციმბერს ვერსად ვჰედავ. მივიდეს ბარემ  
და წარადგინოს კეისართან თავისი თხოვნა.

## **ბრუტუსი**

უკვე მივიდა. შენც წამოდი, გვერდით დადექი.

## **ცინა**

კასკა, ხომ გახსოვს, შენ დაიწყებ, პირველი ურტყამ!

## **ბრუტუსი**

ყველანი მზად ვართ? მოვისმინოთ, რა თხოვნით უნდა  
მიმართონ ახლა კეისარსა და მთელ მის სენატს.

## **ციმბერი**

ძლევამოსილო კეისარო, წყალობას ითხოვს  
მეტელუს ციმბერ. დიდი კრძალვით შემოგბედავ და  
მოგმართავ თხოვნით.

დაიჩოქებს

## **კეისარი**

ციმბერ, უნდა გაგაწყვეტინო.  
მუხლზე დაგარდნით, ასე თხოვნით, სვერწა-მუდარით,  
გულს აუჩქროლავ ჩვეულებრივ, უბრალო მოკვდავს  
და აიმულებ, მის განაჩენს არ სცეს პატივი.

არ დაიჯერო, კეისართან გამოგივიდეს! ვერ გააბრიყებ. მის ღირსებას არ ეკარება არც დათაფლული ეგ სიტყვები, არც ძირს დაცემა და ძაღლივით, საცოდავი კუდის ქიცინი. კანონიერად განიდევნა, იცი, შენი მმა. თუ გააგრძელებ ასე ხოხვას, ფეხების ლოკვას, მართლაც, როგორც ძაღლს, წიხლს ამოგკრავ და მოგიშორებ . ტფუილ-უბრალოდ კეისარი არავის დასჯის. და არც არავის შეიწყალებს სულ უმიზეზოდ.

### **მეტელუსი**

ნუთუ არავის იტყვის რამეს. მე თქვენ მოგმართავთ ჩემზე ღირსეულთ, იქნებ გაჭრას თქვენმა ნათქვამმა. ჩემი საბრალო, განდევნილი ძმა შეიწყალონ.

### **ბრუტუსი**

თუ არ ჩამითვლი პირფერობად, ხელზე გემთზევევი. მოგმართავ თხოვნით, შეიწყალე პუბლიუს ციმბერ. და მიანიჭე მას ახლავე თავისუფლება.

### **კეისარი**

რას ამბობ, ბრუტუს!

### **კასიუსი**

#### **დაიჩუქებს**

კეისარო, გემუდარებით.

მუხლმოდრეკილი თქვენს წინაშე, მხოლოდ იმას გთხოვთ, განთავისუფლდეს და დაბრუნდეს პუბლიუს ციმბერ!

### **კეისარი**

იმოქმედებდა ალბათ ჩემზე, თუკი თქვენსავით, შემეძლებოდა მეც ოდესმე, ხვეწნა-მუდარა. ხომ ხედავთ, ვდგავარ, პოლარული ვარსკვლავის მსგავსად მუდამ ურყევად, ვით რჩეული მანათობელი ცის კამარაზე მოციმციმე ვარსკვლავთა შორის! დაკიაფობენ, ელვარებენ, დასრიალებენ.

ერთი ვარსკვლავი, პოლარული, არ იცვლის ადგილს.  
დედამიწაზეც ასე ხდება. რამდენი კაცი,  
სისხლი და ხორცი, ავსებული ემოციებით!  
მაგრამ მათ შორის არის ერთი, განსხვავებული,  
აუღებელი და ძლიერი. ის ერთი მე ვარ!  
ამას ახლავე დაგიმტკიცებთ. თუნდაც ამ საქმით.  
მე გადავწყვიტე განმედევნა მეტელუს ციმბერ.  
ასევე მტკიცებ გადავწყვიტე, არ შევიწყალებ!

### ცინა

კეისარო

### კეისარი

ასვლა გაბედე ოლიმპოს მთაზე?!

### დეციუსი

ძლევამოსილო კეისარო

### კეისარი

თვით ბრუტუსიც,

ვერაფერს გახდა!

### ქასკა

მაშ სათქმელი ამ ხელმა გითხრას!

კასკა კისერში ჩასცემს მახვილოს. კეისარი მის მკლავს  
დაუყრდნობა. კველა შეთქმული რიგოვობით ჩასცემს მახვილოს.  
ბოლოს ბრუტუსიც

### კეისარი

Et Tu, Brute? ახლა დაეცი, კეისარო!

კვდება. სენატორები და სალახი დაბნეული ვაიფანტება

### ცინა

თავისუფლება! თავისუფლება! მოკვდა ჭირანი!

გადით ქუჩაში! ყველას ამცნეთ, გააგებინეთ!

### **კასიუსი**

თავშეყრის ადგილს მიაშურეთ, კათედრებიდან  
უნდა იყვიროთ „თავისუფლება!“ „თავისუფლება“

### **ბრუტუსი**

სენატორებო, და ოქვენც, ხალხო, ნუ გეშინიათ!  
არ გაიფანტოთ! მან ის მიიღო, რაც ეჭუთვნოდა!

### **კასკა**

ბრუტუს, შენ ადი კათედრაზე!

### **დეციუსი**

და კასიუსიც!

### **ბრუტუსი**

სად არის პუბლიუსი?

### **ცინა**

აქ დგას. არეულობამ სულ დააბნია...

### **მეტელუსი**

ერთმანეთთან ახლოს მივიდეთ. რა იცი, ვინმე კეისრის მომხრემ...

### **ბრუტუსი**

არ გინდა ასე ლაპარაკი. ჩემო პუბლიუს,  
ნუ ნერვიულობ, შენ, პირადად, არავინ გერჩის!  
და არც არავის. შეგიძლია ყველას გადასცე.

### **კასიუსი**

წადი, პუბლიუს. აქ ჩვენს გამო, შემთხვევით, ვინმემ,  
რამე არ გავნოს. შენს ასაკში არ გეკადრება.

### **ბრუტუსი**

სწორია, წადი. ამ საქმეში არავის გაგრევთ.  
ვინც ჩავიდინეთ, პასუხსაც ვაგებთ.

*შემოხდის ტრებონიუსი*

**კასიუსი**  
ანტონიუსი?

### **ტრებონიუსი**

შინ წავიდა გაოგნებული.  
გარეთ რა ხდება! ხალხი დარბის. თან გაჰყვირიან.  
მეორედ მოსვლა გეგონება.

### **ბრუტუსი**

აბა, იღბალო,  
რა მოგვიმზადე, რა ინებე! ის, რომ მოვკვდებით,  
ვიცით ნაძღვილად! მთავარია, როდის და როგორ.

### **კასკა**

ოცი წლით ადრე თუ მოვკვდებით, მაშინ გამოდის,  
რომ ამდენი წლით ნაკლებს ვშიშობთ მის მოლოდინში.

### **ბრუტუსი**

ამით რას ამბობ, რომ სიკვდილი სიკეთე არის?  
და კეისარმა მადლობა თქვას, რომ შევუმოკლეთ  
სიკვდილის შიში?! დაიხსრეთ, რომაელებო!  
კეისრის სისხლში ამოავლეთ თქვენი ხელები!  
წითლად შეღებეთ ეგ ხანჯლებიც. მერე გავიდეთ  
ყელაბი გარეთ და გიქნიოთ, იქ, მოედანზე  
ეს სისხლიანი სატევარები, მაღლა, თავს ზემოთ!  
ერთად ვიყვიროთ: „მშვიდობა და თავისუფლება!“

### **კასიუსი**

მაშ დავიხაროთ, განვიბანოთ! გავა წლები და,  
აი ამ სცენას, უთვალავჯერ ითამაშებენ  
ჯერ არ არსებულ, ახალ ქვეყნებში, სულ სხვა ენებზე!

### **ბრუტუსი**

ბევრჯერ იქცევა სანახაობად კეისრის მოკვლა  
და იხილავენ პომპეუსის ქანდაკებასთან  
ასე დაცემულს, მტკრად გადაქცეულს!

## **კასიუსი**

ჩვენც ყოველ ჯერზე  
გაგვიხსენებენ, რომაელთა ერთ პატარა გუნდს.  
ასე იტყვიან, მათ იხსნესო თავის ქვეყანა.

## **დეციუსი**

აღარ მივდივართ?

## **კასიუსი**

ჰო, მივდივართ, ყველანი ერთად.  
ბრუტუსს გავყვებით მოკრძალებით, ჩვენი ქვეყნისთვის  
თავდადებული, უშიშარი რომაელები.  
შეძლის მსახური

## **ბრუტუსი**

ჩუ, ვიღაც მოდის. მსახურია ანტონიუსის.

## **მსახური**

ჩემმა ბატონმა ასე ბრძანა, დაიჩოქეო.  
ასე ისურვა, დიახ, მარკუს ანტონიუსმა,  
რომ ძირს გართხმულმა, ოქვენს ფეხებთან, ეს მოგანსენოთ:  
„ბრუტუსი არის ღირსეული, პატიოსანი.  
ძლევამოსილი კეისარი იყო მამაცი, მეფური კაცი,  
ცობილი თავის სიყვარულით, გამბედაობით.  
ვამბობ, რომ მიყვარს მე ბრუტუსი, დიდ პატივსა ვცემ.  
იმასაც ვიტყვი, მეშინოდა ძლიერ კეისრის,  
თუმც პატივს ვცემდი და მიყვარდა. მე ამის ვამო  
თუ არ დამსახავს მტრად ბრუტუსი და დამრთავს ნებას,  
მასთან მივიდე, რომ შევიტყო, რის ვამო მოკლეს  
მათ კეისარი, მაშინ მარკუს ანტონიუსი  
მკვდარი კეისრის სიყვარულზე არ იფიქრებდა,  
მხოლოდ ბრუტუსი, ღირსეული, ეყვარებოდა.  
ყველა იმ ხიფათს მიიღებდა ბრუტუსთან ერთად,  
რაც შეიძლება მოდიოდეს ველური ქვეყნის  
ამ ჯუნგლებიდან. ერთგულებით დავდგები გვერდით“.  
შემოგითვალათ აი ასე ანტონიუსმა.

## **ბრუტუსი**

ბრძენი კაცია, თან მამაცი, შენი ბატონი.  
მისი ღირსება მე სხვა თვალით არც დამინახავს.  
მობრძანდეს ჩვენთან, გადაეცი. ის თავისუფლად,  
უსაფრთხოდ წავა. ვფიცავ მე ჩემს პატიოსნებას.  
ასე უთხარი.

## **შესხერი**

ის ახლავე აქ გეახლებათ!  
*შესხერი გადის*

## **ბრუტუსი**

ვიცი, ნამდვილად გამოდგება იგი მეგობრად!

## **კასიუსი**

კარგი იქნება. თუმც რატომდაც გულში ეჭვი მაქვს,  
რომელიც მაფრთხობს. არასოდეს გამცუდებია  
ჯერ წინათვრმნობა.

*შეძოდის მარჯუს ანტონიუსი*

## **ბრუტუსი**

ანტონიუს, მოგესალმები!

## **ანტონიუსი**

ძლევამოსილო კეისარო! როგორ აგდიხარ!  
შენი დიდება, მოგებული ბრძოლა რამდენი,  
და შინ ტრიუმფით დაბრუნება ასე დამთავრდა?!  
გემშვიდობები! ბატონებო, მე ჯერ არ ვიცი.  
თქვენ რას აპირებთ, ვის არ წყალობთ, ვინ უნდა მოკლათ.  
და თუ ეს მე ვარ, უფრო კარგ დროს ვედარ იპოვით,  
აქვე მომკალით, კეისართან. თქვენი ხმლის წვერზე  
სხვა უკეთესი იარაღი არც მეგულება,  
რომ მე განმგმიროს. სისხლიც სცხია კეთილშობილი,  
რომლის ბადალი არ არსებობს დედამიწაზე.  
გემუდარებით, თუ ასე გსურთ, ბარებ სელებმა,  
რომელთაც ისევ ორთქლად ასდის, რაც ზედ გისვიათ,

თავისი საქმე გააკეთონ. მე რომ მეცოცხლა  
ათასი წელი, სიკვდილისთვის უკეთეს მომენტს  
ვერ ვინატრებდი. ამ ადგილას, კეისრის გვერდით,  
და ჩემი ქვეყნის რჩეულთაგან გულგანგმირული!

### **ბრუტუსი**

შენი სიკვდილი ანტონიუს, არავის არ სურს.  
იქნება ვჩანგართ სისხლისმელნი, დაუნდობელნი,  
რადგანაც ზედავ სისხლით მოსვრილ აი ამ ხელებს  
და უსასტიკეს ნამოქმედარს. მაგრამ გარწმუნებ,  
გულში რა გვიდევს, ის არ იყი. მწუხარება გვაქვს  
უკიდეგანო, რადგანაც რომს შველა სჭირდება.  
ცეცხლი ცეცხლსა შობს. კეისარი მისი მსხვერპლია.  
შენ, ანტონიუს, ამ ხმლის წვერი არ შეგეხება.  
ჩვენი მკლავები სიყვარულით არის გაშლილი  
და აღსავსეა ეს გულები ძმური სითბოთი.

### **კასიუსი**

შენს ხმას ექნება დიდი ძალა ჩვენს ხმასთან ერთად,  
როცა დავიწყებთ ტიტულების განაწილებას.

### **ბრუტუსი**

ჯერ მოითმინე, ვიდრე ეს ბრძო დაშოშმინდება.  
შებყრობილია ხალხი შიშით, გაუგებრიბით.  
მერე აგიხსნი, დაწვრილებით, ყველაფრის მიზეზს.  
მეც კი, რომელსაც კეისარი ძლიერ მიყვარდა,  
იმ მომენტშიაც, როცა გკლავდი, კარგად ვიცოდი  
რას ვაკეთებდი.

### **ანტონიუსი**

ვიცი, მუდამ გონივრულად სჯი.  
ახლა სუყველას, მაგ სისხლიან ხელს ჩამოგართმევთ.  
შენ პირველმა, მარკუს ბრუტუს, მომეცი ხელი.  
შემძეგ კაიუს კასიუსი. შენ ჩამოგართმევ.  
დეციუს ბრუტუს. შენც, მეტელუს. ახლა შენ, ცინა.  
რა მამაცი ხარ თურმე კასკა! შენც, ტრებონიუს,

ბოლო ხარ, მაგრამ შენ არა ხარ უკანასკნელი.  
რა უნდა გითხრათ, ბატონებო. დაბნეული ხართ.  
ვერ გაგიგიათ რა იფიქროთ. ორი რამ არის.  
ჩემთვის მათ შორის, არცერთია სახარბიელო.  
ან მლიქნელი ვარ, ან მშიშარა. მშვენივრად იცი,  
როგორ მიყვარდი კეისარო! თუ სული შენი  
ახლა, ამ წუთას, ჩვენ დაგვეურებს, უეჭველია,  
საჯუთარ სიკვდილს მიიღებდი უფრო იოლად,  
ვიდრე ამ ამბავს. როგორ ართმევს ანტონიუსი  
ახლა შენს მკვლელებს, სისხლიანებს, ხელს მეგობრულად.  
თანაც შენს გვამთან. მე რომ მქონდეს თვალი იმდენი,  
რაც შენ ჭრილობა, და ცრემლებიც მდიოდეს ისე,  
როგორც მოჩქეფდა ალბათ სისხლი ნაკადულივით,  
მომიხდებოდა ალბათ უფრო, ვიდრე სისხლიან  
ხელს ვეხებოდე ამ მკვლელების, ასე მოყვრულად!  
გთხოვ, მომიტევო, კეისარო! აქ მიგიმწყვდიეს  
როგორც ნადირი. შენც დაეცი, მონადირეთა  
ხელით დაჭრილი. ახლა დგანან, უცქერენ სიკვდილს,  
ალბეჭდილები შენი სისხლით. ო, ეს სამყარო,  
ვრცელი ტყე იყო სათარეშო ხარ-ირემისთვის.  
და შენი გულიც სულ იწევდა უდაბურ ტყისკენ.  
მაგრამ დაქსხნენ თავს ამ ირემს უფლისწულები!  
გამოასალმეს ის სიცოცხლეს. როგორ აგდიხარ!

**კასიუსი**  
მარტუს ანტონიუს!

**ანტონიუსი**  
მომიტევო უნდა, კასიუს.  
დაიტირებდა ალბათ მტერიც კეისრის სიკვდილს.  
განა მეგობარს ასე მცირეს უფლებაც არ მაქვს?  
  
**კასიუსი**  
მე არას ვამბობ მაგ ქებაზე კეისრის მიმართ.  
გთხოვ გვიპასუხო, რას აპირებ. ჩვენთან იქნები?  
გსურს შეუერთდე ამ ჩვენს საძმოს და ერთად ვიყოთ?  
თუ გავიყაროთ, ჩვენ-ჩვენ გზაზე წაგიდეთ ყველა?

### **ანტონიუსი**

მაშინ რატომდა ჩამოგართვით ოქვენ ყველას ხელი?!

კეისრის ცქერამ ამირია მე წამით გონი.

თქვენს გვერდითა ვარ მეგობრებო, ყველა მიყვარხართ  
და იმედი მაქვს, მეც გამიშელთ, რა მიზეზია,  
როგორ შეიქნა კეისარი ასე საშიში.

### **ბრუტუსი**

ეგ რომ არ იყოს, ეს სისხლისღვრა არ მოხდებოდა.

გვამოძრავებდა ყველას აზრი კეთილშობილი.

და კეისარი ღვიძლი მამაც რომ ყოფილიყო,  
შენც გაიგებდი ამ საქციელს.

### **ანტონიუსი**

სწორედ ეგ მინდა!

გთხოვთ, მომცეთ ნება გავიტანო კეისრის გვამი

და მოედანზე, კათედრიდან ზოტბა შევასხა,

როგორც შეჰვერის მეგობართან გამოთხოვებას.

### **ბრუტუსი**

ასეც იქნება, ანტონიუს.

### **კასიუსი**

ბრუტუს, მისმინე!

ჩუძალ

ისე დათანხმდი, არც დაფიქრდი. არ შეიძლება

ილაპარაკოს ანტონიუსმა. იმდენი ხალხი,

იქ რომ იქნება, არ აგვიმხედროს!

### **ბრუტუსი**

ხძლდაბლა

ნუ ნერვიულობ.

მე თვითონ ავალ კათედრაზე, მაგაზე ადრე.

ყველას ავუხსნი, კეისარი რატომ მოვკალით.

გამოვაცხადებ, ანტონიუსი ჩვენი ნებართვით

წარმართავს პროცესს გამოთხოვების. უნდა შესრულდეს

რაც საჭიროა. კეისარი დაიკრძალება  
როგორც წესია. უკეთესიც იქნება ჩვენთვის

### კასტუსი

ხმადაბლუა

არავინ იცის, რა მოხდება. მე ეს არ მომწონს.

### პრუტუსი

გაძლევთ უფლებას, ანტონიუს, გვამის გატანის.  
ოღონდ გაფრთხილებ, ჩვენზე ცუდი არაფერი თქვა.  
აქე, ადიდე კეისარი როგორც გენებოს.  
ისიც დაურთე, ჩვენ მოგეცით ამისი ნება.  
თორემ დაკრძალვას შენ საერთოდ არ გაგაკარებთ.  
ჯერ მე მიგმართავ შეკრებილ ხალხს. შენ კათედრაზე  
ჩემს შემდეგ ახვალ.

### ანტონიუსი

გასაგებია. მე ეგ მინდა,

სხვა არაფერი.

### პრუტუსი

კეისრის გვამი მოამზადე და გამოგვყევი.  
კველანი ვადიან ანტონიუსის გარდა

### ანტონიუსი

გთხოვ, მაპატიო, სისხლით მორწყელ მიწად ქცეულო,  
რომ ამ ყასტებთან ასე მშვიდად, წენარად ვიქცევი.  
რა ღირსეული კაცი გახდი დღეს ნანგრევები!  
შენი ბადალი არ შობილა დედამიწაზე.  
ვაი მათ, ვინაც დიდებული დაღვარა სისხლი!  
ეგ მეწამული ბაგეები ითხოვენ ჩემგან,  
შენს იარებთან ხმამაღლა ვთქვა სასტიკი წყევლა:  
ადამიანებს დაატყდებათ თავს ზეცის რისხვა!  
შინაომები, მღელვარება, არეულობა  
მთელ იტალიას გადაწვდება. ძმათა სისხლის ღვრა  
და სისასტიკე, ჩვეულ ამბად გადაიქცევა.

არ გაგვაოცებს აღბეჭდილი დედის სახეზე  
ლიმილი, როცა დაინახავს ის თავის პირშოს,  
ხანჯლით აკუწულს. სიბრალული დაგვავიწყდება  
და სწორედ მაშინ, აღიგსება შერისძიებით  
კეისრის სული. იხმობს ატას ჯოვოხეთიდან.  
მონარქის ძლიერ შეძახილზე გამოიღვიძებს  
ომის დემონი, უსულგულო, თავზარდამცემი.  
დატვირთება გვამზე გვამი, ცოდვის პასუხად.  
დატრიალდება ლეშის სუნი დედამიწაზე.  
შემოფინ მსახური  
შენ მიგამსგავსე ოქტავიუს კეისრის მსახურს.

### **მსახური**

ისა ვარ, მარკუს ანტონიუს!

### **ანტონიუსი**

შენი ბატონი კეისარმა მოიხმო რომში.

### **მსახური**

დიახ, მიიღო კეისრისგან მართლაც წერილი.

ვიდრე ჩამოვა, დამაბარა თქვენთან სათქმელი.

დაინახავს აქეისრის გვამს

ო, კეისარი!

### **ანტონიუსი**

გულმოწყალე ხარ, როგორც ვხედავ. მიდი, იტირე.

გადამდებია მწუხარება. ცრემლი მოგადგა.

წყლიან თვალებში დავინაზე გულისტკივილი!

მაშ შენ ამბობ, რომ რომში მოდის შენი ბატონი?

### **მსახური**

კერ რომთან ახლოს, შვიდ ლიეზე გაათევს დამეს.

### **ანტონიუსი**

მაშინ სასწრაფოდ წადი მასთან. გააგებინე,

რა მწუხარება დაატყდა რომს. სახიფათოა

ოქტავიუსის აქ ჩამოსვლა. ასე უთხარი.  
ჯერ დაიცადოს. წადი, ღროზე. მაგრამ მანამდე  
კეისრის გვამი მოედანზე წავიღოთ ერთად.  
რა გამომივა, ეს არ ვიცი, ოუმცა ვეცდები,  
სიტყვით მივმართო შეკრებილ ხალხს, გავაგებინო,  
ამ მკვლელებმა ჩვენს კეისარს რა გაუკეთეს.  
მერე კი წადი და უამბე შენს ოქტავიუსს  
სუსელაფერი, რასაც ნახავ და გაიგონებ.  
ახლა კი მოდი, დამეხმარე.

გადაან

## სურათი II

ფორუმი. შეძლებან ბრუტუსი, კასიუსი და ხალხის ბრძო

**ხალხის შეძანილები**  
გაგვაგებინეთ, რა მოხდა! გვითხარით!

### ბრუტუსი

მე გამომყევით. მეგობრებო, ყველაფერს გეტყვით.  
კასიუს, წადი იმ ქუჩაზე. ხალხი გაიყოს.  
ვინც აქ დარჩება, გაიგონებს, რასაც მე ვიტყვი.  
ნაწილი გაჰყენს თან კასიუსს და ის აუხსნის,  
თუ რატომ მოკვდა კეისარი, უნდა იცოდეს  
მიზეზი ხალხმა.

### მოქალაქე

მე ბრუტუსს მინდა მოვუსმინო.

### მეორე მოქალაქე

მე წავალ, ვნახავ, კასიუსმა რა უნდა გვითხრას.  
მერე ავდგეთ და შევადაროთ მათი ნათქვამი.  
კასიუსი გადის. ხალხის ნაწილი მას მიჰყება. ბრუტუსი  
ტრიბუნისკენ გაემართება.

## **მესამე მოქალაქე**

აკთილშობილი ბრუტუსი აპირებს რაღაც გვითხრას! სიჩუმე!

### **ბრუტუსი**

გთხოვთ მოთმინებით დამიგდოთ ყური, ვიდრე ბოლომდე არ გეტყვით.

რომაელებო, ჩემო თანამემამულებნო, ძვირფასო ზალხო, მომისმინეთ. სიჩუმე იყოს, რათა ყველამ გაიგონოს. თავდებად ვდებ ჩემს პატიოსნებას, რომელსაც თქვენ ყველანი პატივს სცემთ. ვიცი, ამაში ეჭვი არავის ეპარება. დამარწმუნეთ, რომ ზალხი ბრძენია. მოუხმეთ თქვენს გონიერებას და ისე განსაჯეთ. თუ თქვენს შორის არის ვინმე, ვისაც კეისარი ძლიერ უყვარდა, სწორედ მას მინდა ვუთხრა, ბრუტუსსაც უყვარდა კეისარი და არანაკლებ. მაშინ ის მკითხავს, რატომ აღსდგაო ბრუტუსი კეისრის წინააღმდეგო. აი ჩემი პასუხი: იმიტომ არა, რომ კეისარი ნაკლებად მიყვარდა, არამედ იმიტომ, რომ რომი მიყვარდა უფრო მეტად. თქვენ რა გერჩივნათ, კეისარს ეცოცხლა და თქვენ გეცხოვრათ როგორც მონებს, თუ მომკვდარიყო კეისარი და თქვენ თავისუფალი ყოფილიყავთ?

კეისარს მე ვუყვარდი. სწორედ ამიტომ მე ვტირი მის გამო. ის იღბლიანი კაცი იყო და მე ეს მახარებდა მუდამ. ის იყო მამაცი და მე ამის გამო პატივს ვცემდ. მაგრამ ის იყო პატივმოყვარე, და ამიტომ მოვკალი. სიყვარული ცრემლს იმსახურებს, იღბლიანობა სიხარულს, სიმამაცე პატივისცემას, პატივმოყვარეობა კი სიკვდილს. არის აქ ვინმე, ისეთი სულმდაბალი, რომ სურს იყოს მონა? თუ არის, მითხრას, რადგან მე მას ახლა შეურაცხყოფა მივაყენე. არის აქ ვინმე, ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს? თქვას, რადგან სწორედ ასეთი კაცი, ეს წუთია, შეურაცხყვავი. მიპასუხეთ, ველოდები, რას მეტყვით!

### **მოქალაქენი**

არა, ბრუტუს, არა. ასეთი არავინაა.

### **ბრუტუსი**

მაშ გამოდის, რომ მე არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია.

მე მოვექეცი კეისარს ისე, როგორც თქვენ მოექცეოდით ბრუტუსს.

კეისრის სიკვდილის მიზეზი უკვე ჩაწერილია კაპიტოლიუმის

ისტორიაში, ისევე როგორც მისი დიდება და წარმატებები. არც მისი სახელია დაკინებული და არც ის ცოდვებია გაზვიადებული, რის გამოც მოკლეს.

შემოდის მარჯუს ანტონიუსი კეისრის ცხედრით  
აი მოაქვთ მისი სხეული. მარჯუს ანტონიუსი ტირის. მას  
მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მისთვისაც  
ისეთივე სიკეთის მომტანია კეისრის სიკვდილი, როგორც  
ნებისმიერი თქვენგანისთვის. და მინდა ჩემი გამოსვლა დაგამთავრო  
შემდეგი სიტყვებით: იგივე ხანჯალი, რითიც მოვგალი საყვარელი  
ადამიანი, რომის გულისთვის, მზად მაქვს ჩემთვისაც, თუკი ქვეყანას  
დასჭირდება ჩემი სიკვდილი!

### ზალხი

სიცოცხლე ბრუტუს! სიცოცხლე! სიცოცხლე!

### ერთი მოქალაქე

მოდი, პატივით მივაცილოთ თავის სახლამდე!

### მეორე მოქალაქე

ძეგლი დავუდგათ, როგორც მის წინაპრებს!

### მესამე მოქალაქე

მოდი, ეს იყოს კეისარი!

### მეოთხე მოქალაქე

იმ კეისარზე მეტად ვაღიდოთ!

### პირველი მოქალაქე

შინ მივაცილოთ დიდებით და შეძახილებით!

### ბრუტუსი

ჩემო თანამოქალაქენო,

### მეორე მოქალაქე

ჩუმად! ბრუტუსი ლაპარაკობს!

**პირველი მოქალაქე  
გაჩუმდით!**

### **ბრუტუსი**

კეთილო სალხო, ნება დამრთეთ, თვითონ წავიდე,  
თქვენ კი იმას გთხოვთ, რომ აქ დარჩეთ, ანტონიუსთან.  
პატივი ეცით კეისარსაც და ანტონიუსს  
ყური დაუგდეთ. რაღაც მარკუს ანტონიუსი  
გამოსათხოვარ სიტყვას იტყვის. ილაპარაკებს  
დიად საქმეთა თაობაზე. ნება ჩვენ დავრთეთ.  
ახლა დაგტოვებთ და ჩემს გარდა, ნურავინ წავა.  
თქვენ ანტონიუსს აქ უჩემოდ, კარგად უსმინეთ.

*გადის*

### **პირველი მოქალაქე**

კარგი დავრჩეთ! ახლა მარკუს ანტონიუსსაც მოვუსმინოთ.

### **მესამე მოქალაქე**

მაშინ ავიდეს ტრიბუნაზე, რომ გავიგონოთ.  
კეთილშობილო ანტონიუს, უნდა ახვიდეთ.

### **ანტონიუსი**

ამისათვის მე ბრუტუსის მადლიერი ვარ.

### **მეოთხე მოქალაქე**

რა თქვა ბრუტუსზე?

### **მესამე მოქალაქე**

რა და, ბრუტუსს მადლობაო.

### **მეოთხე მოქალაქე**

ბრუტუსზე ცუდი არაფერი წამოცდეს, ის ურჩევნია.

### **პირველი მოქალაქე**

ტირანი იყო კეისარი!

## **მესამე მოქალაქე**

ჰო, საშინელი!

კიდევ კარგი, რომ მოიშორა რომმა თავიდან.

## **მეორე მოქალაქე**

გაჩუმდით, ვნახოთ, ანტონიუსი რის თქმას აპირებს.

## **ანტონიუსი**

ჭეშმარიტო რომაელებო!

## **მეორე მოქალაქე**

ჩუ, გაგვაგონეთ!

## **ანტონიუსი**

რომაელებო, მეგობრებო, მოქალაქენო,

მე აქ მოვედი, რომ დაგმარხო დღეს კეისარი.

ქება-დიდებას არ შევასხამ. ადამიანის

უღირს საქციელს არასოდეს დაივიწყებენ.

კეთილი საქმე მასთან ერთად დასამარდება,

ასე იქნება კეისარიც. პატივცემულმა

ბრუტუსმა გითხრაო, კეისარი პატივმოყვარე

კაცი იყო. თუ ასეა, დიდი ცოდვაა

და აგო კიდეც მან პასუხი ამ ცოდვისათვის.

ბრუტუსმა, სხვებმაც, ნება მომცეს, ვილაპარაგო.

პატიოსანი კაცი არის, იცით, ბრუტუსი,

სხვებიც არიან ასეთივე პატიოსანი

და აი აზლა, მე კეისარს ვემშვიდობები.

ის იყო ჩემი მეგობარი, ერთგული, კარგი,

თუმცა ბრუტუსმა თქვა, იყოვო პატივმოყვარე.

პატიოსანი კაცი არის, იცით, ბრუტუსი.

რომში მოჰყავდა სულ კეისარს მრავლად ტყვეები,

გამოსასყიდით ივსებოდა მუდამ ხაზინა.

პატივმოყვარე კეისარი ამიტომ იყო?

გაჭირვებულის დანახვაზე ტიროდა ხოლმე.

პატივმოყვარე ვინ გინახავთ ატირებული?!?

თუმცა ბრუტუსმა თქვა, იყოვო პატივმოყვარე.

პატიოსანი კაცი არის, იცით ბრუტუსი.  
თქენ ყველამ ნახეთ, ლუპერგუსის დღესასწაულზე  
მეფის გვირგვინი შევთავაზე რამდენიმეჯერ.  
მან ყოველ ჯერზე უარი თქვა. პატივმოყვარემ?!  
თუმცა ბრუტუსმა თქვა, იყოვო პატივმოყვარე.  
პატიოსანი კაცი არის, იცით ბრუტუსი.  
მე არ ვაპირებ ვეკამათო ბრუტუსის ნათქვამს  
და გეუბნებით მხოლოდ იმას, რაც თვითონ ვიცი.  
თქვენც გაგახსენებთ, რომ ოდესლაც იგი გიყვარდათ.  
მიზეზიც გქონდათ ალბათ ამის. ნუთუ ახლა გაქვთ  
სხვა რამ მიზეზი და არ გინდათ გამოეთხოვოთ?  
ო, სამართალო! ნუთუ კაცი ისე გამხეცდა,  
ვეღარც კი იკრებს აზრს, გონებას ადამიანურს!  
გთხოვთ მომიტევოთ, კეისართან გამექცა ფიქრი  
და ჩემი გულიც მასთან არის, კუბოში ჩაჰყა.

**პირველი მოქალაქე**  
მე მგონი კარგად ლაპარაკობს.

**მეორე მოქალაქე**  
ასე თუ განვსჯით და ყველაფერს კარგად ავწონით,  
მაშინ გამოვა, რომ კეისარს ვიღაცამ უმტრო.

**მესამე მოქალაქე**  
მე ის მაშინებს, უარესი არ მოვიდეს მაგის მაგივრად.

**მეოთხე მოქალაქე**  
გაიგეთ რა თქვა? მან გვირგვინი არ აიღოვო!  
პატივმოყვარე ყოფილიყო, ამას იზამდა?

**პირველი მოქალაქე**  
თუ ეს ასეა, ზოგიერთებს ცუდი დღე ელის.

**მეორე მოქალაქე**  
საწყალი კაცი, როგორ დაწითლებია ნამტირალევი თვალები.

**მესამე მოქალაქე**  
ანტონიუსზე ღირსეული კაცი არ არის რომში.

**მეოთხე მოქალაქე**  
დაიცა, ისევ რაღაცას ამბობს!

### **ანტონიუსი**

ჯერ კიდევ გუშინ, კეისრის ხმა დედამიწას  
აზანზარებდა. ახლა კი წევს აქ, ყველას თვალწინ  
და არავის სურს, სათანადოდ გამოეთხოვოს.  
ო, ხელოსნებო! რომ ავანთო თქვნი გულები,  
თქვენი გონება რომ განვაწყო თანაგრძნობისთვის,  
დაუშავდება რამე ბრუტუსე? ანდა კასიუსე?  
პატიოსანი ორივეა, იცით ეს ყველამ.  
მათ არასოდეს ვაწყენინებ. უმჯობესია  
გარდაცვლილს ვავნო, ანდა ჩემს თავს, ვინმეს თქვენთაგანს,  
ვიდრე რაიმე დაფუშავო იმ პატიოსან  
ადამიანებს. მაგრამ ვნახე, ერთხელ, შემთხვევით,  
კეისრის ნება, მისი ბეჭდით დამოწმებული.  
ამის წაკითხვას არ ვაპირებ. საქმარისია  
ხალხმა გაიგოს, რა წერია მის ამ ანდერძში,  
ყველა ჭრილობას სათითაოდ დაუკოცნიდა.  
ცხვირსახოცებსაც წმინდა სისხლში ამოავლებდა.  
თმის ბეჭებს მომთხოვდა სამახსოვროდ  
და სიკვდილის წინ გადასცემდა შთამომავლობას,  
ისე, ვით დიდ განძს, ფასდაუდებელს.

**მეოთხე მოქალაქე**  
ანდერძი უნდა წაიკითხო, მარკუს ანტონიუს!

**ხალხი**  
ანდერძი! ანდერძი! კეისრის ანდერძი!

**ანტონიუსი**  
ვერა, ძვირფასო მეგობრებო, ვერ წაგიკითხავთ.  
აქ ის წერია, ვით უყვარდით ყველა კეისარს.

თქვენ ხომ არც ხე ხართ, არც უგრძნობი ქვის ნატეხები, ადამიანის შეგრძნებები და განცდები გაქვთ.

ეს თუ გაიგეთ, შეიშლებით, ჭკუას დაკარგავთ.

კოლევ კარგი რომ არ გმიუღავნდა, რას გიტოვებდათ, აი მაშინ კი რას იზამდით, არავინ იცის!

### **მეოთხე მოქალაქე**

ანდერძი უნდა წაიკითხო! ანტონიუს, გვაინტერესებს! კეისრის ანდერძი უნდა გავიგოთ. წაიკითხე!

### **ანტონიუსი**

მშვიდად მოისმენთ? მოთმინებით? ვნანობ, წამომცდა!

არ უნდა მეთქვა. ზიანი რამ არ მიაყენოთ

პატიოსან ხალხს, ვინც კეისარს ჩასცა ხანჯალი და გაიმეტა სასიკვდილოდ. მე ეს მაშინებს.

### **მეოთხე მოქალაქე**

მოღალატეები ყოფილან! რა პატიოსანი!

### **ხალხი**

ანდერძი! კეისრის ნება-სურვილი!

### **მეორე მოქალაქე**

არამზადები და მკვლელები არიან! ანდერძი! წაიკითხე ანდერძი!

### **ანტონიუსი**

გსურთ მაიძულოთ წაგიკითხოთ მისი ანდერძი?

დადექით წრეზე მის გარშემო და თქვენ გაგაცნობთ ამის დამწერ კაცს. მეც ჩამოვალ თუ ნებას მომცემთ და თქვენთან ერთად მეც მანდ დავდგები.

### **ხალხი**

ჩამოდი ჩვენთან!

### **მეორე მოქალაქე**

ჩამოდი!

*ანტონიუსი ტრიბუნიდან ჩამოდის*

**მესამე მოქალაქე**  
აქ უნდა იყო!

**მეოთხე მოქალაქე**  
წრე უნდა შევკრათ, მრგვალად დადექით!

**პირველი მოქალაქე**  
ცოტა დაიხიეთ. კუბოს მოცილდით!

**მეორე მოქალაქე**  
გზა ანტონიუსს! გამოატარეთ!

**ანტონიუსი**  
ასე ნე მაწვებით. უკან დაიხიეთ!

**წალხი**  
დაიხიეთ! მოშორდით! უკან მიდით!

**ანტონიუსი**  
მაშ მოემზადეთ, ბევრი ცრემლი უნდა დაღვაროთ.  
გეცნობათ ალბათ ეს მანტია. მე კარგად მახსოვს,  
როდის მოისხა კეისარმა იგი პირველად.  
თავის კარავში, საღამოხანს, ზაფხულის იმ დღეს,  
უმამაცესი ნერვიელნი რომ დამარცხა.  
აი ეს კვალი კასიუსის ხანჯლისა არის.  
ეს განაჭერი კი ეკუთვნის ღვარძლიან კასკას.  
საყვარელ ბრუტუსის აქ დაურტყამს მისი ხანჯალი.  
წყეულ იარაღს სხეულიდან როცა აძრობდა,  
ნახეთ, მოსდევდა სისხლი უკან, თითქოს უნდოდა,  
ვით ღია კარში გაეხდა, რათა გაეგო,  
ბრუტუსი იყო ნუთუ მართლა, ვინც დამარტყაო!  
ბრუტუსი, ვინაც ანგელოზად ჰყავდა კეისარს!  
ჰოი ღმერთებო, თქვენ მაინც იცით, ის კეისარს როგორ უყვარდა!  
ეს დარტყმა იყო სხვათა შორის უსასტიკესი.  
კეთილშობილმა კეისარმა ეს დაინახა!  
გაანადგურა მოღალატის დარტყმაზე მეტად

უმადურობამ. დიდებული გული გაუსკდა.  
სახე დამალა მოსასხამში და ძირს დაეცა,  
სისხლში ცურავდა პომპეუსის ქანდაკების ქვეშ.  
სამინელია ეს დაცემა, მოქალაქენო!  
რადგან დავეცით ჩვენ ყველანი. მოღალატეთა  
თარეში იყო, სისხლიანი. უკვე ტირისარო!  
წმინდაა ცრემლი თანაგრძნობის. კეთილო ხალხო,  
ვერ არ გინახავთ ჭრილობები და უგვე ტირით.  
შეხედეთ, ნახეთ, როგორ დაჭრეს მუხანათურად.

**პირველი მოქალაქე**  
ო, საცოდავი!

**მეორე მოქალაქე**  
ო, დიდებული კეისარი!

**მესამე მოქალაქე**  
რა მწუხარებით საკსე დღეა!

**მეოთხე მოქალაქე**  
მუხანათები! არამზადები!

**პირველი მოქალაქე**  
სამინელი სანახავია ამდენი სისხლი!

**მეორე მოქალაქე**  
შურს ვიძიებთ!

**ხალხი**  
შურისძიება! ყველას ვიპოვით! გადავწვათ! მოვკლათ! უნდა  
ჩავხოცოთ! არცერთი მოღალატე არ გადარჩება!

**ანტონიუსი**  
მოითმინეთ! მეგობრებო!

## **პირველი მოქალაქე**

სიჩუმე, მოუსმინეთ კეთილშობილ ანტონიუს!

## **მეორე მოქალაქე**

დიახ, მოვუსმენთ და რასაც გვეტყვის, იმას ვიზამთ, თავსაც გავწირავთ მაგის გულისთვის.

## **ანტონიუსი**

ჩემო ძვირფასო, კარგო ხალხო, სულაც არ მინდა,

რომ ასე უცებ, ნაჩეარევად, ამბოხს შეუდგეთ.

ღირსულები ბრძანდებიან ყველა ისინი,

ვინაც ეს საქმე ჩაიდინა. კეისრის მიმართ

პირადი ჰქონდათ იქნებ წყენა და მე არ ვიცი.

ეს ღირსული, გონიერი პიროვნებები,

ტყუილ-უბრალიდ ასეთ რამეს ვერ ჩაიდენდნენ.

თქვენ შეეკითხეთ, აგიხსნიან ნამდვილად მიზეზს.

მე არ მოვსულვარ, მეგობრებო, თქვენთან იმისთვის,

მოვინადირო თქვენი გული, ან აგირიოთ

ვინებს გონება. მიცნობთ ყველა ძალიან კარგად,

რომ მჭევრმეტყველი ბრუტუსივით მე არ გახლავართ.

ერთი უბრალო, პირდაპირი კაცი ვარ მხოლოდ,

რომელსაც უყვარს მეგობარი. მათაც იციან,

სწორედ ამიტომ დამრთეს ნება, ვილაპარაკო.

არც სიტყვები მაქვს სათანადო და არც გონება,

რომ აგიჩქროლოთ ვინმეს სისხლი. პირდაპირ ვამბობ,

რაც თქვენ უჩემოდ ისედაც იცით. მე თქვენ გიჩვენეთ

კეისრის ტანზე ჭრილობები, დამუნჯებული

მისი ტუჩები. მათ მაგირად მე ვლაპარაკობ.

მე რომ ბრუტუსი ვყოფილიყავ და ბრუტუსი კი

ანტონიუსი, მაშინ გენახათ იმისი ცეცხლი!

ყველა ჭრილობა წამსვე ენას ამოიდგამდა.

რომში ქვა ქვაზე არ დარჩებოდა, აჯანყდებოდა!

## **ხალხი**

ასეც ვიზამთ! ამბოხება!

**პირველი მოქალაქე**  
ბრუტუსის სახლი უნდა გადაგრვათ!

**მესამე მოქალაქე**  
წავიდეთ, შეთქმულები მოვძებნოთ!

**ანტონიუსი**  
დაიცა, რაღაც დამრჩა კიდევ სათქმელი.

**წალხი**  
მოიცა! მოუსმინეთ! ანტონიუსი, ყველაზე დიდებული კაცი!

**ანტონიუსი**  
მეგობრებო, სად მიდიხართ, რისთვის მიდიხართ?!  
ანდა კეისრის სიყვარულის საბაბი რა გაქვთ?  
ჯერ არც კი იცით. სწორედ მაგის თქმა მინდა ახლა.  
წელან ანდერძზე ვსაუბრობდი, აღარც კი გახსოვთ!

**წალხი**  
ჰო, ანდერძი! ჯერ გავიგოთ, იქ რა წერია!

**ანტონიუსი**  
კეისრის ბეჭდით დაბეჭდილი ნება-სურვილი!  
ყველა რომაელს, სათოთაოდ, ის უტოვებდა  
სამოცდათხუთმეტ დრაპმას ანდერძით.

**მეორე მოქალაქე**  
ო, ლირსეულო კეისარო! შენი მოკვლისთვის შურს ვიძიებთ!

**მესამე მოქალაქე**  
დიდებული კეისარი!

**ანტონიუსი**  
მომისმინეთ!

**წალხი**  
ჩუ! ჩუ! დაწყნარდით!

### **ანტონიუსი**

და ამის გარდა, სამუდამო მფლობელობაში  
მან დაგიტოვათ ყველაფერი, რაც კი უყვარდა,  
მისი კუთხნილი ხეივნები, ხილის ბაღები  
ტიბროსის პირას. სულ თქვენ გადმოგცათ!  
თქვენ და თქვენს შვილებს. რათა გაერთოთ,  
იქ დაისვენოთ, ისეირნოთ. აი, ვინ იყო  
ეს კეთისარი. გვეყოლება, კიდევ ასეთი?

### **პირველი მოქალაქე**

არასოდეს! არასოდეს! ახლა წავიდეთ,  
კეისრის გვამი უნდა დავწევათ წმინდა ადგილას!  
მერე ცეცხლს მივცემთ იმათ სახლებს! მოღალატენი!  
ასწიეთ გვამი!

### **მეორე მოქალაქე**

ცეცხლი!

### **მესამე მოქალაქე**

დალეწეთ სკამები!

### **მეოთხე მოქალაქე**

მერხებიც! ფანჯრებიც! სულ ყველაფერი!  
ძიქალაქებიც გადიან. ძირისარი გააქვთ

### **ანტონიუსი**

ამათ ვერავინ შეაჩერებს. შფოთი აგორდა,  
ახლა თავის გზას თვითონ გაიგნებს!  
შემოდის მსახური

შენ რას იტყვი?

### **შსახური**

ოქტავიუსი უკვე რომშია.

### **ანტონიუსი**

ახლა სად არის?

## **მსახური**

კეისრის სახლთან. ლეპიდუსიც მის გვერდითაა.

## **ანტონიუსი**

დაუყოვნებლივ მივალ მათთან. კარგ დროს მოვიდა.  
როგორც ეტყობა, გაგვიმართლა. ბედი გვიღიმის.  
ახლა ის დროა, შეგვისრულდეს, რასაც ვინატრებთ.

## **მსახური**

ყური მოვკარი, ბრუტუსი და კასიუსიო,  
შემლილებივით გაეცალენ რომის ზღუდესო.

## **ანტონიუსი**

ალბათ გაიგეს, მთელი ხალხი რომ აგამხედრე.  
ახლა წავიდეთ. მიმიყვანე ოქტავიუსთან.  
*გადაიან*

## **სურათი III**

*რომი. ქუჩა. შემოდის ციხა, პუჯი*

### **ციხა**

წუხელ მესიზმრა, კეისართან ვიჯექ ნადიმზე.  
სულ მომიშხამა მე რატომღაც ამან გუნება.  
არ ვაპირებდი გარეთ გასვლას, მაგრამ ვერც სახლში  
ვერ გავჩერდი.

*შემოდიან მოქალაქეები*

**პირველი მოქალაქე**  
რა გქვია?

**მეორე მოქალაქე**  
სად მიდიხარ?

**მესამე მოქალაქე**  
სად ცხოვრობ?

**მეოთხე მოქალაქე**  
ცოლიანი ხარ თუ უცოლო?

**მეორე მოქალაქე**  
ყველას უპასუხე!

**პირველი მოქალაქე**  
მოკლე პასუხი!

**მეოთხე მოქალაქე**  
სწორი პასუხი!

**მესამე მოქალაქე**  
არ მოიტყუო!

**ცინა**  
რა მქვია? სად მივდივარ? სად ვცხოვრობ? ცოლიანი თუ უცოლო?  
ყველას ვუპასუხო? მოკლედ? სწორი პასუხი? გპასუხობთ,  
უცოლო ვარ!

**მეორე მოქალაქე**  
ისე ამბობ, თითქოს, ვისაც ცოლი ჰყავს, სულელია! ერთი კარგი  
ალიყური არ გამომტყუო შენ! განაგრძე, მიღი!

**ცინა**  
მივდივარ. კეისრის დაკრძალვაზე.

**პირველი მოქალაქე**  
მომხრე ხარ თუ მოწინააღმდეგე?

**ცინა**  
მომხრე.

**მეორე მოქალაქე**  
ეგ სწორი პასუხი იყო!

**მეოთხე მოქალაქე**  
სად ცხოვრობ? მოკლედ!

**ცინა**  
მოკლედ. კაპიტოლიუმთან.

**მესამე მოქალაქე**  
რა გქვია? ნაძღვილი სახელი!

**ცინა**  
ცინა მქვია. მართლა!

**პირველი მოქალაქე**  
ავკუწოთ. შეთქმულია!

**ცინა**  
ცინა ვარ, პოეტი. მე ცინა ვარ, პოეტი!

**მეოთხე მოქალაქე**  
მაშინ ცუდი ლექსებისთვის ავკუწოთ! ცუდი ლექსებისთვის  
ავკუწოთ!

**ცინა**  
მე შეთქმული ცინა არა ვარ!

**მეოთხე მოქალაქე**  
რა მნიშვნელობა აქვს! ცინა ხომ გქვია. მაგ სახელს გულიდან  
ამოგგლეჯთ და ისე გაგიშვებთ!

**მესამე მოქალაქე**  
მიდით! დასცხეთ მაგას!  
ცინას დაუსუვიან ყველანი  
აბა, შფოთისთავებო, ბრუტუსთან მივდივართ! კასიუსთან! გადავწვათ!  
დეციუსის სახლიც! კასკასი! მერე ლიგარიუსის! წავედით!  
გადიან

## მეოთხე მოქმედება

### სურათი I

ანტონიუსი  
ანტონიუსი, ოქტავიუსი და  
ლეპიდუსი სხვდან მავიდასთან

#### ანტონიუსი

აი ამდენი კაცი მოკვდება. მათი სახელები აქ წერია.

#### ოქტავიუსი

შენი ძმაც უნდა მოკვდეს, ხომ ეთანხმები, ლეპიდუს?

#### ლეპიდუსი

ჰო, ვეთანხმები.

#### ოქტავიუსი

ანტონიუს, ეგეც ჩაწერე.

#### ლეპიდუსი

იმ პირობით, რომ, პუბლიუსიც არ გადარჩება.

შენი დისმვილი, ანტონიუს, იმაზე ვამბობ.

#### ანტონიუსი

ისიც მოკვდება, ნახავ, დავსჯი სიამოვნებით.

მართლა, ლეპიდუს, ახლა წახვალ კეისრის სახლში.

ანდერძს მოიტან. მერე ყველა, ერთად გადავწყვეტთ,  
სად რა შევცვალოთ, რა ჯობია, რა ამოვილოთ!

#### ლეპიდუსი

თქვენ აქ იქნებით?

#### ოქტავიუსი

აქ ვიქნებით, ანდა სენატში.

ლეპიდუსი გადის

### **ანტონიუსი**

არა მგონია, რომ ეს კაცი რამედ ვარგოდეს.  
მხოლოდ იმისთვის გამოდგება, თუ სადმე გზავნი.  
სამად რომ გვინდა განაწილდეს მთელი ქვეყანა,  
ამას ერგება მესამედი.

### **ოქტავიუსი**

თუ ასე ფიქრობ,  
მაშინ მას რატომ ვუთანხმდებით, ვინ დაისაჯოს.  
უფლებას აძლევ ჩაერიოს ამ შავ სიაში.

### **ანტონიუსი**

შენზე მეტი მაქვს, ოქტავიუს, გამოცდილება.  
ამ კაცს ავკიდეთ ჩვენ ნაწილი ვალდებულების,  
და მძიმე ტვირთი ამით ოდნავ შევიმსუბუქეთ.  
დაე ზიდოს მან, სანამ შეძლებს, ვით ვირმა ოქრო.  
თავს არ დაზოგავს, მოინდომებს, ივლის იმ გზაზე,  
რასაც ვუჩვენებთ. რომ მიიტანს თავის ადგილას  
ის ჩვენს საგანძურს, ტვირთს ჩამოვჭინით და მოვიშორებთ.  
აბარტყუნოს მერე ყურები.

### **ოქტავიუსი**

როგორც გენებოს.  
თუმცა მამაცი, გამოცდილი ჯარისკაცია.

### **ანტონიუსი**

ჩემი ცხენივით, ოქტავიუს, რომელიც კარგად  
უნდა იკვებოს გამუდმებით. უნდა ასწავლო  
მოქმედებები: გაჭენება, ნელი სვლით წასვლა.  
ჩემი ტვინია მბრძანებელი. თუ ლეპიდუსსაც  
ასე შეხედავ, დაინახავ, მასაც სჭირდება  
წვრთნა და ვარჯიში, რათა შეძლოს და იმოქმედოს.  
ტვინი არა აქვს. რაც შეხვდება, ყველაფერს იღებს,  
გადაყრილ ნივთებს, ტანისამოსს, შეხედულებებს.  
რაც სხვას მობეზრდა, მისთვის ახალ შინაარსს იძენს.  
კაცი კი არა, არის რაღაც ბუტაფორია.

პო, მართლა, იცი, ოქტავიუს! დიდი ამბები  
წამოუწყიათ თურმე ბრუტუსს და იმ კასიუსს!  
ჯარის მოკრება მოინდომეს. უნდა დაგასწროთ.  
ყველა მეგობარს დავუძახოთ, რომ გავძლიერდეთ.  
მერე დავსხდეთ და გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

### ოქტავიუსი

კარგი ასე ვქნათ. უდავოა, საფრთხე არსებობს.  
ბევრი მტერი გვყავს ჩვენ გარშემო შემოხვეული.  
ზოგჯერ ღიმილშიც ღალატია ჩასაფრებული.

კადაან

## სურათი II

ბანაკი სარდისთან ახლოს. ბრუტუსის კარავი.  
დაფრავები. შემოდიან ბრუტუსი, ლუციილიუსი, ლუციოუსი და  
ჯარისკაცები. მათ ხვდებან ტიტინიუსი და პინდარე

### ბრუტუსი

სდექ!

### ლუციილიუსი

გადაეცი ეს ბრძანება. სდექ!

### ბრუტუსი

სადმე აქვეა კასიუსი, როგორ გგონია?!

### ლუციილიუსი

ალბათ ასეა. გამოგზავნა ჩვენთან პინდარე,  
რათა გადმოგვცეს მან ამბავი თავის ბატონის.  
პინდარე ბრუტუსს წერილს ვაღასცემს.

### ბრუტუსი

წერილი კარგი გამოგზავნა შენმა ბატონმა.  
არ ვიცი, თვითონ გადაწყვიტა, თუ სხვისი რჩევით  
მოიქცა ასე, სამწუხაროდ, რაც გააკეთა,

აჯობებდა, არ ჩაედინა. ის რომ აქ იყოს,  
ჩემგან საყველურს მიიღებდა.

### პინდარე

მე თქვენ გარწმუნებოთ,  
ჩემი ბატონი ღირსეული, პატიოსანი  
გახლდათ ყოველთვის. არასოდეს არ შეიცვლება.

### ბრუტუსი

მაგას არ ვამბობ. ერთი წუთით! ლუციუს, მოდი!  
გვერდით გაჯღუნ  
კარგად მითხარი, კასიუსმა როგორ მიგიღო.

### ლუციუსი

ჰატიფისცემით და უდავოლ, თავაზიანად,  
მაგრამ აშკარად, ძველებური, მისთვის ჩვეული  
გულითადობა, მეგობრობა არ იგრძნობოდა.  
სითბო არ ჩანდა.

### ბრუტუსი

რასაც შენ ამბობ, ეგ ყველაფერი  
მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, უკვე გაცივდა  
მხერგალე ძმობა. ჰო, ლუციუს, დაიმახსოვრე,  
როცა ნელდება სიყვარული, მაშინ იწყება  
ცრუ ყურადღება, მეტისმეტი პატივისცემა.  
ნამდვილ სიყვარულს თვალომაქცობა რაში სჭირდება.  
ფიტულა კაცებს უყვართ ხოლმე ბედაურებად  
თავის ჩვენება. მედიდურად გაყოყოჩება.  
საკმარისია, ერთი კარგად დეზი ამოჰკრა,  
იქვე წახდება და ჯაგლაგად გადაიქცევა.  
ეს რა ხმა ისმის? მისი ჯარი აქეთებნ მოდის?  
კრუდ მოიხმის ძარშის ხმა

### ლუცილიუსი

ამ დამით ალბათ ჯერ სარდისში დაბანაკდება,  
მცირე ნაწილი. კასიუსთან ერთად ჩამოვლენ  
მერე მხედრები.

შემოღიან კასიუსი და ჯარისკაცები  
როგორც ვხედავთ, უკვე მოსულან.  
მათკენ დავიძრათ, მივეგებოთ.

**კასიუსი**  
სდექ!

**ბრუტუსი**  
სდექ! გადაეცი ჯარს ეს ბრძანება.

**პირველი ჯარისკაცი**  
სდექ!

**მეორე ჯარისკაცი**  
სდექ!

**მესამე ჯარისკაცი**  
სდექ!

**კასიუსი**  
მმავ, ღირსეულო, არასწორად იქცევი ჩემთან!

**ბრუტუსი**  
ღმერთია მოწმე, არასწორად მტერს არ ვექცევი!  
და თუ ასეა, მაშინ ცუდად მმას მოვექცევი?

**კასიუსი**  
ბრუტუს, სიმშვიდით გსურს დაფარო რაღაცა წყენა,  
რომელიც მალე

**ბრუტუსი**  
კასიუს, ჯერ, უნდა დაწყნარდე.  
ხომ იცი, გიცნობ. დამშვიდებით ვილაპარაკოთ.  
ჯარისკაცები ყურადღებით შემოგვცექერიან.  
ჩხუბის მაგივრად, ერთად ყოფნას და მეგობრობას

ელიან ჩვენგან. მათ მოვშორდეთ. იქ, ჩემს კარავში მხოლოდ მე და შენ, გავარჩიოთ თუ რამ გაწუხებს. მაინტერესებს და მოგისმენ.

### კასიუსი

მიღი, პინდარე,  
სარდლებს უთხარი, დაიხიონ ჯარისკაცებმა.

### ბრუტუსი

წადი, ლუციუს, შენც იგივე უთხარი ჩვენებს.  
ვიდრე ვსაუბრობთ, ჩემს კარავში ნურვინ შემოვა.

ლუცილიუსი დადგეს კართან ტიტინიუსიც.

კადარი

### სურათი III

ბრუტუსის კარავი.  
მოშორებით დანანან ლუცილიუსი და ტიტინიუსი.  
შემოდიან ბრუტუსი და კასიუსი

### კასიუსი

ახლავე გეტეგი, არასწორად რა გააგეოთ.  
დაასვევინე, შეარცხვინე, ლუციუს პელა!  
ქროამს ართმევდაო ხალხს სარდისში! მე იმ კაცს ვიცნობ.  
გამოგიგზავნე წერილები, ვცდილობდი დაცვას,  
შენ, ჩემი თხოვნა, დაიკიდე ფეხებზე, ბრუტუს.

### ბრუტუსი

იმას რომ იცავ, არასწორი მხოლოდ ეგ არის!

### კასიუსი

ნუთუ დრო არის ახლა იმის, ყველა დავსაჯოთ,  
ვისაც რამე შეეშალა ან დააშავა?

### **ბრუტუსი**

იცი, კასიუს, სხვათაშორის, შენზედაც მითხრეს,  
მექრთამეაო, ხალხს ურიგებს თანამდებობებს  
იმის მიხედვით, ვინ რამდენ ოქროს გადაუხდისო.  
არაფრად აგდებს მათ ღირსებასო!

### **კასიუსი**

მე ვარ მექრთამე?

შენ ბრუტუსი ხარ, თორემ რაც თქვი, აბა სხვას ეთქვა,  
ღმერთებსა ვფიცავ, რომ ცოცხალი არ იქნებოდა.

### **ბრუტუსი**

და რაკი შენ ხარ კასიუსი, ასე გგონია,  
მექრთამეობა შეიძლება იოლად შეგრჩეს?!

### **კასიუსი**

შემრჩეს?!

### **ბრუტუსი**

მარტის იდები გაიხსენე! თვით კეთისარი,  
ძლევამოსილი, ჩვენ მოვკალით სიმართლისათვის.  
სხვაგვარად ვინმე გაბედავდა მას შეხებოდა?!  
მის სისხლს დაღვრიდა?! ნუუ ახლა, იმათთაგანი,  
ვინც უპირველეს ხელისუფალს იმშერიისას,  
მახვილი ჩასცა იმის გამო, რომ მფარველობდა  
ქვეყნის მძარცველებს, ხელს გაისვრის ტყუილუბრალოდ?  
ძლივს დაბრუტებულ ჩვენს ღირსებას, განმს უძვირფასესს,  
გაცვლის, გაყიდის, ან ოქროზე, ან რამე სხვაზე?  
გამჯობინებდი ძაღლი ვიყო, მთვარეს ვუყეფდე,  
ვიდრე ასეთი რომაელი.

### **კასიუსი**

ბრუტუს, მე მიყეფ!

და არ მოგითმენ, ეს იცოდე! ნურც ის გგონია,  
სადმე მიმიმწყვდევ. შენზე მეტად გამოცდილი ვარ  
ბრძოლის ხერხებში!

## **ბრუტუსი**

აბა მიდი! არ ხარ, კასიუს!

## **კასიუსი**

ვარ-მეთქი, ვამბობ.

## **ბრუტუსი**

არა მეთქი, მე გვუბნები!

## **კასიუსი**

ნუ მაიძულებ, მოთმინებას დავკარგავ მალე,  
იცოდე, რამეს დაგიშავებ, თუ არ მომეშვი!

## **ბრუტუსი**

წადი, გამშორდი, ეგ მოქცევა კაცს არ შეპფერის!

## **კასიუსი**

რას ლაპარაკობ!

## **ბრუტუსი**

ახლავე გეტყვი.

როგორ გგონია, შემაშინებს შენი მუქარა?  
გულს გამიხეთქავ, შემლილივით თვალის ბრიალით?

## **კასიუსი**

ღმერთებო, სად ხართ, ავიტანო ეს ყველაფერი?!

## **ბრუტუსი**

ეს ყველაფერიც. უფრო მეტიც. ვიდრე გასკდება  
ეგ შენი გული ამაყი და პატივმოყვარე.  
მონები ხომ გყავს, იმათ უყვირე, რამდენიც გინდა.  
იქნებ ისინი აკანკალლნენ. მე ვერ მაშინებ!  
შენ რა გეგონა, მიჩვენებდი მაგ ფიცხ ხასიათს  
და მეც მაშინვე დავფრთხებოდი?! არა, ღმერთმანი,  
რაც დააგროვე, ეგ ბალღამი, გესლი და შხამი,  
თვითონვე უნდა მოინელო. ამიერიდან,

სასაცილოდაც არ მეყოფი, როცა კი გნახავ  
ასე გაფხორილს.

### კასიუსი

აი სადამდე მივსულვართ თურმე!

### ბრუტუსი

ბრძოლის ხერხებში გჯობივარო, ხომ მეუბნები.  
ნუკი ტრაბახობ, დაამტკიცე, რა შეგიძლია.  
არ მეწყინება მე ნამდვილად. უფრო პირიქით,  
იქნებ ვისწავლო ღირსეული მოქცევა შენგან.

### კასიუსი

ბრუტუს იქცევი არასწორად, ისევ და ისევ.  
გამოცდილი ვარ – მხოლოდ ეს ვთქვი! როდის გითხარი,  
გჯობივარ-თქო?

### ბრუტუსი

თუნდაც გეთქვას, არ მენაღვლება.

### კასიუსი

თვით კეისარი გაბედავდა ჩემთან ამის თქმას?!

### ბრუტუსი

შენ გაბედავდი, გეპასუხა ასე იმისთვის?

### კასიუსი

ვერ გავბედავდი?

### ბრუტუსი

ვერასოდეს!

### კასიუსი

ვერ გაგბედავდი?

## **ბრუტუსი**

თავს დაკარგავდი, ეს იცოდი, და არ იზამდი.

## **კასიუსი**

ჩემს სიყვარულსაც საზღვარი აქვს, თუნდაც შენდამი.  
მერე კი, იქნებ, ისიც კი ვქნა, რასაც ვინანებ.

## **ბრუტუსი**

შენ უკვე ქენი, ისეთი რამ, რასაც ინანებ.  
ახლა, კასიუს, ვეღარაფრით ვერ შემაშინებ,  
პატიოსნება ჯავშანივით დამიცავს მუდამ.  
სუსტი ნიავის ქროლვასა ჰგავს ყველა მუქარა,  
ვერაფერს მაკლებს. ერთხელ, მახსოვს, ოქრო დამჭირდა,  
გამოვაგზავნე შენთან ხალხი. არ დამეხმარე.  
არ შემიძლია უღირსი გზით ფულის მოხვეჭა!  
ის მირჩევნია, ჩემი გული დაგაზურდავო,  
სისხლი ვანთხიო მონეტებად, ვიდრე მივიდე  
და ხელდაკოურილ, საბრალო გლეხებს გამოვართვა  
ოფლით და ჯაფით მიღებული. მაშინ ის ოქრო  
ლეგიონისთვის მჭირდებოდა. არ დამეხმარე.  
აბა მითხარი, ეს კასიუს ეკადრებოდა?  
ან მე ოდესმე ჩემს კასიუსს უარს ვეტყოდი?  
მარკუს ბრუტუსი თუ გაძუნწდა ისე ოდესმე,  
თავის მეგობრებს დახმარება არ გაუწიოს,  
დაე ღმერთებმა დააყარონ მეხის ისრები,  
დაფლითონ იგი.

## **კასიუსი**

მე არ მითქვამს შენთვის უარი.

## **ბრუტუსი**

როგორ არ გითქვამს!

## **კასიუსი**

არა-მეთქი! ვიღაც სულელმა  
ჩემი პასუხი არასწორად გაგაგებინა.

**ბრუტუს,** შენ გული გამიტეხე. სამწუხაროა.  
მეგობარი ხომ იმას ჰქვია, ვინც პატარა ხინჯს  
არად ჩააგდებს. შენ კი ცდილობ გამიზვიადო!

**ბრუტუსი**  
არაფერს ვცდილობ, რასაც ვხედავ, მე იმას ვამბობ.

**კასიუსი**  
სულ არ გიყვარვარ.

**ბრუტუსი**  
არა. ნაკლი არ მიყვარს შენი!

**კასიუსი**  
მეგობრის თვალი ნაკლს სხვაგვარად აღიქვამს ხოლმე.

**ბრუტუსი**  
ჰირფერობაა, თუკი კაცი ცუდს მოიწონებს,  
როცა ოლიმპოს მთაზე დიდი იქნება იგი.

**კასიუსი**  
სადა ხარ, მოდი, ანტონიუს, შენც, ოქტავიუს!  
შურისძიება კასიუსზე გადმოანთხიეთ,  
რადგან კასიუს, ყველაფერი მობეზრდა უპევ.  
ის შეიძულა მეგობარმა უსაყვარლესმა,  
დაამდაბლა და დაამცირა, ვითარცა მონა.  
გამოუჩხრიკა, თუ რამ ნაკლი სადმე გააჩნდა,  
ერთად შეკრიბა და სიამით ჰირში ახალა.  
უნდა ვიტირო, იქნებ სულიც ამოვაყოლო  
ცრემლებს თვალიდან. სხვა რაღა დამრჩა!  
აპა, აიღე ეს ხანჯალი და შიშველ მკერდში,  
სადაც მიფეოქავს ახლა გული, უფრო ძვირფასი,  
ვიდრე პლუტონის საგანმური, ოქროზე ძვირი,  
ჩამეცი, როგორც რომაელმა. მე გულს გთავაზობ  
იმ ოქროს ნაცვლად, არ მოგეცი რომელიც თურმე!  
მიდი დამკარი, ვით კეისარს. ის სიძულვილშიც

კი გყვარებია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე  
გიყვარდა შენი კასიუსი.

### ბრუტუსი

გაწიე იქით!

ეგ გაბრაზება ოდესმე ხომ გაგინელდება.  
რაც გინდა ქენი, ყურადღებას მაინც არ ვაქცევ,  
რადგან, კასიუს, ზოგჯერ ცხვარიც კი გაცხარდება.  
შენც ასე მოგდის, თან კაჟივით ნაპერწკლებს ისვრი,  
თან იქვე უცებ ცივი ქვა ხარ.

### კასიუსი

შენ მიგაჩნია,

რომ კასიუსი სასაცილოდ არ ჰყოფნის ბრუტუსს,  
როდესაც გული ასე სკდება და სისხლი მიდუღს?

### ბრუტუსი

მეც მაგ დღეში ვარ! მართლა ცუდად გელაპარაკე.

### კასიუსი

რაო, რას ამბობ, აღიარებ? მომეცი ხელი!

### ბრუტუსი

თან გულსაც მოგცემ!

### კასიუსი

ჩემო ბრუტუს!

### ბრუტუსი

ჰემო, კასიუს!

### კასიუსი

ნუთუ იმდენად არ გიყვარვარ, რომ მოითმინო  
ჩემი სიფიცხე? დედისაგან გამოყოლილი  
აუტანელი ხასიათი?

## **ბრუტუსი**

მაშ, კასიუს, ამიერიდან,  
 როგორც კი ბრუტუსს დაეტაკები, იგი მაშინვე  
 დედას გაგიცხავს. შენზე სულაც არ გაბრაზდება.  
 გარედან რაღაც ხმები ძოისძის

## **პოეტი**

ხმა გარედან  
 უნდა შემიშვათ ჩვენს სარდლებთან. გესმით, ჩხუბობენ.  
 აუცილებლად უნდა შევიდე.

## **ლუცილიუსი**

ხმა გარედან  
 არ შეიძლება!

## **პოეტი**

ხმა გარედან  
 ვერ შემაჩერებთ, თუნდაც მომკლათ!  
 შემოდის პოეტი

## **კასიუსი**

რა ამბავია, თქვი, რა წდება!

## **პოეტი**

სირცხვილი თქვენი! სარდლები ხართ, როგორ იქცევით!  
 უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მეგობრებს.  
 მე დამიჯერეთ, გამოცდილ კაცს, ასე შეგფერით.

## **კასიუსი**

ჰა, ჰა! რა რითმებია, ასე წერ ლექსებს?!

## **ბრუტუსი**

გადი აქედან, შე თავხედო. წადი, მოშორდი!

### **კასიუსი**

მოქმედი, ბრუტუს, ასე იცის მან ლაპარაკი.

### **ბრუტუსი**

დრო და ადგილიც რომ იცოდეს, მისთვის აჯობებს.  
ასეთ სულელებს ნეტავ ომში რა ესაქმებათ!  
გადი აქედან.

### **კასიუსი**

კარგი, კარგი, უნდა წახვიდე.  
პოეტი კადის  
შემოდიან ლუცილიუსი და ტიტინიუსი

### **ბრუტუსი**

ლუცილიუს და ტიტინიუს, მეთაურებს გააგებინეთ,  
ორივე ჯარი დაბანაკდეს აქვე ამაღამ.

### **კასიუსი**

მერე დაბრუნდით ისევ ჩვენთან. გამოიყოლეთ  
თან მესალა.

ლუცილიუსი და ტიტინიუსი კადიან

### **ბრუტუსი**

ლუციუს, ღვინო მოგვიტანე!

### **კასიუსი**

ვერ ვიფიქრებდი, რომ შენ ასე განრისხდებოდი.

### **ბრუტუსი**

უთვალავი მაქვს მწუხარება, ჩემო კასიუს!

### **კასიუსი**

კაცი ესოდენ განსწავლული, ვით ვერ ერევა  
თავზე დატეხილ დარდს და წუხილს.

### **ბრუტუსი**

არა მგონია ვინმებ შეძლოს. პორცია მოკვდა.

**კასიუსი**  
რაა? პორცია?

### **ბრუტუსი**

ჰო, პორცია. ის აღარ არის.

### **კასიუსი**

მიეგირს, რომ მართლაც არ მომგალი, როგორ გეჩხუბე!  
რა შემზარავი ამბავია. გული დამწყვიტა.  
რა დაემართა?

### **ბრუტუსი**

უჩემობა ვერ აიტანა.  
თანაც შეიტყო ანტონიუსის გაძლიერება  
ოქტავიუსით. ჩვენ გავიგეთ მისი სიკვდილი  
და ეს ამბავი ერთდროულად. თავგზა აებნა.  
მარტო რომ დარჩა, ცეცხლით ყელი ამოუშანთავს.

**კასიუსი**  
და ასე მოკვდა?

### **ბრუტუსი**

ასე მოკვდა.

### **კასიუსი**

დიდო ღმერთებო!  
შეძლოის ლუციუსი ღვინით და კანდელით

### **ბრუტუსი**

მოვრჩეთ ამაზე. მომაწოდე მაგ თასით ღვინო.  
აი, კასიუს, დარდს და წუხილს, ამაში ვახრჩობ!  
*სუსტე*

### **კასიუსი**

გულით მწყურია დიდებული გრძნობისთვის შევსვა.  
თასი ამივსე მეც, ლუციუს. თუმც ჩემს სიყვარულს

**ბრუტუსის** მიმართ არ ეყოფა მაინც ეს ღვინო!

*სკამს*

*შემოდის ტიტინიუსი მესალიასთან ერთად*

### **ბრუტუსი**

მოდი, შემოდი, ტიტინიუს. მოდი, მესალა.

დასხედით ჩვენთან. კანდელი გვაქვს. თანაც ვსაუბრობთ  
საჭიროობო საკითხებზე ჩვენ ერთმანეთთან.

### **კასიუსი**

პორცია, ნუთუ აღარა ზარ!

### **ბრუტუსი**

გთხოვე, არ გინდა!

აი, მესალა, წერილებით მატყობინებენ,

დიდძალი ჯარით მოდის ჩვენებენ ოქტავიუსი

და მასთან ერთად არის მარკუს ანტონიუსი.

გეზი აიღეს სწორედ ახლა, ფილიპისაკენ.

### **მესალა**

ეგ ყველაფერი მეც მაცნობეს!

### **ბრუტუსი**

რამე სხვაც იცი?

### **მესალა**

უბრძანებიათ უკანონო მმართველებს თურმე,

იმ ოქტავიუსს, ანტონიუსს და ლეპიდუსსაც,

სიკვდილით დასჯა ასი კაცის – სენატორების!

### **ბრუტუსი**

ჩემს წერილებში ამბავია ცოტა სხვაგვარად.

სამოცდაათი სენატორი, ასე წერია,

უკვე მოუკლავთ. ციცერონიც არის მათ შორის.

**კასიუსი**

და ციცერონიც?

**მესალა**

ციცერონიც მოუკლავთ თურმე.  
მასაც ასეთი განაჩენი გამოუტანეს.

შენი ცოლისგან თუ მიიღე, ბრუტუს, წერილი?

**ბრუტუსი**

არა, მესალა.

**მესალა**

მის შესახებ არც სხვამ მოგწერა?

**ბრუტუსი**

არა, არავის მოუწერია.

**მესალა**

უცნაურია.

**ბრუტუსი**

რატომ იკითხე? ვინმემ რამე ზომ არ მოგწერა?

**მესალა**

არა, არავინ.

**ბრუტუსი**

სიმართლე თქვი, რომაელი ზარ!

**მესალა**

მაშინ შენც უნდა აიტანო, ვით რომაელმა.

თავი მოუკლავს უცნაურად, როგორც გავიგე.

**ბრუტუსი**

შშვიდობა მის სულს. ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ.

ისიც ოდესმე მოკვდებოდა. სწორედ ამიტომ,

შევეგუები თავზე დამტყდარ უბედურებას.

## **მესალა**

ამგვარად იღებს ღირსეული უდიდეს ტკიფილს.

## **კასოუსი**

მეც ხომ შენსავით შემიძლია სულის სიმტკიცე,  
მაგრამ ამ ვარამს ვერასოდეს ვერ გავუძლებდი.

## **ბრუტუსი**

მოვრჩეთ ამაზე და მივხედოთ ცოცხლების საქმეს.  
ფილიპისაკენ გავეშუროთ!

## **კასოუსი**

ჩვენ არ დავიძრათ.

## **ბრუტუსი**

რატომ, მიზეზი მითხარი შენი.

## **კასოუსი**

ახლავე გეტყვი.

აკობებს მტერი მოიწევდეს და დაიხარჯოს.

დაიღლებან სიარულში, მარაგს გალევენ.

ჩვენ აქ ვიდგებით, დაცული და დასვენებული.

## **ბრუტუსი**

კარგი აზრია, თუმც გთავაზობ მაინც უკეთესს.

მოსახლეობა, ფილიპიმდე ვინც კი იქნება.

ჩვენ მოგვემხრობა, სხვა რა გზა აქვს, რადგან ისედაც  
დაბოლმილია, გაწეული ამდენი ხარვეით.

ხოლო თუ მტერმა დაგვასწრო და მათთან მივიდა,  
დიდი ხალისით, იმათ ლაშქარს გაამრავლებენ.

ამიტომ გვიჯობს ფილიპისკენ თვითონ წავიდეთ.  
ესენიც უკან დაგვრჩებიან.

## **კასოუსი**

იცი, რას გეტყვი

## **ბრუტუსი**

მე მომისმინე. მთავარია, არ დაგავიწყდეთ,  
 რომ ვინც კი გვყავდა მეგობარი და მხარდამჭერი,  
 ყველა აქ არის. მზად არიან. დროს ვერ დავკარგავთ.  
 მტერი თანდათან ძლიერდება, ჩვენ კი ვსუსტდებით.  
 დღეს ძლიერების მწვერვალზე ვართ, ნუ მოვდუნდებით.  
 კაცის ცხოვრება რაღაცით ჰგავს ზღვის მიმოქცევას.  
 თუ მოქადაცვი ტალღას თავზე, შენ გაიმარჯვებ,  
 თუ ვერ შესძელი, იცოდე, რომ გაგიჭირდება.  
 ჯერ ლალად ვცურავთ ამ ზვირთებში. უნდა გვახსოვდეს,  
 მოვარდნილ ტალღას დროზე ავყვეთ, შესაძლებლობას  
 ნულარ დავკარგავთ.

## **კასიუსი**

ასე იყოს, რაკი ისურვე.  
 ბრძანე და ყველა დავიძრებით ფილიპისაკენ.

## **ბრუტუსი**

ამ საუბარში გვარიანად ჩამოგვადამდა.  
 რაკი ბუნებამ დაიძინა, ჩვენც მოვისვენოთ.  
 სათქმელი დარჩა, ვინმეს რამე?

## **კასიუსი**

ლამე შშვიდობის!  
 განთიადისას გზას გავუდგეთ.

## **ბრუტუსი**

ლუციუს! მომიტანე დამის სამოსი.  
**ლუციუსი გადის**  
 შშვიდობის ლამე, ჩემო მესალა. შენც ტიტინიუს.  
 ლირსო კასიუს. ტკბილი ძილი მინდა გისურვოთ  
 და მოსვენება.

## **კასიუსი**

ბრუტუს, ჩემო ძვირფასო ძმაო,  
 ცუდად დაიწყო დღევანდელი ჩვენი საღამო.

აღარასოდეს მომხდარიყოს მსგავსი ამბავი.  
არ გამეგონოს!

### ბრუტუსი

ყველაფერი კარგად იქნება!

### კასიუსი

მშვიდობის ღამე დიდებულ ბრუტუსის!

### ბრუტუსი

ღამე მშვიდობის, ჩემო ძმაო.

ტიტინიუსი და მესალა  
ღამე მშვიდობის!

### ბრუტუსი

აბა, ყველას გემშვიდობებით!  
გადიან კასიუსი, ტიტინიუსი და მესალა,  
შემოდის ლუციუსი ღამის პერანგით  
მომე პერანგი. სად არის შენი საკრავი?

### ლუციუსი

აქ გვაქვს, კარავში.

### ბრუტუსი

თითქოს ბურანში ლაპარაკობ. შე საცოდავო,  
დიდი ხანია ასე ფხიზლობ. მიდი, კლავდიუსს  
და სხვა მსახურებს დაუძახე. აქ დაიძინონ.

### ლუციუსი

ვარონ! კლავდიუს!  
შემოდიან ვარონი და კლავდიუსი

### ვარო

გისმენთ, ბატონო!

### **ბრუტუსი**

მე მინდა გთხოვოთ თქვენ ორივეს, აქ დაიძინოთ,  
ჩემთან, კარავში. თუ დამჭირდა, გაგაღვიძებდით  
და ჩემს ძმასთან, კასიუსთან, გაგაგ ზაგნიდით.

### **გარონი**

როგორც ინებებთ. აჯობებდა, არ დავიძინოთ.  
ასე ვიწებით. თქვენს ბრძანებას დაველოდებით.

### **ბრუტუსი**

ასე არ მინდა. დაწექით, გთხოვთ, ჩემო კარგებო.  
იქნებ გაგ ზაგნა არც დამჭირდეს. ჯერ არც კი ვიცი.  
ნახე, ლუციუს, ეს წიგნია, წელან რომ გკითხე.  
თურმე აქ მქონდა, არ მახსოვდა, ჯიბეში მედო.  
*ძსახურები წვებიან*

### **ლუციუსი**

ზუსტად ვიცოდი, რომ ეგ ჩემთვის არ მოგიციათ.

### **ბრუტუსი**

ნუ გეწყინება, ჩემო ბიჭო, გულმავიწყი ვარ.  
პო, დამძიმებულ ქუთუთოებს თუ მოერევი,  
იქნებ ჩამოკრა ერთი-ორი მაგ შენს ინსტრუმენტს.

### **ლუციუსი**

ახლავე, რაკი ასე გნებავთ.

### **ბრუტუსი**

კარგი იქნება.  
როგორ გაწვალებ, შენ კი მუდამ ხალისით უკრავ.

### **ლუციუსი**

ჩემი ვალია გემსახუროთ, ჩემო ბატონო!

### **ბრუტუსი**

რაც გევალება, იმაზე მეტს არ უნდა გთხოვდე.  
ჭაბუკი სისხლი დასვენებას ხომ საჭიროებს?!

## **ლუციუსი**

უკვე მეძინა. გამოვიძინე.

## **ბრუტუსი**

ძალიან კარგი. ახლა მიდი, ისევ დაწექი,  
ოლონდ ცოტა ხანს მოიცადე. თუკი გადავრჩი  
ჩემგან მიიღებ ბევრ სიკეთეს სამსახურისთვის.

*ლუციუსი უკრაგს და ძღერის.  
მოულოდნელად ჩაეძინება.*

ძილიც მოსულა. ო, შე მყვლელო, დაუნდობელო,  
როგორ ჩაარტყი რკინის კვერთხი ჩემს საბრალო ბიჭს,  
როცა ტყბილი ხმით მიმღეროდა. ძილს არ დაგიფრთხობ,  
ჩემო ბიჭუნა, არ გაღვიძებ. საკრავს შემთხვევით  
თავი არ დაჰქრა, გამოგაცლი. ჰო, ასე, ასე.  
ახლა იძინე. ტყბილი სიზმრები! ნეტავ სადამდე  
წავიკითხე, აი ფურცელი გადაკეცილი!

*დაჯდება. შემოდის კუისრის აჩრდილი  
როგორ პარპალებს ეს სანთელი! ნეტავ ვინ მოდის?  
არ ვიცა, მართლა ცუდად ვხედავ, თუ იღანდება,  
შიშის მომგვრელი მოჩვენება ამ სიბნელეში.  
ჩემსკენ მოიწევს. ვერ მიგწევდარგარ, ვინ უნდა იყოს.  
ანგელოზი ხარ იმ ქვეყნიდან თუ სატანა ხარ?  
თმა ყალყზე მიდგას, გამეყინა სისხლი ძარღვებში.  
ვინა ხარ?*

## **აჩრდილი**

მე ვარ! მე ვარ, ბრუტუს, ბოროტი სული!

## **ბრუტუსი**

რისთვის მოხვდი?

## **აჩრდილი**

რომ გაგაფრთხილო, ფილი პისთან შემხვდები მალე!

## **ბრუტუსი**

ისევ შევხვდებით? ნუთუ მართლა!

## **აჩრდილი**

ჰო. ფილი პისთან.

### **ბრუტუსი**

დე ასე იყოს. ფილი პისთან შეგხვდები მალე.

*აჩრდილი გაქრება*

გული დაშვეიდდა, როგორც იქნა. შენ კი სად გაქრი?

ბოროტო სულო, კიდევ დამრჩა რაღაც სათქმელი.

ბიჭო! ლუციუს! ვარონ, კლავდიუს! გამოიღვიძეთ!

კლავდიუს!

### **ლუციუსი**

სიმი! სიმის ბრალია, ბატონო!

### **ბრუტუსი**

ამას ჰერნია, ისევ უკრავს. გამოიღვიძე!

### **ლუციუსი**

გისმენთ, ბატონო!

### **ბრუტუსი**

რამე გესიზმრა? რად ყვიროდი ასე, ლუციუს?

### **ლუციუსი**

ბატონო ჩემო, მე ვყვიროდი? არ გამიგია!

### **ბრუტუსი**

ჰო, ყვიროდი. რამე ნახე?

### **ლუციუსი**

არა, ბატონო!

### **ბრუტუსი**

კარგი, მაშ ისევ დაიძინე. ჰეი, კლავდიუს!

და შენც, ყმაწვილო!

**ვარონი**

დიახ ბატონო!

**კლავდიუსი**

დიახ, ბატონო!

**ბრუტუსი**

ძილში ორივე რას ყვიროდით!

**ვარონი და კლავდიუსი**

ძილში ვყვიროდით?

**ბრუტუსი**

პო. რამე ნახეთ?

**ვარონი**

არ მინახავს.

**კლავდიუსი**

არც მე მინახავს.

**ბრუტუსი**

წადით, გასიუსს გადაეცით, თავისი ჯარი  
სასწრაფოდ უნდა გაამზადოს. ჩვენც მალე მივალთ.

**ვარონი და კლავდიუსი**

ახლავე, ბატონო!

*გადიან*

## მესუთე მოქმედება

### სურათი I

ფილიპის კელი.

შემოღიან იქტავიუსი, ანტონიუსი და მათი ჯარი

#### ოქტავიუსი

ხედავ, იმედი, ანტონიუს, არ გაგვიცრუვდა.

შენ კი ამბობდი, მტერი აქეთ არ წამოვაო,  
იდგებიანო, გორაკებზე გამაგრებულნი.

საქმე სხაგვარად წარიმართა. ბრძოლა იწყება.

უკვე დაიძრნენ ფილიპისკენ, ჩვენსკენ მოდიან.  
უნდათ დაგვასწრონ, გადაწყვიტეს შემოგვიტიონ.

#### ანტონიუსი

ასე არ არის. კარგად ვიცი, ამით ისინი  
რას აკეთებენ. როგორ უნდათ, სულ სხვაგან იყვნენ,  
მაგრამ მოდიან. თან ჰავანიათ, რაკი გვიჩვენეს  
ეს შიმნარევი სიმამაცე, ჩვენ დავიბევით  
და დავრწმუნდებით მათ უდავო ძლიერებაში.  
არ მოვტყუვდებით.

შემოღის მაცნე

#### მაცნე

მოემზადეთ დროზე, სარდლებო.  
გვიახლოვდება უკვე მტერი მწყობრი ნაბიჯით.  
აფირიალებენ ომის ნიშანად მეწამულ ალამს.  
წუთიც არა გვაქვს დასაკარგი. რაღაც ვიღონოთ.

#### ანტონიუსი

მარცხენა მხრიდან, ოქტავიუს, შენ განლაგდები.  
ნელ-ნელა წახვალთ შეუმჩნევლად. ასე შევუტევთ.

#### ოქტავიუსი

მარჯვნიდან მივალ. შენი იყოს მარცხენა მხარე.

### **ანტონიუსი**

საკამათოა? რას ვაკეთებთ, ამისი დროა?

### **ოქტავიუსი**

არც მიფიქრია. უბრალოდ ვთქვი, აქეთ მინდა-თქო.

მარში. დაფუძნები.

შემოღიან ბრუტუსი და კანიუსი თავისი ჯარით. აგრეთვე  
ლუცილიუსი, ტიტინიუსი, მესალა და სხვები.

### **ბრუტუსი**

რომ არ იძგრიან, იმას ნიშნავს, ლაპარაკი სურთ.

### **კასიუსი**

უნდა გავჩერდეთ, ტიტინიუს. მათ უნდა შევწედეთ.

### **ოქტავიუსი**

უჩვე ვაცნობოთ, ანტონიუს, ბრძოლის დაწყება?

### **ანტონიუსი**

არა, ჯერ არა, კეისარო. უნდა მოვიქცეთ  
ჩვენც წესისამებრ. სათქმელი თქვან მეთაურებმა.

### **ოქტავიუსი**

ვიდრე ნიშანი არ იქნება, ნუ გაინძრევით!

### **ბრუტუსი**

ჯერ სიტყვები და მერე დარტყმა, ასე არ არის?!

### **ოქტავიუსი**

ეგ ჩვენზე მეტად ხომ შენ გიყვარს. ასეც იქცევი.

### **ბრუტუსი**

კეთილი სიტყვა, ოქტავიუს, გერაგ დარტყმას სჯობს.

### **ანტონიუსი**

ვერაგ დარტყმისას იცი, ბრუტუს, კეთილი სიტყვა.

კეისარს მკერდი გაუზვრიტე და თან ამბობდი,  
დღეგრძელი იყოს კეისარი.

### კასიუსი

ანტონიუს,

შენ რა სიტყვებით იცი დარტყმა, ჯერ უცნობია,  
მაგრამ დათაფლვა გეხერხება. სულ გაგიძარცვავს  
ალბათ ფუტკრები.

### ანტონიუსი

ნესტარიც კი არ დავუტოვე.

### ბრუტუსი

სჩანს, არც ბზუილი. მოგიპარაგს მათგან ბზუილიც.  
ფიქრობ, რომ ამით შეგვაშინება, ვიდრე დაგვნესტრავ?!

### ანტონიუსი

არამზადებო! არც ეგ ქენით, როცა კეისარს  
ჩასცხეთ ხაჯვლები, რიგორიგობით, ოქვენ ვერაგულად.  
მაიმუნივით კრეჭდით კბილებს. კუდის ქიცინით  
და მონასავით თავდახრილი, ფეხს ულოკვდით,  
როდესაც კასკამ, იმ ქოფაქმა, ზურგიდან ჩასცა  
კეისარს დანა შიგ კისერში. მლიქვნელები ხართ!

### კასიუსი

მლიქვნელებიო, ბრუტუს, გესმის! შენი ბრალია!  
არ მოვისმენდით ასეთ ლანძღვას, დღეს ჩვენ არავინ,  
რასაც ამბობდა კასიუსი, ყური რომ გეგლო.

### ოქტავიუსი

საქმეს შევუდგეთ მოდი, დროზე, კამათში მხოლოდ  
ოფლი იღვრება. გადავაქცევთ წითელ წვეთებად!  
ამას შეხედეთ!  
ხმალს არ ჩავაგბა, შეთქმულებო, მე თქვენ გპირდებით,  
ვიდრე კეისრის ოცდაცამეტ ჭრილობის გამო  
შურს არ ვიძიებ. თუ არადა, დაე აქ მოკვდეს,  
ახლა მეორე კეისარიც, მუხანათურად.

## **ბრუტუსი**

შენ არ მოკვდები, კეისარო, მუხანათურად,  
შენს გარემოცვას ასეთებად თუ არ გარდაქმნი.

## **ოქტავიუსი**

არა მგონია უნდა მომკლას ბრუტუსის ხმალმა.

## **ბრუტუსი**

მასეთ სიკვდილზე, მითხარ, ვინ არ იოცნებებდა,  
ყმაწვილო კაცო, შენს თაობაში.

## **კასიუსი**

ლირსი არ არის  
ამ პატივის, ჭირვეული, პატარა ბიჭი.  
იყოს გართობა-თამაშობის მოტრფიალესთან.

## **ანტონიუსი**

ჩუ შე ბებერო!

## **ოქტავიუსი**

ანტონიუს, წამო, წავედით!  
მოღალატენო, თქვენ გიცხადებთ, ბრძოლაში გიწვევთ!  
თუ დღეს გაბედავთ, გელოდებით იქ, გაშლილ ველზე.  
და თუ არადა, მაშინ მოდით, მზად რომ იქნებით.  
გადიან ოქტავიუსი, ანტონიუსი ჯართან ურთად

## **კასიუსი**

დაპბერე ქარი, ზღვა აღელდა! ნავო, პატარა!  
ამ ქარიშხალში ის მოხდება, რაც გიწერია.

## **ბრუტუსი**

ლუცილიუსი, მოდი, საქმე მაქვს.

## **ლუცილიუსი**

რას მიბრძანებთ!  
ბრუტუსი და ლუცილიუსი ჩუმად საუბრობენ

**კასიუსი**  
მესალა!

**მესალა**  
გისმენ, მეთაურო!

**კასიუსი**

იცი, მესალა,  
დღეს დაბადების დღეა ჩემი. სწორედ დღეს იყო,  
რომ დაიბადა კასიუსი. მომეცი ზელი!  
შენა ხარ მოწმე, ჩემი ნების საპირისპიროდ,  
პომპეუსივით, შევიქენი იძულებული,  
ამ ერთ ბრძოლაში გამეცვალა თავისუფლება.  
შენ მაინც იცი, რომ ვიყავი ეპიკურელი.  
ახლა უარვყავ ეს მოძღვრება. ვაცნობიერებ  
რაღაცა ნიშნებს, მაუწყებელს უბედურების.  
რომ გამოვედით სარდისიდან, საომარ დროშას  
ზედ დააჯდა ძალზე დიდი ორი არწივი.  
კარგად კვებავდნენ მეომრები. ისინიც ისხდნენ,  
ფილი პისაკენ მოგვყვებოდნენ. ამ დილით, როცა  
დროშას გავხედე, წასულიყვნენ, აღარსად ჩანდნენ.  
სამაგიეროდ, ყვავ-ყორნები დაგვტრიალებენ  
და ციდან ისე დაგვცქერიან, როგორც მათ ლუკმას.  
შავი ჩრდილები დააფინეს ჩვენს ჯარისკაცებს,  
თითქოს გვამცნობენ, აღსასრულის დრო მოვიდაო.

**მესალა**  
ეგ ცრურწმენაა!

**კასიუსი**

მაგრამ მაინც, ცოტათი მჯერა.  
თუმცა სიმხნევე ჩემი სულის არ დამიკარგავს.  
მზად ვარ მივიღო გამოწვევა ნებისმიერი.

**ბრუტუსი**  
ასეა, ჩემო ლუცილიუს.

## კასიუსი

იცი რა, ბრუტუს,  
ღმერთის წყალობით, შევაპერდეთ იქნებ ერთმანეთს  
ასე სიამით, მეგობრობით და სიყვარულით!  
არავინ იცის, ბედისწერა კაცს რას უმზადებს  
და უარესზეც გვმართებს ალბათ ჩვენ დაფიქრება.  
ხომ შეიძლება ვსაუბრობდეთ უკანასკნელად.  
ასე თუ მოხდა, რას აპირებ, მინდა ვიცოდე.

## ბრუტუსი

შენც კარგად იცი, რასაც ვფიქრობ, როგორ ვკიცხავდი  
თავის მოკვლისთვის მუდამ კატონს. მე მიმარნია.  
რომ სილაჩრეა, საქციელი მეტად უღირსი,  
შიშმა დაგჯაბნოს, უარი თქვა ღმერთის ბოძებულ  
შენს სიცოცხლეზე. მოოთმინებით უნდა ავივსო.  
დაველოდები, რას გადაწყვეტს უზენაესი.  
ჩვენ მის ხელში ვართ.

## კასიუსი

მაშ ეს ბრძოლა თუკი წავაგეთ,  
შენ თანახმა ხარ, გაგატარონ რომის ქუჩებში,  
ტრიუმფალური გამარჯვების აღსანიშნავად?!

## ბრუტუსი

არა, კასიუს, არასოდეს არ დაიჯერო,  
რომის ქუჩებში ბრუტუს ვინმე ოდესმე ნახავს  
ბორკილდადებულს. ასეთი რამ არ ეკადრება!  
თუმცა დადგა დღე, დავასრულოთ ის ძნელი საქმე,  
მარტის იდებში რომ დავიწყეთ. ხომ შეიძლება  
ვეღარასოდეს ვეღარ შევხვდეთ. სწორედ ის დროა,  
დავემშვიდობოთ ჩვენ ერთმანეთს. სამარადეამოდ.  
ჰო, სამუდამოდ. გადარჩენა თუ გვიწერია,  
ამ ყველაფერზე გავიღიმებთ. ხოლო თუ არა,  
კარგი იქნება, რომ მოვასწროთ გამოთხოვება.

### **კასიუსი**

მაშ გეთხოვები სამუდამოდ, სამარადეამოდ!  
 თუ გავიმარჯვეთ, გავიცინოთ ამაზე, ბრუტუს.  
 თუ ვერ გადავრჩიოთ, მაშ მოვასწროთ დამშვიდობება!

### **ბრუტუსი**

ახლა წავედით! რომ შეგვეძლოს იმის გაგება,  
 რა გველოდება, რა ბოლო გვაქვს, როგორ მოხდება!  
 ეს ღღეც ოდესმე დასრულდება და ყველაფერი  
 გვეცოდინება! მაშ წავედით, ხულარ ვაყოვნებთ!  
 კადიან

### **სურათი II**

ბრძოლის კელი. ომის ხმაური.  
 შემოდიან ბრუტუსი და მესალა

### **ბრუტუსი**

სწრაფად, მესალა, გააჭერე. დროზე მიეცი  
 ჩემი ბრძანება განაპირა ჩვენს ლეგიონებს.  
 ომის ხმაური მატულობს  
 დაუყოვნებლივ გადავიდნენ იქ შეტევაზე.  
 დაბნეულია ახლა ჯარი ოქტავიუსის,  
 არ დააცალონ გონზე მოსვლა, მოულოდნელად  
 დაესხან თავზე. მიდი, წადი, დრო არ დაკარგო!  
 კადიან

### **სურათი III**

ბრძოლის კელის მეორე მხარე.  
 ომის ხმაური. შემოდიან კასიუსი და ტიტინიუსი

### **კასიუსი**

როგორ გარბიან, ტიტინიუს, იმათ შეხედე!  
 ჩვენი ლაჩარი, უსინდისო ჯარისკაცები!

ზურგი უჩვენა მტერს მედროშებ. იქვე მოვკალი.  
დროშა ხელიდან გამოვტაცე იმ მოღალატეს.

### ტიტინიუსი

ბრუტუშმა მგონი ნაადრევად გასცა ბრძანება.  
ოქტავიუსის ჯარი ნახა რაკი დაშლილი.  
ჯარმა დაიწყო ძარცვა-გლეჯა ანტონიუსმა  
დრო იხელთა, მოაქცია ყველა ალყაში.

შემოდის პინდარე

### პინდარე

უნდა იჩქაროთ, თქვენ ბატონო, დროზე წამოდით!  
თქვენს კარვებშია შემოსული ანტონიუსი!  
ჩქარა, კასიუს, აქ რა გინდათ, იქით წამოდით!

### კასიუსი

ბორცვი შორსაა, ტიტინიუს! როგორ გგონია,  
ჩვენი კარვების თავზე არის ის შავი ბოლი?

### ტიტინიუსი

მგონი ასეა.

### კასიუსი

ტიტინიუს, ჩემს ცხენს მოახტი,  
დეზები ჰკარი. თუ გიყვარვარ, დროზე მაცნობე,  
ჯარი რომ მოჩანს, ვის ეკუთვნის, მტერს თუ მოყვარეს.  
სწრაფად დაბრუნდი. ეს ამბავი გამაგებინე.

### ტიტინიუსი

ერთ წამში უკან დავბრუნდები.

გადის

### კასიუსი

შენ კი, პინდარე, გთხოვ გახედო იმ გორაკიდან,  
ხომ იცი, ცუდად მიჭრის თვალი, ტიტინიუსი

როგორ მოძრაობს. ბრძოლის ველზე რა ამბავია.

**პინდარე** აღის მაღლა

შვებით პირველად ამოვისუნთქე. დრომ შემოხაზა  
ბოლოს და ბოლოს თავისი წრე. რითიც დავიწყე,  
ახლა იმითვე დავასრულებ. ჩემი სიცოცხლე  
ამოიწურა.

**პინდარეს**

იქ რას ხედავ, რამე მაცნობი!

**პინდარე**

ო, ღმერთო ჩემო!

**კასიუსი**

თქვი, რას ხედავ! რა დაინახე!

**პინდარე**

ტიტინიუსი მხედრებს წრეში მოუმწყვდევიათ.

ზედ მიიწევნ. მათკენ იწევს ტიტინიუსიც.

ძალიან ახლოს არის ყველა ტიტინიუსთან.

ტიტინიუს! რაღაც აინთო! მასაც ვხედავ!

მგონი შეიპყრებ!

**კუირილის ხმა**

სიხარულის ყიჟინა დასცხეს!

**კასიუსი**

კარგი, ჩამოდი. აღარ მითხრა აღარაფერი!

მხდალი ბებერი, აი, რა ვარ! ეს რა ვნახე!

საუკეთესო მეგობარი მტერმა შეიპყრო!

**შემოღის პინდარე**

გახსოვს პინდარე, პართიაში ტყვედ რომ იყავი,

გამოგიხსნი და სანაცვლოდ შენი სიცოცხლის,

ფიცი მოგთხოვე, თუ ოდესმე, რაიმეს გთხოვდი,

არ უნდა გეთქვა შენ უარი. სიტყვა მომეცი

და ახლა უნდა შეასრულო. თავისუფალი

იქნები ჩემგან. ეს ხანჯალი, მე რომ კეისარს

მკერდში ვაძგერე, ახლა შენ გულში უნდა დამკრა.

პასუხს არ ველი. ტარს მოკიდე. როცა თვალებზე  
ხელს ავიფარებ, გააკეთე, რაც მე გითხარი.  
ის იარაღი, კეისარო, რომელმაც მოგქლა,  
შურისძიების იარაღი ყოფილა თურმე!

კვდება

### პინდარე

ფიცს ვერ გაეტეხდი და მივიღე დანაპირები.  
სულ არ მინდოდა მე ასეთი თავისუფლება.  
ახლა, კასიუს, შორ ქვეწნებში წავა პინდარე,  
რომაელები მის კვალსაც კი ვერ იპოვიან.

გადის.

შემოდიან ტიტინიუსი და მესალა

**მესალა**  
თუმც გაიმარჯვა კასიუსის ლეგიონებზე  
ანტონიუსმა, სამაგიეროდ, ტიტინიუს,  
ოქტავიუსი დამარცხა ბრუტუსის ჯარმა,

### ტიტინიუსი

დიდ შვებას მოჰვერის ეს ამბავი ალბათ კასიუსს.

### მესალა

სად დავტოვეო, რა მითხარი?

### ტიტინიუსი

აქ, ამ გორაზე.  
სასოწარკვეთილს გვერდით ჰყავდა მხოლოდ პინდარე.

### მესალა

ვიღაც აგდია აქ მიწაზე. ნუთუ ის არის?

### ტიტინიუსი

ის არის, ოლონდ ცოცხალს არ ჰგავს, ო, ღმერთო ჩემო!

### მესალა

იქნებ სხვა არის!

## ტიტინიუსი

ის იყო ის, ჩემო მესალა.  
კასიუსზე ჩვენ ვეღარ ვიტყვით აწი არისო!  
დაისის მზეო, ვით ალისფრად ელვარე სხივებს  
ჩაგიქრობს ბნელი ღამის სიშავე, კასიუსის  
მეწამულ სისხლსაც მწუხრი მალე ასე დანისლავს.  
მზე ჩაესვენა უკვე რომის. დაღამებულა.  
ცაზე ღრუბლები შეიყარა, ხიფათს ელოდეთ!  
ცუდი ამბების მოწმე გავხდით. მიზეზად იქცა  
გაუგებრობა, წარმატება მარცხი ეგონა!

## მესალა

ჰო, გამარჯვება ვერ გაიგო, მარცხი ეგონა!  
ო, საძულველო ცდომილებავ! შენ ხარ ნაყოფი  
ადამიანთა მწუხარების. საზარელ ფიქრებს  
წარმოუსახავ რეალობად. ო, ცდომილებავ!  
საბედისწერო ხდები მუდამ, სადაც კი ჩნდები  
და ანადგურებ იმ გონებას, ვინაც წარმოგშვა.

## ტიტინიუსი

სად ხარ, პინდარე, სად წაზვედი! ეს როგორ მოხდა!

## მესალა

ის შენ მოძებნე, მე მანამდე ბრუტუს ამ ამბავს  
გავაგებინებ, რაც იქნება ნამდვილი დარტყმა.  
ჰო, „დარტყმას“ ვამბობ. ბრუტუსისთვის ეს იგივეა,  
ჩასცხო ხანჯალი, შხამიანი, ანდა ისარი.

## ტიტინიუსი

წადი, მესალა. მე პინდარეს მოვძებნი სადმე,  
*ძესალა გადის*  
რატომ გამგზავნე იქ, კასიუს, უმამაცესო!  
მე შენს მეგობრებს შევეყარე. თავზე დამადგეს  
გამარჯვებულის ის გვირგვინი, რომელიც შენთვის  
უნდა მომეცა. რომ ყვიროდნენ, არც ის გესმოდა?!  
წარმოიდგინე სულ სხვაგვარად, რაც იქ ხდებოდა.

შენ გეკუთვნოდა ეს გვირგვინი. თავზე დაგადგამ.  
შენმა ბრუტუსმა დამავალა, მიუტანეო  
და მეც ვასრულებ. ბრუტუს, მოდი, ახლა ის ნახე,  
ვინ იყო ჩემთვის კასიუსი. დიდო ღმერთებო,  
უნდა შემინდოთ! რომაელი ასე იქცევა!  
ჩემს გულს განგმირავს კასიუსის ბასრი მახვილი!

ჯვდება

იმის იმის ხმაური. შემოღიან მესალია, ბრუტუსი, ჭაბუკი კატონი,  
სტრატონი, კოლუმნიუსი და ლუკიოლიუსი

### **ბრუტუსი**

აბა სად არის, თქვი, მესალა, მისი სხეული

### **მესალა**

აი იქ არის. და დასტირის ტიტინიუსი.

### **ბრუტუსი**

ტიტინიუსიც გულალმა წევს,

### **კატონი**

ისიც მკვდარია!

### **ბრუტუსი**

ო, კეისარო, კალავ გვიჩვენებ შენს სიძლიერეს.  
შენი აჩრდილი აქ ტრიალებს. ჩვენსავე ხანჯლებს  
შიგ გულ-მუცელში გვიტრიალებ!  
იმის ხმაური იქლებს

### **კატონი**

ტიტინიუსმა,

ჩვენმა მამაცმა, კასიუსი როგორ შეამკო!  
მკვდარი დაუხვდა, დაახურა მაინც გვირგვინი!

### **ბრუტუსი**

ამ ორის მსგავსი ვინმე დარჩა, რომაელთაგან?!  
გემშვიდობებით, რომაელნო, უკანასკნელნო!

რომი ვერასდროს ამათ ბადალს ვერ ეღირსება!  
მე ვტირი ახლა, მეგობრებო, მაგრამ ვიცი, რომ  
მათვის არ კმარა მხოლოდ ცრემლი. გლოვა შეპფერით!  
ეს დროც დადგება, ჰო, დადგება, ჩემო კასიუს!  
დაუყოვნებლივ წაიყვანეთ კუნძულ თასოსზე.  
სიმხევეს დასცემს, ჩვენს კარავში თუ დავასვენეთ.  
მოდით აქ, კატონ, ლუცილიუს, ჩვენ ბრძოლა გვმართებს.  
ჯარს გაუძღვება ფლაგიუსი, მასთან ლაბეოც.  
ჯერ მხოლოდ სამი საათია. რაღას ვუცადოთ,  
დაღამებამდე ჩვენი ბედი კვლავ გამოვცადოთ.  
გადთან

## სურათი IV

საომარი კელი. ომის ხმაური.  
შემოღიან ხელიართული ბრძოლით ორივე შხარის მეომრები,  
შემდევ ბრუტუსი, კატონი, ლუცილიუსი და სხვები

### ბრუტუსი

თავი ასწიეთ, მეგობრებო, ამაყად, მაღლა!  
გადის. ძახთან ერთად ძესალა და ფლავიუსი

### კატონი

ვინ ნაბიჭვარი დახრის ძირს თავს! აბა, მომყევით!  
მთელ ბრძოლის ველზე მსურს ხმამაღლა გამოვაცხადო:  
მე ვარ კატონი, მე ვარ შვილი მარკუს კატონის!  
გებრძევ ტირანებს, რადგან მიყვარს ჩემი ქვეყანა!  
მარკუს კატონის შვილი ვარ-თქო!  
ძტერს შუალებს

### ბრუტუსი

მე ვარ ბრუტუსი,  
მარკუს ბრუტუსი და მე მიყვარს ჩემი ქვეყანა.  
დაიმახსოვრეთ, ბრუტუსი ვარ!

გადის, თან მტერს უტკვს. კატონს რამოდენიმე  
ძეომარი ესხმის თავს.  
კატონი ძირს ვარდება

### ლუცილიუსი

შენც დაცემულხარ, ღირსეულო, მამაცო კატონ!  
ტიტინიუსის ბედი გერგო. გმირულად მოკვდი.  
მარკუს კატონის შვილისათვის ეს პატივია!

### მეომარი

უნდა დამნებდე, ანდა მოკვდი!

### ლუცილიუსი

მე მხოლოდ სიკვდილს  
თუ დავნებდები. მაშ მომკალი, აქვე, ახლავე.  
ფულს გაუწედის  
შენ მოკლავ ბრუტუსი. იამაყებ, რა პატივია!

### მეომარი

არ უნდა მოვკლათ. ძვირფასი ტყვეა.

### მეორე მეომარი

შევატყობინოთ ანტონიუსი, ბრუტუსი ტყვეა!

### მეომარი

მე თვითონ ვეტყვი. აი, მოვიდა!  
შეძროის ანტონიუსი  
ბრუტუსი შევიპყარით, ბრუტუსი შევიპყარით!

### ანტონიუსი

აბა, სად არის?

### ლუცილიუსი

უსაფრთხოდ არის, ანტონიუს. და მე გარწმუნებ  
ბრუტუსს ვერასდროს მტერი ცოცხლად ტყვედ ვერ აიყვანს.  
ასეთ შერცხვენას ბრუტუსისას არ დაუშვებენ

თავად ღმერთები. თუ ოდესმე სადმე შეხვდები,  
გინდაც ცოცხალი იყოს იგი, და გინდაც მკვდარი,  
მუდამ ბრუტუსი დაგიხვდება, როგორც ეპუთვნის.

### **ანტონიუსი**

ეს, მეგობარო, არ არის ის, ვინც შენ გეგონა,  
მაგრამ მერწმუნე, არანაკლებ ძვირფასი არის.  
უსაფრთხოდ გყავდეთ. მოეპყარით თავაზიანად.  
მე ასეთ ხალხთან მეგობრობას ვამჯობინებდი,  
ვიდრე მტრად ყოფნას. ახლა წადით, უნდა იპოვოთ  
თქვენ ბრუტუსი. ან ცოცხალი და ანდა მკვდარი.  
ოქტავიუსის კარაგში ვარ. რასაც შეიტყობთ,  
მალე მაცნობეთ.

*ვადიან*

### **სურათი V**

საომარი კელის სხვა ადგილი  
შემოღიან ბრუტუსი, დარღანიუსი, კლიტუსი, სტრატონი და  
კოლუმნიუსი

### **ბრუტუსი**

რა ცოტა დავრჩით, მეგობრებო. ქვაზე ჩამოვსხდეთ, დავისვენოთ.

### **კლიტუსი**

სტატილიუსმა ჩირალდანი თუმცა აანთო,  
მაგრამ არსად სჩანს. ან დაიჭირეს, ან იქნებ მოკლეს.

### **ბრუტუსი**

კლიტუს, დაჯექი. სიკვდილია ახლა მთავარი.  
სხვა არაფერი აღარ დარჩა. მისმინე, კლიტუს.  
*რაღაცას უჩურჩულებს*

### **კლიტუსი**

მე გავაკეთო? არასოდეს მაგას არ ვიზამ!

**ბრუტუსი**  
მაშინ გაჩუმდი.

**კლიტუსი**  
მირჩევნია თავი მოვიკლა!

**ბრუტუსი**  
ყური დამიგდე, დარდანიუს,  
რაღაცას ჩასჩურჩულებს

**დარდანიუსი**  
ეგ მე უნდა ვქნა?

**კლიტუსი**  
ეი, დარდანიუს!

**დარდანიუსი**  
რა იყო, კლიტუს!

**კლიტუსი**  
რა მძიმე საჭმე დაგავალა წელან ბრუტუსმა?

**დარდანიუსი**  
თქმა, მომკალიო. ნახე, ისევ ფიქრებს მიეცა.

**კლიტუსი**  
ისე სავსეა ახლა სევდით მისი სხეული,  
რომ ლამისაა თვალებიდან გადმოეღვაროს.

**ბრუტუსი**  
ჩემო კეთილო ვოლუმნიუს, მოდი, საქმე მაქვს!

**ვოლუმნიუსი**  
ბრძანეთ, ბატონო.

## **ბრუტუსი**

აი რა მინდა ახლა გითხრა,  
კეისრის სული უკვე ორჯერ გამომეცხადა.  
ერთხელ სარდისში. წუხელ ღამით, ფილიპის ველზე,  
ჟამი დამიდგა აღსასრულის.

## **ვოლუმნიუსი**

მაგას რას ბრძანებთ!

## **ბრუტუსი**

მე ზუსტად ვიცი, ვოლუმნიუს, რომ ეს ასეა.  
როგორ ტრიალებს ეს ქვეყანა, ერთი შესედე!  
უფსკრულის პირთან მიგვიმწყვდია ყველანი მტერმა.  
შორიძან მოისმის ომის ხმაური  
თვითონ გადავხტეთ, ჩვენი ნებით, ალბათ აჯობებს,  
ვიდრე ველოდოთ, უმოწყალოდ როდის ჩაგვყრიან.  
მე და შენ ერთად დავდიოდით, გახსოვს, სკოლაში?  
იმ ძველ სიყვარულს მოგაგონებ და იმის ხათრით,  
უარს ნუ მეტყვი. ამ ჩემს ხანჯალს ხელი მოკიდე,  
ტარით გეპავოს. მასზე თვითონ წამოვეგები.

## **ვოლუმნიუსი**

ასეთ სამსახურს მეგობარი შენ ვერ გაგიწევს.  
ომის ხმაური აზლოვდება

## **კლიტუსი**

უნდა გავიქცეთ, ბატონო ჩემო! ნუღარ ვაყოვნებთ!

## **ბრუტუსი**

გემშვიდობებით, შენც, შენც და შენც, ვოლუმნიუს,  
სტრატონ, სულ გძინავს ამ ბოლო დროს! გემშვიდობები!  
გული მევსება სიხარულით, როდესაც ვფიქრობ,  
ჩემთვის მეგობარს, არასოდეს, უდალატია.  
ეს მომანიჭებს მეტ დიდებას, დამარცხებაში  
და ეს ჯობია ანტონიუსის, ოქტავიუსის,  
ბინძური ხერხით გამარჯვებას. გემშვიდობებით!

ასე დასრულდა ბრუტუსის თქმით მისი ამბავი.  
თვალებში უკვე წყვდიადია. მოსვენება სურთ  
საბრალო ძვლებს, ცხოვრებისგან დაღლილ-დაქანცულთ.  
მოიხმის ხმაური და ყვირილი, გაიქცით!

**კლიტუსი**  
უნდა გავიქცეთ!

**ბრუტუსი**  
წადით, წადით, მე დაგეწევით!  
გადიან კლიტუსი, დარდანიუსი და კოლუმნიუსი

სტრატონ, შენ დარჩი შენს ბატონთან. გთხოვ, არ წახვიდე,  
ჩემთ კეთილო, ღირსეულო, პატიოსანო.  
აიღე ხელში ეს ხანჯალი. ნუ შემხედავ, პირი იბრუნე.  
გამოვიქცევი და ზედ ისე წამოვეგბი.

**სტრატონი**  
ხელი მომეცი ჯერ, ბატონო. გემშვიდობები!

**ბრუტუსი**  
მშვიდობით, სტრატონ! – კეისარო, ახლა დამშვიდდი!  
ამაზე უფრო მნელი იყო, როცა შენ გკლავდი.  
გარბის ხანჯლისკენ. კადება.  
ომის ხმაური. შემოდიან ოქტავიუსი, ანტონიუსი, მესალია,  
ლუცილიუსი და სხვები

**ოქტავიუსი**  
ეს ვინ არის?

**მესალა**  
ბრუტუსის მსახურია. სად ბრძანდება შენი ბატონი?

**სტრატონი**  
თავისუფალი, შენ რომ გადევს, იმ ბორკილისგან.  
გამარჯვებულებს შეუძლიათ ფერფლად აქციონ.

სხვას მას ვერაფერს დააკლებენ. მოკვლის პატივი  
არავის ერგო. გაიმარჯვა მის თავზე თვითონ.

### **ლუცილიუსი**

მე რას ვაშლობდი! ბრუტუს, შენი მადლობელი ვარ,  
რომ გაამართლე ის ნათქვამი ლუცილიუსის!

### **ოქტავიუსი**

კარგად მივიღებ ნებისმიერს, ბრუტუსის მსახურს.  
დარჩები ჩემთან? გეკითხები მე შენ, ყმაწვილო!

### **სტრატონი**

თუკი მესალას მიაჩნია, მაქვს ამის ნება...

### **ოქტავიუსი**

არ დაუშალო, გთხოვ, მესალა.

### **მესალა**

შენი ბატონი როგორ მოკვდა?

### **სტრატონი**

მისი ხანჯალი მე მეკავა, თვითონ აეგო.

### **მესალა**

უკანასკნელი სამსახური გაუწევია  
ბრუტუსისათვის. შეგიძლია შენ იყოლიო.

### **ანტონიუსი**

რომაელთ შორის ის რჩეულია მისი ღირსებით!  
კეისრის მიმართ ყველა შეთქმულს ამოძრავებდა  
შერი და ბოლმა. ერთადერთი იყო ბრუტუსი,  
თავისი ქვეყნის სასიკეთოდ ვინც ირჯებოდა.  
მთელი სიცოცხლე შეალია ამაზე ზრუნვას.  
იმდენად დიდი, დიდებული, კეთილშობილი  
და სრულყოფილი იყო მართლაც მისი ცხოვრება,  
რომ სიამაყით შეუძლია გამოაცხადოს  
დედა-ბუნებამ: „პაცი იყო, ადამიანი!“

### **ოქტავიუსი**

სწორედ ამიტომ, მოვეპყრობით, ვით იმსახურებს.

დაიკრძალება რიტუალის, წესის მიხედვით.

კერ ჩვენს კარავში დავასვენებთ, მხედრული წესით  
მივაგებთ პატივს. მთელი ღამე იქ გვეყოლება.

მაშ დავიშალოთ. ჯარის უბრძანეთ, ბრძოლა შეწყვიტონ  
და ვიზეიძოთ ჩვენ სუყველამ დღე გამარჯვების.